პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! · წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—50

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 18—80 ექსპედ. 5—48.

ხუთშაბათი, 3 მარტი 1927 წ. · ყოველდღიური გაზეთი · ფასი 5 კაპ. № 49 (1804)

დღეს
- ესენში გაიხსნა გერმანიის კომპარტიის მე-XI ყრილობა.
- გარდაიცვალა „უორკერს პოსტი“-ს ცეკას წევრი რუტენბერგი.
- როტერდამში გაიხსნა ნავთსადგურების საერთაშორისო კონფერენცია.
- უნგრეთში გრძელდება კომპარტიის დევნა.
- ტერორი ჩილიში გრძელდება.

საზოგადოებრივი კონტროლი სოფლად

ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები სამართლიანად სჩივიან იმ დაუსრულებელ გამოკვლევებსა და რევიზიებზე, რომლებსაც ზევით მდგომი სხვადასხვა დაწესებულებები ახდენენ; გადამეტებული რევიზიები თუ გამოკვლევები დიდძალ დროს და ენერგიას ართმევენ სოფლის აპარატს და აფერხებენ მის დადებით საღმშენებლო მუშაობას. ამასთან, ზევიდან კონტროლი ხშირად ბიუროკრატიულ-ფორმალურ ხასიათს ატარებს და უმეტესად ვერ აღწევს თავის მიზანს, — ადგილობრივი მუშაობის და მდგომარეობის სწორად გამორკვევას. საჭიროა კონტროლის საქმის რაციონალიზაცია, და ამ მიმართულებით კიდეც გადადგმულია სათანადო ნაბიჯები.

მაგრამ სასოფლო ორგანიზაციების მუშაობის გაჯანსაღება ყველაზე უფრო შეიძლება ადგილობრივი საზოგადოებრივი კონტროლის ჯეროვანი მოწყობით. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს სარევიზიო კომისიები. ამ კომისიების რიგიანი მუშაობა უეჭველად შეამცირებს ზევიდან მოხდენილ რევიზია - გამოკვლევების რიცხვს, გააადვილებს თვით ამ უკანასკნელთა წარმატებით განხორციელებას, და, რაც მთავარია, ნამდვილი და მძლავრი იარაღი იქნება ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობის სწორი კალაპოტით წარმართვისათვის. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სარევიზიო კომისიები თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგომებიან.

„დებულება სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ სარევიზიო კომისიების შესახებ“, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, მეტად შეუწყობს ხელს სარევიზიო კომისიების განმტკიცებას. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული „დებულება“ აფართოვებს ადგილობრივ მოსახლეობის მონაწილეობას მართვა-გამგეობის საქმეში, რამდენადაც საქმე სახელმწიფოს ადგილობრივ საბჭოთა ორგანოს კონტროლს ეხება. „დებულება“ სარევიზიო კომისიას დიდ მოვალეობებს აკისრებს თემის ბიუჯეტის სისწორით და მიზანშეწონილად გამოყენების შემოწმების დარგში, თემაღმასკომის და მის გამგებლობაში მყოფ დაწესებულება - წამოწყებების მუშაობის და მატერიალურ რესურსების კონტროლის დარგში. აგრეთვე დიდია მისი უფლებები დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელების მხრივ.

სარევიზიო კომისიას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა მომჭირნეობის რეჟიმს ვატარებთ და როცა თვითეული კაპეიკი უნდა მოვახმაროთ მშრომელ მასების გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ხალხის საშუალებებს ფხიზლად უნდა სდარაჯობდეს სარევიზიო ორგანო, რომ ეს საშუალებები არამც თუ არ იქნეს გაფლანგული, არამედ დაიხარჯოს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ, გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებისათვის. და უეჭველია, ყველაზე უფრო ეს შეუძლიათ ადგილობრივი მოსახლეობიდან საამისოდ არჩეულ პირებს, რომელნიც ადგილობრივ პირობებს და საჭიროებებს კარგად იქნებიან გაცნობილი.

ჩვენ გვინდა აქ შევეხოთ არა მარტო სათემო აღმასკომებთან არსებულ სარევიზიო კომისიებს, არამედ კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებს სოფლად. მაგალითად, რა დიდი როლის შესრულება შეუძლიათ დღეს კოოპერატივების სარევიზიო კომისიებს საცალო ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში, მფლანგველობის აღმოფხვრაში, კოოპერაციის ზედმეტი მოგებით გატაცების მოსპობაში, საერთოდ კოოპერატიულ ვაჭრობის გაჯანსაღებაში? მაგრამ ამისათვის აუცილებელია სარევიზიო კომისიების ავტორიტეტის ამაღლება, მათი მნიშვნელობის კარგად შეთვისება, მათი შემადგენლობის შერჩევა.

დღემდე სარევიზიო კომისიები, განსაკუთრებით სოფლად, თითქმის არ იჩენდენ სიცოცხლის ნიშან - წყალს. ისინი მეტ წილად მხოლოდ ფორმისათვის არსებობდენ. მათ ანგარიშს არავინ უწევდა, პირველ ყოვლისა ის ორგანოები, რომელთა მოქმედების კონტროლი მათ უნდა ეწარმოებიათ. სარევიზიო კომისიებში ხშირად ირჩევდენ საკმაო ავტორიტეტს და მომზადებას მოკლებულ პირებს, რითაც ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ ამ კომისიებს რაიმე დიდ ღირებულებას არ აკუთნებდენ.

ასეთ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. სარევიზიო კომისიები უნდა გამოვაცოცხლოთ და მათი მუშაობა უნდა გავაღრმავოთ. მომზადებულ, ენერგიულ მოწინავე პირების არჩევა სარევიზიო კომისიებში, მათი როლის შეგნება საზოგადოებრივ კონტროლის საქმეში როგორც მასის, ისე ადგილობრივ ხელმძღვანელ - აღმასრულებელ ორგანოების მიერ — აი, რას უნდა მიექცეს ყურადღება. სარევიზიო კომისიები ეს ხალხის თვალი უნდა იყოს, რომელიც ფხიზლად აკვირდება ადგილობრივ ორგანოების საქმიანობის და მასების წინაშე პასუხისმგებელია ამ საქმიანობის ხასიათისათვის. სარევიზიო კომისიებს უნდა დაეთმოთ ჩვენი საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სისტემაში ის ადგილი, რომელიც მათ ეკუთვნით, როგორც მშრომელი ხალხის კონტროლის გამტარებელ ინსტიტუტს.

შ. ს. სახ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილების გაუქმების გამო

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა უკვე მოახდინა კომუნალურ განყოფილების ლიკვიდაცია.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას დაკისრებული ჰქონდა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების კომუნალურ მუშაობის კონტროლი და ხელმძღვანელობა. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებათა მუშაობის არე განისაზღვრება შემდეგით: საბინაო აღმშენებლობა, ბინების ტარიფიკაცია ქალაქებში, კომუნალური წარმოებები (აბანოები, წყალსადენები, ქალაქის ელექტრო-სადგურები, სასტუმროები და სხვ.), ადგილობრივ მნიშვნელობის გზების აღმშენებლობა, ხანძარის წინააღმდეგ ბრძოლა.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილებას დაკისრებული ჰქონდა აგრეთვე ახლად ასაგებ შენობათა და ძველ შენობების რემონტის ტეხნიკურ გეგმების და ხარჯთ-აღრიცხვათა განხილვა და შემოწმება არსებულ წესის მიხედვით.

რა მიზეზებით არის გამოწვეული კომუნალური განყოფილების გაუქმება? კომუნალურ მეურნეობის განყოფილების ზოგიერთ დარგებს ახლო ნათესაობა აქვთ მთელ რიგ იმ უწყებათა მუშაობასთან, რომელნიც უფრო შეწყობილი იმავე ხასიათის ფუნქციებს შეასრულებენ.

მეორეს მხრივ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას შტატის სიმცირის გამო არ ჰქონდა საშუალება სავსებით შეესრულებია მასზე დაკისრებული ამოცანები.

განყოფილების გამგებლობაში მყოფი საქმეები უწყებებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: კომუნალურ წარმოებების შესახებ გადაეცა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ადგილობრივ მნიშვნელობის გზების შესახებ—გზატკეცილების სამმართველოს, წყალსადენთა შესახებ—საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, შენობათა ნაციონალიზაციის, მუნიციპალიზაციის და რეკვიზიციის შესახებ—იუსტიციის სახ. კომისარიატს, ბინების ტარიფიკაციის შესახებ—სახელმწიფო საგეგმო კომისიას. სახანძრო ინსპექცია დატოვებულ იქნა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის გამგებლობაში და შედის საერთო განყოფილების შემადგენლობაში.

ჯერ-ჯერობით მოხდა საქმეების და ფუნქციების მხოლოდ მექანიკური გადაცემა უწყებებისათვის. ამ ჟამად ჩვენი ამოცანაა ზედმიწევნით ჩამოვაყალიბოთ კომუნალური განყოფილების ფუნქციების განაწილება სხვადასხვა უწყებებს შორის და შევუფარდოთ ამ უწყებათა მუშაობა მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

აშკარაა, რომ ჩვენ ამ ჟამად არ შეგვიძლია წარმოვადგინოთ კომუნალურ განყოფილებების ფუნქციების უწყებათა შორის განაწილების რეგლამენტაციის ამომწურავი პროექტი. ეს შეუძლებელია, რამდენათაც ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გამოცდილება. მომავალში პრაქტიკა გვიჩვენებს თუ განყოფილების რომელი ფუნქციები უფრო შეეფერება ამა თუ იმ უწყებას და რა საორგანიზაციო ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული უწყებების მიმართ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილების გაუქმების შედეგათ. ამ შემთხვევაში ჩვენ ამოცანას შეადგენს განყოფილების ცალკე ფუნქციების განაწილება უწყებებს შორის.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილების ფუნქციების უმრავლესობა ეჭვს გარეშეა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უნდა გადაეცეს. საქართველოს ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსებულია ადგილობრივ მრეწველობის განყოფილება, რომელსაც ეკისრება ადგილობრივ მრეწველობის აღმშენებლობის კონტროლი და ხელმძღვანელობა. სამაზრო აღმასკომებთან არსებობს ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებები. სამაზრო აღმასკომების ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებებში გაერთიანებულია როგორც ადგილობრივი მრეწველობა, ისე კომუნალური მეურნეობაც. აქამდის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებები წარმოადგენდენ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს კომუნალურ მეურნეობის ხაზით და ს. მ. უ. ს. ადგილობრივ ორგანოებს ადგილობრივ მრეწველობის ხაზით. ამიერიდან კი ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებები უნდა გახდენ მხოლოდ ს. მ. უ. საბჭოს ორგანოებათ, ისე, რომ მისი ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებებში გაერთიანებულ უნდა იქნეს აგრეთვე კომუნალურ მეურნეობის ხელმძღვანელობაც.

კომუნალურ მეურნეობის ხელმძღვანელობის ფუნქციების დაკისრების შემდეგ სწორი იქნებოდა ს. მ. უ. ს. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებისათვის გვეწოდებია ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება ე. ი. ისეთივე სახელწოდება, როგორსაც ატარებენ სამაზრო აღმასკომების სათანადო განყოფილებები.

როგორი უნდა იქნეს ს. მ. უ. საბჭოს ფუნქციები კომუნალური მეურნეობის ხაზით?

კომუნალურ წარმოებათა აღმშენებლობის და ექსპლოატაციის და საბინაო პოლიტიკის (აღმშენებლობა და ტარიფიკაცია) ხელმძღვანელობა, შენობათა ნაციონალიზაციის, მუნიციპალიზაციის და რეკვიზიციის საკითხების გადაჭრა სამეურნეო მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, ბრძოლა ხანძარის წინააღმდეგ. ყველა ზემოაღნიშნულ ფუნქციებს ასრულებენ სამაზრო აღმასკომების ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებები და ამ საქმეების ხელმძღვანელობა ცენტრებში უნდა გადაეცეს ს. მ. უ. საბჭოს

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალური განყოფილება განაგებდა ადგილობრივ მნიშვნელობის გზათა მეურნეობის საკითხებს.

გზატკეცილების და შარა გზების სამმართველო მხოლოდ რესპუბლიკანურ მნიშვნელობის გზებს განაგებს. ადგილობრივ გზების აღმშენებლობის დარგში გზატკეცილების სამმართველოს ევალება მხოლოდ უმაღლესი ტეხნიკური მეთვალყურეობა. ფაქტიურად გზატკეცილების სამმართველოს აქამდისაც უხდებოდა ადგილობრივ მნიშვნელობის გზების და ხიდების საღმშენებლო ტეხნიკურ გეგმების და ხარჯთ-აღრიცხვათა შედგენა და გადათვალიერება. ეს იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს ცნობილ მიზეზების გამო არ შეეძლო ამოცანის დამოუკიდებლათ დაძლევა. გზატკეცილების სამმართველო კი ამ საკითხებზე მუშაობს, ასე ვთქვათ, სხვათა შორის, ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს ცალკე დავალებათა შემთხვევებში.

ადგილობრივ და რესპუბლიკანურ მნიშვნელობის გზების აღმშენებლობა მჭიდროთ დაკავშირებულია ერთი მეორესთან. გზატკეცილების სამმართველოს აპარატს ყველაზე უფრო ეხერხება საგზაო აღმშენებლობის ყველა საკითხებზე მუშაობა და ამიტომ მთელი საგზაო აღმშენებლობის საქმე გზატკეცილების სამმართველოს უნდა გადაეცეს. ამასთან დაკავშირებით წამოყენებულია საკითხი გზატკეცილების სამმართველოს ორგანიზაციის გადათვალიერების შესახებ იმ მიზნით, რომ ის დაუახლოვოთ და მჭიდროთ დაუკავშიროთ ადგილებს. უამისოდ გზატკეცილების სამმართველო ვერ დასძლევს მასზე დაკისრებულ ამოცანებს. გზატკეცილების სამმართველოს ეხლანდელ ორგანიზაციის დროს, როცა მისი ტეხნიკური პერსონალი ადგილებზედ, ემორჩილება რა ცენტრს, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ კეთილმეზობლურ ურთიერთობაშია სამაზრო აღმასკომთან, ის (გზატკეცილების სამმართველო) ვერავითარ შემთხვევაში თავს ვერ გაართმევს ადგილობრივ მნიშვნელობის გზათა აღმშენებლობის ხელმძღვანელობის ამოცანას, იმ აღმშენებლობის, რომელიც სწარმოებს ადგილობრივ საშუალებებით (სამაზრო ბიუჯეტი), მოსახლეობის შრომითი ბეგარის დახმარებით. გარდა ამისა, გზატკეცილების სამმართველოს განმგებლობის ქვეშ მყოფ გზებზე მოსახლეობის შრომითი ბეგარის გამოყენება, რომელსაც ატარებენ აღმასკომები, აყენებს საკითხს გზატკეცილების სამმართველოს ორგანიზაციის გადათვალიერების შესახებ, ვინაიდან, როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, გზატკეცილების სამმართველოს მოწყვეტა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებისაგან საზიანოა რესპუბლიკანურ მნიშვნელობის გზათა აღმშენებლობისათვისაც.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილების ამოცანა იყო წყალსადენების ასაგებათ ადგილებზედ წარმოებულ მუშაობის კონტროლი და ხელმძღვანელობა. მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებას ჩვენს პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების მიერ 6 წლის განმავლობაში ადგილებზედ უდიდესი მუშაობაა შესრულებული. მოსახლეობის საზოგადოებრივ თვითმოქმედების შედეგათ აგებულია წყალსადენების დიდი რაოდენობა. სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ ტეხნიკურ ხელმძღვანელობის სისუსტის გამო აგებული წყალსადენები ყოველთვის არ არიან დამაკმაყოფილებელი და ხშირად ამაოდ იხარჯება მნიშვნელოვანი ძალები და მატერიალური საშუალებანი. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ტეხნიკური პერსონალი ადგილებზედ ნაწილობრივ მუშაობს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხებზე, მაგრამ ამ მუშაობასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. წყალსადენის აგება შეიძლება წარმოებულ იქნეს უმთავრესად მოსახლეობის საშუალებებით (თვითდაბეგვრა). მოსახლეობის თვითმოქმედებასთან მჭიდროთ დაკავშირებულია აგრეთვე წყალთა საზოგადოებების ორგანიზაცია და საქმიანობა. აქედან გამომდინარეობს საკითხი საქართველოს წყალთა მეურნეობის ორგანიზაციის გადათვალიერების შესახებ იმ მიზნით, რომ ის მჭიდროთ დაუკავშირდეს ადგილებს და შეიქმნეს ორგანიული კავშირი საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ადგილობრივ დაწესებულებებსა და სამაზრო აღმასკომებს შორის.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პირობებში ადგილების სამეურნეო მუშაობის გეგმიან გაძღოლას და კონტროლს.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილების გაუქმება და მის ფუნქციების გადაცემა იმ უწყებებისათვის, რომელთაც უფრო ეხერხებათ ამ ფუნქციების შესრულება, საშუალებას მოგვცემს უკეთ განვახორციელოთ მტკიცე გეგმიანობა და კონტროლი.

შ. მათიკაშვილი.

ინგლისის მთავრობა უკან იხევს

ჩემბერლენი თანხმაა მოწვეულ იქნეს ინგლის-საბჭოთა კონფერენცია

სუნ-ჩუან-ფანის ჯარების გახრწნა გრძელდება

შუბლმაგართა მოღვაწეები საბჭოთა ნოტის შესახებ

შუბლმაგართა განცხადება

ლონდონი, 1 მარტი. კომენტარიებს უკეთებს რა საბჭოთა ნოტას, შუბლმაგარი ვილიამ დევისონი აცხადებს, რომ საბჭოთა პასუხი ეკუთვნის ყველაზე უფრო თავხედურ პასუხების კატეგორიას.

შუბლმაგარმა ვილიამ ბულმა განაცხადა, რომ ამ საშინელ თავდასხმას უნდა უპასუხოთ ერთბაშად ერთი დარტყმით.

ლონდონი, 1 მარტი. კონსერვატორმა ხორნმა, რომელმაც ინგლისის მთავრობის სახელით ხელი მოაწერა 1921 წელს ინგლის - საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმებას, მიტინგზე გლაზგოში განაცხადა, რომ საეჭოა მოიძებნოს სავაჭრო ხელშეკრულების ისეთი მუხლი, რომელიც მრავალჯერ არ იყოს დარღვეული საბჭოთა მთავრობის მიერ. რას უცდის ინგილისის მთავრობა; მოთმინების ფიალა აივსო.

ლონდონი, 1 მარტი. 28 თებერვალს ჩემბერლენი გამოვიდა კონსერვატორების თემთა პალატის წევრების მრავალრიცხოვან კრებაზე. კრებას საიდუმლო ხასიათი ქონდა, მაგრამ „მანჩესტერ გარდიენი“ იტყობინება, რომ ჩემბერლენი ლაპარაკობდა იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც შეიძლება აღმოცენდეს ევროპის სამხრეთ - აღმოსავლეთის განაპირა სახელმწიფოებში იმ შემთხვევაში, თუ ჩაიშალა ინგლის - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.



ჩემბერლენი
(შარჟი).

გარეშე საქმეთა მინისტრის ძირითადი აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პუნქტებია უკანასკნელი პუნქტები, რომლებშიაც შეცვლილია წინა პუნქტების თავდასხმითი ტონი; ეს პუნქტები წინადადებას იძლევიან მოწვეული იქნეს კონფერენციის მაგვარი რაღაც თათბირი.

რუსეთის ნოტა წაკითხული და განხილულ იქნა კაბინეტის მიერ.

ჩემბერლენმა აღნიშნა: „თუ ჩემი ცნობები სწორია და თუ საბჭოთა კავშირს სურს კონფერენციის მოწვევა, ის ალბად, ასეთს მიიღებს“.

პოლონეთის პრესა

ვარშავა, 2 მარტი. მთელი პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარიებს ნოტების გაცვლას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ესდეკების ორგანო გაზეთი „ვარშავსკა პორანა“ საბჭოთა ნოტის შემდეგ შესაძლოდ სთვლის ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლას.

„საბჭოთა პოლიტიკა ინგლისში— სწერს გაზეთი, — იწვევს მტრული განწყობილების გაძლიერებას ინგლისის მხრივ, რომელიც ცდილობს შექმნას ანტისაბჭოთა ბლოკი. იმის მაგიერ, რომ გადაათვალიეროს თავისი საგარეო პოლიტიკა და უარი სთქვას გერმანიასთან კავშირზე, საბჭოთა კავშირი ხსნას ეძებს კომინტერნში. თუ საბჭოთა კავშირს ნამდვილად სურს მშვიდობიანობა, მან უარი უნდა სთქვას კომინტერნზე და გერმანიასთან კავშირზე და უნდა გააუმჯობესოს ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან.

პოლონეთს ეშინია იმ გართულებების, რომელიც შეიძლება შედეგათ მოჰყვეს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებას“.

გაზეთი აღიარებს, რომ პოლონეთის ზოგიერთი პოლიტიკური წრეები, რომლებიც მხარს უჭერენ კიევზე გალაშქრების პოლიტიკას, სამართლიანად იწვევენ შიშს საბჭოთა კავშირში.

„მიუხედავად ამისა, — აცხადებს გაზეთი, საბჭოთა მთავრობამ უნდა გაიგოს, რომ ისეთი პოლიტიკას, რომელიც ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებს მოითხოვს, პოლონეთი გადაჭრით უარყოფს. პოლონეთს აქვს საკუთარი და არა ინგლისის პოლიტიკა, და ის მზად არის მოაწესრიგოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან“.

„რეჩ პოსპოლიტა“ სწერს: „თანდათან აშკარა ხდება, რომ საერთაშორისო პოლიტიკის კვანძს წარმოადგენს ინგლის - საბჭოთა კავშირის ბრძოლა. ინგლისი იძულებული იქნება გადამჭრელ ზომებს მიმართოს“.

„კურიერ პორანი“ საბჭოთა ნოტის სასტიკად გაკრიტიკების შემდეგ სწერს: „პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი, ძლიერ უკმაყოფილოა ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის გამწვავებით. პოლონეთი მეტად დაინტერესებულია მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებაში აღმოსავლეთ მეზობელთან და მას არა ცხრთხელ დაუმტკიცებია თავისი მოთმინება, თავშეკავება, და ის, რომ პოლონეთი წონასწორობას არ დაჰკარგავს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის უაღრესად გამაღიზიანებელ მეთოდების გამოც კი.

ინგლის - საბჭოთა კონფლიქტი უშუალოდ არ შეეხება პოლონეთის ინტერესებს და საბჭოთა კავშირი პოლონეთის მხრიდან არ უნდა მოელოდეს, რომ რაიმე აიძულებს ჩვენს ქვეყანას უარი სთქვას ნეიტრალიტეტზე“. (ადს).

იაპონიის პრესა

ტოკიო, 2 მარტი. იაპონურ გაზეთების უმრავლესობა თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს საბჭოთა პასუხს ჩემბერლენის ნოტაზე. ლიბერალური „ოსაკა მაინიცის“ ინგლისური გამოცემა ცალკე ბეჭდავს ლიტვინოვის ნოტიდან ამოღებულ ადგილებს, რის შემდეგაც მოჰყავს ნოტის სრული ტექსტი. ტექსტის ცალკე ადგილები აღებულია მსხვილი ასოებით. გაზეთი მოწინავეში სწერს: „ბოლშევიკებს მართლა არ ეშინიათ სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტისა. ამ ურთიერთობამ სულ მცირე სამსახური გაუწია საბჭოთა კავშირს. ინგლისის პრესტიჟი უფრო მეტს იზარალებს იმის გამო, რომ დღემდე ფარულმა კონფლიქტმა აშკარა სახე მიიღოს“. (ადს).

ტოკიო, 2 მარტი. მილიტარისტების ორგანო „შუგაი შოგიო“ ფიქრობს, რომ საბჭოთა პასუხი ისეთია, როგორიც უნდა ყოფილიყო. გაზეთი გაოცებულია, როგორ მოხდა, რომ „ასეთმა გამჭრიახმა მინისტრმა, როგორიც ჩემბერლენია, გადადგა ამგვარი ნაბიჯი“. დასკვნაში გაზეთი ირონიით აღნიშნავს ინგლისის მისწრაფებას, რომ საბჭოთა კავშირს დააბრალოს ინგლისის ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ჩინეთში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში. გაზეთი ურჩევს ინგლისს უფრო საფუძვლიანად შეისწავლოს ანტიინგლისური მოძრაობის მიზეზები ამ ქვეყნებში.

ფაშისტური „ნიხონი“ განსაკუთრებით კმაყოფილია ლიტვინოვის ნოტის იმ ნაწილით, სადაც ნათქვამია, რომ ინგლისს შეუძლია შესწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, თუ ამას სასურველად სცნობს.

„ინგლისის მზე ესვენება,—სწერს გაზეთი,— ბინდ-ბუნდი, რომლითაც არის იგი მოცული, სიმბოლიური მნიშვნელობითაა აღსავსე“ (ადს).

შვეციის პრესა

სტოკჰოლმი, 2 მარტი. შვეციის გაზეთები გაცხოველებულ კომენტარიებს უკეთებენ საბჭოთა ნოტას.

ლიბერალური „დაგენს ნიუხეტერ“-ი ფიქრობს, რომ საბჭოთა ნოტა ეხლა არ გამოიწვევს პასუხს ინგლისის მთავრობის მხრივ.

კონსერვატიულ „სვენსკა დაგბლადეტ“-ი პასუხისმგებლობას შექმნილი მდგომარეობის გამო აკისრებს ინგლისს, რომელმაც „წითელი არმიის ვარშავასთან დამარცხების დროს ევროპის საერთო პოლიტიკისაგან განსხვავებული კურსი აიღო და მხარი არ დაუჭირა საფრანგეთს“.

„ეხლა,—სწერს გაზეთი,—დადგა დრო, როცა ევროპა უნდა გაერთიანდეს მტრის წინააღმდეგ, რომელიც ევროპის კულტურას ემუქრება“.

კონსერვატიული „სტოკჰოლმ დაგბლატ“-ი სწერს:

„მწვავე კრიზისი, გამოწვეული ინგლისის ნოტით და საბჭოთა მთავრობის დამშვიდებული პასუხით, თავისი არსებით პერმანენტული კონფლიქტის ერთ-ერთ ეპიზოდს წარმოადგენს, რომელიც პერიოდულად მეორდება“.

გაზეთი ფიქრობს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ფაქტიურად განუხორციელებელია.

კონსერვატიული გაზეთი „ნიუ დაგლიტ ალეხანდა“ კომენტარიებს უკეთებს ინგლის-საბჭოთა ნოტებს და, ეხება რა ერთა ლიგის როლს, სწერს:

„ერთა ლიგა არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც დიდი სახელმწიფოების თავიშვებულებას კი არ ზღუდავს, არამედ ხელფეხს უბორკავს პატარა სახელმწიფოებს და აიძულებს მათ გამოვიდენ ინგლისის აქტიურ თანაშემწეებად საბჭოთა კავშირთან კონფლიქტში. ლონდონი უკანასკნელ ხანებში გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებს იმისათვის, რომ გააერთიანოს ფინეთი, ბალტიის სახელმწიფონი და პოლონეთი და განახორციელოს საფრანგეთის ძველი ოცნება—შექმნას განუწყვეტელი ზოლი ჩრდილო-ყინულოვან ოკეანიდან შავ ზღვამდე. ლიგის ჩასაბმელად ამ საქმეში, კოვნოში ამჟამად მუშაობს ინგლისელთა სპეციალური კომისია. მაგრამ ამ მუშაობას ჯერ-ჯერობით არავითარი განსაზღვრული შედეგი არ მოუტანია“.

გაზეთი ეჭვობს, რომ ინგლისმა შესძლოს ჯვაროსნული ომის მოწყობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან გერმანია და საფრანგეთი ნეიტრალური დარჩებიან ამ საკითხში (ადს).

უცხოეთის პრესა საბჭოთა პასუხის შესახებ

ავსტრიის პრესა

ვენა, 2 მარტი. ავსტრიის პრესამ მხოლოდ 28 თებერვალს გამოაქვეყნა ლიტვინოვის ნოტა. ყველა ხელმძღვანელი გაზეთები, გარდა სოციალ - დემოკრატიულ „არბეიტერ ცეიტუნგისა“, რომელიც დუმილით უვლის გვერდს“, ნოტას, საბჭოთა კავშირისადმი მტრული კილოთი უკეთებენ კომენტარიებს ნოტას და იცავენ ინგლისის პოზიციას.

მსხვილი კაპიტალისტური „ნეიე ფრეიე პრესს“-ი, ეხება რა ნოტის შინაარს, ირონიულად აცხადებს:

„საეჭოა, რომ ვინმე ან ოდესმე ელაპარაკებოდეს ინგლისს ასეთი ტონით. საბჭოთა ნოტა წარმოადგენს ინგლისის დაცინვას“.

ქრისტიან - სოციალისტების ორგანო „რეიხპოსტი“ ცნობას ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულებისა და ლიტვინოვის ნოტის შესახებ, აგრეთვე დეპეშას ბუდაპეშტსა და ბუქარესტში მომხდარ დაპატიმრებების შესახებ აქვეყნებს სათაურით: „ბოლშევიკების იატაკ ქვეშ მუშაობა ევროპაში“. (ადს).

უნგრეთის პრესა

ვენა, 1 მარტი. საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტის შეფასება უნგრეთის პრესაში შეხვდა სწორედ იმ მომენტს, როცა მასიური დაპატიმრებანი ხდება მუშათა კლასისა და სოციალისტურ მუშათა პარტიის მოღვაწეებს შორის. „ბოლშევიკების“ ლანძღვამ „შეთქმულების მზადების შესახებ“ თავისი გამოხატულება ჰპოვა იმ ტონში, რომლითაც უნგრეთის პრესა უკეთებს კომენტარიებს საბჭოთა მთავრობის ნოტას. მთავრობის ორგანო „პესტერ ლოიდი“ ამტკიცებს, მაგალითად, რომ „ბუდაპეშტის დაპატიმრებათა და ინგლის-საბჭოთა კონფლიქტის შეხვედრა არაა შემთხვევითი, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩინეთის ამბების ხასიათს და საბჭოთა კავშირის როლს ოსმალეთში და ავღანისტანში, და აგრეთვე განაპირა სახელმწიფოების მდგომარეობას, განსაკუთრებით რუმინიის მდგომარეობას, სადაც დაიწყო კომუნისტების მასიური დაპატიმრებანი“.

საფრანგეთის პრესა

ერთი ადგილის ტკეპნა

პარიზი, 1 მარტი. საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტე“ უპასუხებს „ტაიმს“-ის დარიგებას, რომ ლიტვინოვის ნოტაზე არ არის საჭირო პასუხის გაცემა. გაზეთი სწერს: „კონსერვატორების დიპლომატია ერთ და იმავე ადგილს ტკეპნის. სხვა მაინც არაფერი დარჩენიათ მათ. კონსერვატორებს რომ თავი შეეკავებიათ უკიდურესობიდან, მათი უგუნურება გამოიწვევდა ყოველგან თვით არა კომუნისტ მუშების აჯანყებას. ისინი კი ამას ითვალისწინებენ“ (ადს).

ამხ. სტალინი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 1 მარტი. 1მარტს, მოსკოვის საბჭოს არჩევნების კამპანიასთან დაკავშირებით, ამხ. სტალინის სახელობის რკინის გზის სახელოსნოებში ამხ. სტალინი გამოვიდა სიტყვით. ამხ. სტალინმა, სხვათა შორის, უპასუხა მუშების მრავალ შეკითხვებზე.

შეკითხვაზე—ომის შესაძლებლობის შესახებ ამხ. სტალინმა განაცხადა:

„ომი ჩვენ არ გვექნება ამ წლის არც გაზაფხულზე და არ შემოდგომაზე იმიტომ, რომ ჩვენი მტრები მზად არ არიან; იმიტომ, რომ ჩვენ მტრებს ომის შედეგების უფრო ეშინიათ, ვიდრე სხვა ვისმეს, იმიტომ, რომ დასავლეთის მუშებს არ უნდა ომი საბჭოთა კავშირთან, ომი კი უმუშებოდ შეუძლებელია; იმიტომ, რომ ჩვენ ვაწარმოებთ მშვიდობიანობის მტკიცე და შეურყეველ პოლიტიკას, ესეც აძნელებს ომს ჩვენს ქვეყანასთან“.

ინგლის - საბჭოთა დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ ამხ. სტალინმა განაცხადა:

„რასაკვირველია, შესაძლებელია ურთიერთობის შეწყვეტა ინგლისის მხრივ, მაგრამ მე მგონია, რომ ეს ნაკლებ შესაძლებელია, ვინაიდან მინუსის გარდა ურთიერთობის შეწყვეტა მას არაფერს მისცემს. მე არაფერს ვამბობ იმაზე, რომ იმ მშვიდობიანი პოლიტიკის დროს, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა კავშირი, პასუხისმგებლობა კავშირის შეწყვეტის გამო იქნება ყველაზე უფრო მძიმე პასუხისმგებლობა ყველა იმ შესაძლებელ მძიმე პასუხისმგებლობათაგან, რომელიც კი შეუძლია იკისროს მთავრობამ“.

შემდეგ ამხ. სტალინმა ვრცელი პასუხები გასცა შეკითხვებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ აღმოსავლეთში და ჩვენ სამეურნეო მიღწევათა შესახებ. ამხ. სტალინის პასუხები მხურვალე ტაშმა დაჰფარა. (ადს).

ამერიკის პრესა

„ბალტიმორ სენი“ საბჭოთა ნოტის შესახებ

ნიუ-იორკი, 1 მარტი. „ბალტიმორ სენი“ საბჭოთა პასუხს ინგლისის ნოტაზე სთვლის პასუხად, რომელიც არსებითად ნიადაგს აცლის ყველა ბრალდებებს:

„ინგლისის ნოტა,—სწერს გაზეთი,— სინამდვილეში გამოწვეულია ჩინეთში შექმნილი მდგომარეობით, მაგრამ ინგლისელებმა წამოაყენეს სულ სხვა ხასიათის პრეტენზიები, რასაც შედეგად მოჰყვა ინგლისელ კონსერვატორებისათვის ასეთი მარცხი.

ჩ. ა. შ. შ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა აღიაროს, რომ საბჭოთა მთავრობა არის მტკიცე მთავრობა, რომელსაც უნდა მოვეკიდოთ თუ პატივისცემით არა, ყოველ შემთხვევაში ყურადღებით მაინც. ინგლისი არ ემუქრება შეერთებულ შტატებს იმისთვის, რომ ამერიკის ოფიციალური წრეების წარმომადგენლები შეურაცყოფით იხსენიებენ ინგლისს“ (ადს).

გერმანიის პრესა

ბერლინი, 1 მარტი. კომენტარიებს უკეთებს რა საბჭოთა საპასუხო ნოტას, „ბერლინერ ბერზენ კურიერ“ აცხადებს, რომ ინგლისის ნოტა უფრო საშუალებას წარმოადგენს შინაური დაბრკოლებების მოსაგვარებლად, ვიდრე იარაღს შემოქმედებითი საგარეო პოლიტიკისათვის.

„ინგლისისათვის საბჭოთა ბაზრის დაკეტვა, — აცხადებს შემდეგ გაზეთი,— ნიშნავს უპირატესობის მინიჭებას გერმანიისა და ამერიკისათვის, რომლის დაბრუნება მომავალში ძნელი იქნება“.

სოციალ - დემოკრატიული „ლეიპციგე ფოლკსცეიტუნგი“ ფიქრობს, რომ ინგლისის პრესა შემდეგშიაც გააგრძელებს კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩემბერლენს კი ამჟამად ესაჭიროება უფრო წყნარი ატმოსფერო.

„ტაგი“ უარყოფს ვენის პრესის ცნობებს იმის შესახებ, თითქოს ინგლისი სცდილობს ჩააბას გერმანია შეერთებულ ეკონომიურ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დანიის პრესა

ბერლინი, 1 მარტი. დანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო „სოციალ-დემოკრატენი“ მოწინავე წერილში ეხება რა ლიტვინოვის ნოტას, ირონიულად აღნიშნავს, რომ „საბჭოთა მთავრობას სავსებით დამშვიდებით შეუძლია მიიღოს ინგლისის ნოტა, რომელიც მოგვაგონებს გაფრთხილების მიზნით თითის დაქნევას. მოსკოვს ადვილად შეუძლია დაუშვებოს ლონდონს ძირს ეს თითი“. (ადს).

„დეილი ტელეგრაფ“-ის გულახდილობა

„დეილი ტელეგრაფ“-ი ოფიციოზურ შენიშვნაში ამბობს, რომ ინგლისის ნოტის პირველი „საბედნიერო“ შედეგი გამოიხატა იმაში, რომ ზოგიერთმა ქვეყნებმა, რომელნიც ემზადებოდენ ეცნოთ საბჭოთა კავშირი, ხელი აიღეს თავიანთ განზრახვაზე. ამ სიტყვებში გამოიხატება იმის აღიარება, რასაც ხშირად უარჰყოფენ ლონდონში, მაგრამ რაიც ცხად ფაქტს წარმოადგენს: ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ყოველი ძალღონით სცდილობდა საბჭოთა კავშირის იზოლაციას“ (ადს).

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა

ბრიანი საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების შესახებ

პარიზი, 1 მარტი. გაზეთ „პტი პარიზიენ“-ის წარმომადგენელთან საუბარში საფრანგეთ - გერმანიის ურთიერთობის შესახებ **ბრიანმა** განაცხადა:

„საფრანგეთ - გერმანიის დაახლოება არასოდეს ადვილ საქმეთ არ მიმაჩნდა. მიუხედავათ საბჭოთა კავშირთან არსებულ შეთანხმებისა გერმანიამ დაუყოვნებლივ გადაჭრით პირი იბრუნა დასავლეთისაკენ.

დასასრულ ბრიანმა განაცხადა, რომ უმჯობესია ნაკლები ლაპარაკი გერმანიის ძლიერებაზე და მეტი ზრუნვა საფრანგეთის საზღვრების დაცვაზე (ადს).

გერმანიის პრესა ბრიანის განცხადების შესახებ

ბერლინი, 1 მარტი. გერმანიის პრესა ესალმება ბრიანის განცხადებას, რომ მას სურს დაიცვას საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების პოლიტიკა, პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით გერმანიამ ნებაყოფლობით სცნო ვერსალის ხელშეკრულება (ადს).

მომხმარებლის ინტერესების სადარაჯოზე

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

ცეკას თებერვლის პლენუმის რეზოლიუცია ფასების დაკლების შესახებ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში. ეს მოთხოვნილება იმდენად ნათლად და კატეგორიულად არის ჩამოყალიბებული პარტიულ და, შემდეგ, საბჭოთა გადაწყვეტილებებში, რომ მისი განხორციელება ყოველგვარ ეჭვს გარეშე სდგას. მომხმარებელთა—მუშებისა და გლეხების მასამ, თავის ორგანიზაციების სახით, უშუალო, ფხიზელ თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს იმას, რომ პარტიისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებები, რომლებიც გამოხატავენ მათ საკუთარ უდიდეს საჭიროებას და დაინტერესებას, სისწორით და თავის დროზე იქნან შესრულებული.

მაგრამ საჭიროა მასების ყურადღება დღესვე მივაქციოთ დირექტივების გატარების საშუალებებზე. საქმე იმაშია, რომ თუმცა პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ მხოლოდ რამოდენიმე კვირამ განვლო და თუმცა პლენუმის გადაწყვეტილება, როგორც უკვე ავღნიშნეთ, უაღრესად ნათელია, მიუხედავათ ამისა ადგილებზე მაინც შეიძლება ყალბი განმარტების, დუმილით გვერდის ავლის და გამახინჯების შემჩნევა. ზოგიერთი ორგანიზაციები მხოლოდ ფორმალურად ახორციელებენ დირექტივას, რადგან მის განხორციელებასთან სდევს ასეთი მსჯელობა, რომ არ იქნება საჭირო რომელიმე საზოგადოებრივ—სასარგებლო წარმოების, მაგალითად, მუშათა სასადილოს დახურვა, რომ არ იქნება საჭირო დივიდენდების გაცემა გატანილ საქონელზე, რომ არ იქნება კარგი ისეთი ოპერაციების შეწყვეტა, რომლებიც მაინც და მაინც დიდ მოგებას არ აძლევენ სავაჭრო აპარატს, მაგრამ რომლებიც არსებითად დიდი მნიშვნელობის არიან მომხმარებლისათვის, და ასე შემდეგ.

გასაკვირი არაფერი იქნება, თუ ამგვარი მსჯელობა გამოიწვევს მასების დაკმაყოფილების საქმის გაუარესების, ძირითადი კაპიტალის დახარჯვას და, ბოლოს, ორგანიზაციის გაკოტრებას ან და დოტაციის მოთხოვნას.

ყოველგვარი შესაძლებელი სიმახინჯე თავიდანვე უნდა იქნას გათვალისწინებული და ძირშივე აღმოფხვრილი.

რა მოსაზრება იდო საფუძვლად თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებების?

ჩვენს სამეურნეო სისტემაში ფასების დაკლების პოლიტიკა არის საშუალება, რომლითაც მუშათა კლასი იმოქმედებს თვითღირებულების დაკლებაზე, აიძულებს სამეურნეო ორგანიზაციებს გაადიდონ თავისი მოქნილობა, განავითარებს რაციონალიზაციის საქმეს და ამით შექმნის სოციალისტური დაგროვების ნამდვილად ჯანსაღ წყაროებს, რომლებიც ესოდენ საჭიროა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმის განვითარებისათვის.

ამ გადაწყვეტილების გამოტანის დროს პლენუმი ხელმძღვანელობდა იმ სავსებით ნათელ და ყველასათვის გასაგებ ჭეშმარიტებით, რომ ჩვენი სავაჭრო აპარატი გაბერილია, მოუხეშავი და ძვირი. მარტო რაციონალიზაციის ამოცანების განხორციელება — ზედმეტი ორგანოების გაუქმება და მომხმარებლიდან მწარმოებლამდე საქონლის სამოძრაო გზის შემოკლება—იძლევა ფასების დაკლების საკმაო საშუალებებს. მაგრამ ფასების დაკლების ამ ძირითადი საშუალებას უნდა დაუმატოთ კიდევ მეორე მნიშვნელოვანი საშუალება—წარმოებათა უშუალო მომჭირნეობა: საშუალო და მაღალი საფეხურის წარმოებებში სამუშაო ხელფასის შემცირება, განსაკუთრებით საკანცელარიო პერსონალზე, საკომისიო, სამივლინებო ხარჯების შემცირება და სხვა. დაბოლოს, მესამე, მეტად არსებით საშუალებას წარმოადგენს ის ზედმეტი მოგება, რომელიც დაგროვილ იქნა ბალანსის ეფექტიანობით ზედმეტი გატაცების დროს.

ზემოჩამოთვლილი სამი საშუალება, ერთად აღებულ, საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ გაუძლოს ფასების დაკლებას.

ცეკას პლენუმი საჭიროდ სთვლიდა „სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა ფსიქოლოგიის უეცარი გარდატეხას“ და მოითხოვდა დირექტივის გატარებას „სავაჭრო და ზედნადები ხარჯებს ნამდვილად შემცირების, აპარატის რაციონალურად მოწყობის და მომჭირნეობის დაცვის გზით“.

ამაში, და მხოლოდ ამაშია, სოციალისტური დაგროვების შინაარსი.

არავინ არ უარჰყოფს კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის უდიდეს მიღწევებს საქონლის გასაღების საქმეში. პლენუმის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ვაჭრობის საზოგადოებრივი სექტორის მიღწევა „განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყენებს“ მრავალსაქონლიანობის, „ახალი ეკონომიური პოლიტიკის დაწყებით სტადიასთან შედარებით“.

სწორედ ამიტომ „იქნებოდა მიუტევებელი შეცდომა ბიუროკრატიზმის იმ საფრთხის შეუმჩნევლობა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მონოპოლური მდგომარეობიდან“.

მონოპოლიურ მდგომარეობის და სახელმწიფო ფულის სალაროსადმი მიმართვის ჩვეულებას ამ შემთხვევაში შეუძლია დაამახინჯოს პარტიის ხაზი და არ მოგვცეს ფასებს დაკლების სათანადო ეფექტი, არ გააუმჯობესოს მასების დაკმაყოფილების საქმე, თუ თვითონ მასებივე არ მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას ფასების დაკლების საშუალებებისა და გზების დასახვაში და შემდეგი კონტროლის გაწევაში დასახულ საშუალებებისა და გზების განხორციელებაზე.

თავის თავად იგულისხმება, რომ მასიურ ორგანიზაციების (მუშათა პროფკავშირები, გლეხობის ურთიერთ დამხმარე კომიტეტები და სხვა ორგანიზაციები) მონაწილეობა კონტროლში, ისევე როგორც სამუშაო გეზის მიმართვა პარტიისა და საბჭოთა ორგანოების მიერ, არ უნდა გამოიხატოს სამეურნეო მუშაკთა წვრილმან შევიწროებაში და უყურადღებო დამოკიდებულებაში მათ სამუშაო პირობებისადმი.

თვალყურის დევნას დირექტივების შესრულებაზე თან უნდა სდევდეს უდიდესი აქტიური დახმარებაც. სამეურნეო მუშაკს, რომელიც მოხერხებულად და კეთილსინდისიერად ატარებს ფასების დაკლებას, აუმჯობესებს აპარატის მუშაობას და აკმაყოფილებს მასების მოთხოვნილებას, ესაჭიროება ამხანაგური დახმარება. პირიქით, სასტიკად უნდა იქნას გაკიცხული და დაუყოვნებლივ გამოსწორებული ყოველგვარი გადამახინჯებისა ან გადახრის შემთხვევა. ფასების დაკლების მთელი კამპანია უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგით:

მომხმარებელთა მასის დაკმაყოფილების საქმის გაუმჯობესება.

კატეგორიულად და აბსოლიუტურად დაუშვებელია ფასების დაკლება მომხმარებლის ინტერესების და სარგებლიანობის ხარჯზე.

მასების მონაწილეობამ კამპანიაში უნდა მოგვცეს სწორედ ეს, ჩვენთვის ესოდენ საჭირო კონტროლი ფასების დაკლების ფორმებისა და საშუალებების.

მასებისა და საზოგადო ორგანიზაციათა საერთო ღონისძიებით ჩვენ უნდა მივაღწიოთ არა მარტო ფასების სწორ და თავის დროზე დაკლებას, არამედ იმასაც, რომ ამ დაკლებას აუცილებლივ თან სდევდეს მომხმარებლის დაკმაყოფილების საქმის თანდათანი გაუმჯობესება.

მოსკოვი, 2 მარტი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნ-ჩუან-ფანი აღსასრულის წინ

კანტონელების მოახლოების მოლოდინში შანხაიში გაძლიერდა მუშათა ორგანიზაციების მოძრაობა ჩინეთის რეაქციონურ გენერლების წინააღმდეგ. ამის გამო სუნ-ჩუან- ფანის განკარგულებით ჯერ-ჯერობით თავი მოკვეთეს ას ჩინელ მუშას. (დეპეშებიდან).



გერმანიის კომპარტიის მე-11 ყრილობა

ესსენი, 1 მარტი. ესენში გაიხსნა გერმანიის კომპარტიის მე11 ყრილობა. ძმური კომპარტიების 14 წარმომადგენლის სახელით ყრილობას მიესალმა ამერიკის „უორკერს პარტი"-ს წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა გერმანიის კაპიტალის გერმანული და რეფორმისტების თანამშრომლობა ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების კაპიტალთან, რის გამოც შესაძლო გახდა გერმანიის სტაბილიზაციის განხორციელება.

ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენელის გამოსვლამ ტრიბუნაზე ხანგრძლივი ოვაციები გამოიწვია. მთელი დარბაზი მღერის „ინტერნაციონალს". ყრილობამ ერთხმად დაადგინა გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშა საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ჩინეთის კომპარტიას. (ადს).

მისალმებანი ყრილობას

კომინტერნის აღმასკომის დეპეშა

მოსკოვი, 2 მარტი. კომინტერნის აღმასკომმა მისასალმებელი დეპეშით მიმართა გერმანიის კომპარტიის მე-11 ყრილობას.

„გერმანიის კომპარტია, სწერს კომინტერნის აღმასკომი დეპეშაში, შესძლებს მის წინაშე მდგარ უდიდეს ამოცანების გადაწყვეტას, თუ კი იგი საბოლოოდ შეამჭიდროებს თავის რიგებს ნამდვილ ლენინურ პოზიციებზე. ეხლა თვით ბრმისათვისაც ნათელია, თუ ობიექტიურად როგორ როლს თამაშობდენ და თამაშობენ რენეგატების ჯგუფი კაციდან დაწყებული მასლოვამდე. მათი შეტევა საბჭოთა კავშირზე და საკავშირო კომპარტიაზე (ბ), იყო მხოლოდ „საზოგადოებრივი აზრის" ხელის შემწყობი, რომელმაც ჯერ-ჯერობით თავისი გამოხატულება ჰპოვა ჩემბერლენის ნოტაში. მემარჯვენეებისა და ოპორტიუნისტულ გადახრის მატარებელ ულტრა-მემარცხენეებთან ბრძოლაში განმტკიცდება, გამოიბრძმედება საერთაშორისო კომუნისტური არმიის სახელოვანი გერმანული რაზმი. კომინტერნის აღმასკომი გამოსთქვამს მტკიცე და ღრმა რწმენას, რომ გერმანიის რევოლიუციონურ მუშების პარტია იზამს ყველაფერს შესაძლებლობის ფარგლებში, რათა პირნათლად შეასრულოს თავისი პროლეტარული მოვალეობა. (ადს).

საკ. კომპარტიის ცეკას დეპეშა

მოსკოვი, 2 მარტი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა გერმანიის კომპარტიის მე-11 ყრილობას, რომელიც ესენში გაიხსნა.

„ჩვენ გამოვსთქვამთ ღრმა რწმენას,—ნათქვამია დეპეშაში, რომ მოსალოდნელი ამბების დროს გერმანიის პროლეტარიატის პარტია გამონახავს საკმარის ძალებს თავის შინაგანი სიმტკიცისა და მთლიანობისათვის, საბოლოოდ თავს დააღწევს ულტრა - მემარცხენე ავადმყოფობას, რომელიც ხელს უშლის კომპარტიის დაკავშირებას მასებთან და რომელიც მუშებს მიერეკება სოციალ-დემოკრატების ანტი - საბჭოთა პოლიტიკის

კანტონელების მორიგი გამარჯვება

ინგლისი და ჩინეთი

ლონდონი, 1 მარტი. ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მის მიერ ხანკოუდან მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ იქ გამოკრულია ინგლისურ ენაზე პლაკატები მოწოდებით ინგლისის მეზღვაურებისადმი.

ომალი ევენი ჩენის ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტებზე, რომლებიც არ ეთანხმება შეთანხმების დადების დროს გამოთქმულ აზრებს.

ლონდონი, 1 მარტი. პარლამენტის დეპუტატი ხადენ გესტი, რომელიც ემხრობოდა მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთას, გამოვიდა მუშათა პარტიიდან; პარტიიდან გამოსვლა გამოწვეულია იმით, რომ მას უთანხმოება მოუვიდა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციასთან ჩინეთში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სუნ-ჩუან-ფანის არმია მოდრეკილია

ლონდონი, 2 მარტი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, სუნ-ჩუან-ფანის ერთ ერთ თვალსაჩინო გენერალმა მთელი თავისი შტაბით სუან-ბიანში მიატოვა ბრძოლის ველი. ამის გამო სუნ-ჩუან-ფანის შანხაის თავდაცვის კომისარმა ბრძანება გასცა სუნ-ძიანიდან სუნ-ჩუან-ფანის მთელი არმიის მოხსნის შესახებ, რომელშიაც 24 ათასი ჯარისკაცი ირიცხებოდა. ჩჟან-ცზუნ-ჩანთან შეთანხმებით სუნ-ძიან-ში ამ ჯარს გამოსცვლის შანდუნის ჯარი, რომელიც მიემართება სუნ-ძიანისაკენ.

ამ შეთანხმების დადების შემდეგ შანხაის წინა სიმაგრეების დაცვა ეკისრება სასწრაფით ჩჟან-ცზუნ-ჩანის ჯარებს. სუნ ჩუან-ფანის არმია კი იგზავნება ცზიან-სუს პროვინციის სხვადასხვა ადგილებში, ამავე დროს, როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, „ამ არმიის ძალა მოდრეკილია".

შანხაი.—ნავთსადგურის ერთი კუთხე.

„უცხოეთის" ფირმები იმ მიზნით რომ დაბრკოლებები შეუქმნან ნაციონალურ მთავრობას, აღარ გზავნიან საქონელს მდ. იან-ცზით. ამის გამო შანხაის ნავთსადგურში თავმოყრილია აურაცხელი ნავები.

საპროტესტო გაფიცვა

ნიუ-იორკი, 1 მარტი. შანხაიდან იტყობინებიან, რომ ხანკოუში ჩატარდა ერთი საათის საპროტესტო გაფიცვა შანხაიში ინგლისის ჯარების გადმოსხმის წინააღმდეგ. (ადს)

კანტონელების გამარჯვება

ნიუ-იორკი, 1 მარტი. „ასოშიეტედ პრეს"-ის შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება: დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ნაციონალურმა ჯარებმა გაიმარჯვეს სუნ-ციანთან.

სუნ-ჩუან-ფანის გენერალმა ჩენ-ჩაოუმ დასტოვა ფრონტი შტაბთან ერთად, რომელმაც უარი სთქვა შანდუნის ჯარებთან შეერთებაზე.

შანდუნის ჯარები ჩამოდიან შანხაიში.

„მანჩესტერ გარდიენის" შეკითხვა

ლონდონი, 1 მარტი. „მანჩესტერ გარდიენი" მოწინავე წერილში სასტიკად აკრიტიკებს ინგლისის სარდლობის ღონისძიებებს შანხაიში; ამ ღონისძიებების წყალობით ინგლისის ჯარების თავდაცვითი ხაზი შანხაიში გადასცილდა საერთაშორისო სეტლმენტის ფარგლებს.

გაზეთი შეკითხვას იძლევა, რითი შეიძლება გამართლებული იქნეს ჩინეთის ტერიტორიის თუნდაც მცირე ნაწილის დაპყრობა.

კატასტროფა მაღაროებში

ლონდონი, 1 მარტი. უელსში ჩამონგრეულ მაღაროს გაწმენდის დროს აღმოჩენილ იქნა 8 მუშის გვამი.

ბილსტერპეში ახალი მაღაროს გათხრის დროს გასკდა წყალსადენის მილი. მაღარო, რომელშიც 83 მუშა იყო, აივსო წყლით და მიწით. გადაარჩინეს ერთი მუშა. ფიქრობენ, რომ დანარჩენები დაიღუპენ.

ლონდონი, 2 მარტი. ვაჭრობის მინისტრმა ლისტერმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ველის მაღაროს აფეთქების დროს ნიუპორტის ახლოს მოკლულია 23 კაცი, ხოლო მიწით დატანილია 28 კაცი (ადს).

ღამის ცნობები

გარდაიცვალა რუტენბერგი

ნიუ-იორკი, 2 მარტი. გარდაიცვალა „უორკერს პარტი"-ს ცეკას წევრი რუტენბერგი (ადს).

კაბინეტის კრიზისი ესტონეთში.

რევალი, 2 მარტი. ტემანტი (კაბინეტის მეთაური, რომელიც გადადგა), დასთანხმდა ახალი კაბინეტის შედგენაზე (ადს).

მაუდის ქვეშ

ბერლინი, 2 მარტი. ამჟამად მიმდინარე ამსტერდამის და მე-2 ინტერნაციონალის გაერთიანებულ სესიაზე დაადგინეს გადადებულ იქნას შემდეგ სესიამდე იმ საკითხის განხილვა, რომელიც შეეხება მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა პოზიციას საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე.

დებრიუკერის აზრი.

პარიზი, 2 მარტი. ბელგიის სოციალისტურ პარტიის ორგანო „პეპლ"-ში გამოქვეყნებულია ბელგიის სოციალისტების ერთ-ერთი ბელადის დებრიუკერის წერილი, რომელიც ეხება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხს.

„არ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა შესწყდება, — სწერს დებრიუკერი,—მაგრამ ამ ურთიერთობათა გაუარესება უკვე ფაქტია".

პეტლიურას მკვლელის საქმე

ოდესა, 2 მარტი. პეტლიურას მკვლელ შვარცბარდის დედამ და დამ, რომელნიც ოდესაში ცხოვრობენ, მიიღეს ცნობა, რომ შვარცბარდის პროცესი მთელ რიგ მოწმეთა გამოუცხადებლობისა და ზოგიერთ გარემოებათა გაურკვევლობის გამო მაისისათვის გადადეს. სწარმოებს დამატებითი გამოძიება (ადს).

სიგურანცა მუშაობს

ვენა, 2 მარტი. რუმინეთის „ოხრანკამ" გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამ დღეებში მომხდარი ახალი დაპატიმრებანი ბუქარესტში მიმართულია მხოლოდ კომკავშირელების წინააღმდეგ, რომელნიც „ოხრანკის" სიტყვით, სცემენ და ავრცელებენ არალეგალურ კომკავშირელთა გაზეთს „ახალგაზრდა ლენინელს". (ადს).

„კულტურული უპირატესობა".

ვარშავა, 2 მარტი. სეიმის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე, მას შემდეგ, რაც მემარჯვენე პარტიების ზოგიერთმა წარმომადგენლებმა განაპირა კუთხეებზე გაცემულ მანდატების შემცირებას დაუჭირეს მხარი,—იმ მოსაზრებით, თითქოს განაპირა კუთხეების მცხოვრებთა კულტურული დონე უფრო დაბალი იყოს პოლონეთის დანარჩენ ნაწილზე, უკრაინელმა დეპუტატმა ხრუცკიმ განაცხადა.

„თუ ჩვენ დასავლეთ უკრაინაში ვერ მივიღებთ ვერც ერთს მანდატს, მით უფრო ადრე დასავლეთ უკრაინა ჩამოშორდება პოლონეთს".

ხრუცკის მისცვივდა რამოდენიმე მემარჯვენე დეპუტატი, ამასთან ერთად სესინსკიმ მას მუშტი ჰკრა მკერდში.

ხრუცკიმ დაიყვირა: „აი, მაშასადამე, რაში ყოფილა დასავლეთი პოლონეთის კულტურული უპირატესობა აღმოსავლეთის წინაშე" (ადს).



გეორგ ბრანდესი

დანიის გამოჩენილი ლიტერატორი, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინათ გარდაიცვალა.

ინჟ. კუპერი

„დნეპროსტროისთან" დადებულ ხელშეკრულების გარშემო.

ნიუ-იორკი, 1 მარტი. ინჟენერმა კუპერმა „დნეპროსტროის" საამშენებლო კომიტეტთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ შემდეგი განაცხადა: „მე იმედი მაქვს, რომ ამ ხელშეკრულებას სხვა ხელშეკრულებებიც მოჰყვება. მე იმედი მაქვს, რომ დამაკმაყოფილებლად იქნება მოგვარებული დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, რასაც ბუნებრივად მოჰყვება ამერიკის კაპიტალის დაბანდება საბჭოთა კავშირში" (ადს).

პოლონეთ-გერმანიის

მოლაპარაკების განახლება

ბერლინი, 1 მარტი. გერმანიის ელჩი პოლონეთში რაუშერი 1-ლ მარტს დაბრუნდება ვარშავაში პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკების განსაახლებლად. (ადს).

ამერიკელების

„ოპერაციები" ხანკოუში

ვაშინგტონი, 1 მარტი. სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ ამერიკის ჯარის ნაწილებმა ხანკოუში იარაღი აჰყარეს 100 ჩინელ ჯარისკაცს. რომელთაც დაიკავეს ტრანსპორტის საჭიროებისათვის „სტრანდარტ-ოილ-კამპანიის" სანავთო გემი. ჩინელ რაზმს აჰყარეს 500 ვინტოვკა და სხვა მოწყობილობა (ადს).

„არა კონსტიტუციონური"

გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 1 მარტი. ნიუ-იორკის შტატის სასამართლომ არაკონსტიტუციონურად გამოაცხადა ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო საბჭოს დადგენილება, რომლის ძალით ამერიკის დაზღვევის საზოგადოებებს უფლება აქვთ შეაჩერონ იმ პოლისების გასტუმრება, რომელნიც რუსებს აქვთ შეძენილი, მანამდე სანამ საბჭოთა კავშირს არ იცნობს შეერთებული შტატები. ეს დადგენილება შესაძლებელს ხდის დამზღვევ კამპანიებისადმი წარდგენილ ძიებების განახლებას (ადს).

მოჭადრაკეთა

საერთაშორისო შეჯიბრი

ნიუ-იორკი, 1 მარტი. 1-ლ მარტს გაგრძელებულ იქნა დაწყებული პარტიები. ნიმცოვიჩმა მოუგო ალიოხინს (ადს).

ერნსტ ტოლლერი

ნორვეგიის ცენზურის შესახებ

სტოკჰოლმი, 1 მარტი. ცნობილმა გერმანელმა დრამატურგმა ერნსტ ტოლლერმა, (რომელიც შარშან საბჭოთა კავშირში იყო) კოპენჰაგენში მოხსენება წაიკითხა საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ.

მოხსენებამ მიიზიდა დიდძალი საზოგადოება, რომელიც უმთავრესად მუშებისა და ინტელიგენციისაგან შესდგებოდა. კოპენჰაგენიდან ტოლლერი უნდა გამგზავრებულიყო ოსლოში, სადაც მას იგივე მოხსენება უნდა წაეკითხა. ნორვეგიის ხელისუფლებმა პირველად ტოლლერს ნორვეგიაში შესასვლელად ვიზაზე უარი უთხრა. ხოლო ნორვეგიის სტუდენტთა იმ ორგანიზაციების ხანგრძლივი შუამდგომლობის შემდეგ, რომელნიც ტოლლერის მოხსენებას აწყობდენ ოსლოში, ტოლლერს ვიზა მიეცა მხოლოდ იმ პირობით, თუ ტოლლერი ხელისუფლების ორგანოებს თავის მოხსენების თეზისებს წარუდგენდა.

დაპატიმრებანი უნგრეთში

ვენა, 2 მარტი. დაპატიმრებანი უნგრეთში კვლავ გრძელდება. ბუდაპეშტის ქუჩები სავსეა პოლიციელებით.

ერთ-ერთმა დაპატიმრებულმა, სოციალისტური პარტიის წევრმა სანტამ პირველ დაკითხვაზე განაცხადა, რომ მისი ამოცანა მდგომარეობს უნგრეთის კომუნისტური პარტიის აღდგენისათვის ხელის შეწყობაში. ვაგომ დაკითხვაზე განაცხადა, რომ სოციალისტური მუშათა პარტიის წინააღმდეგ კვლავ დაიწყო გალაშქრება, ვინაიდან მთავრობა სცდილობს ჩაახშოს ეს პარტია (ადს).

ხელები შორს საბჭოთა კავშირისგან

საბჭ. კავშირის მშრომელთა პროტესტი

ჩემბერლენის ნოტის წინააღმდეგ

მოსკოვი, 2 მარტი. დონეცის ბასეინის მაღაროებსა და ქარხნებში გრძელდება მიტინგები ინგლისის ნოტის წინააღმდეგ. სტალინის სახელობის ქარხნის მექანიკური საამქროს მუშები მიღებულ რეზოლიუციაში აცხადებენ: „ჩვენ მზათ ვართ მედგრად შევხვდეთ მშრომელთა მტრების იერიშებს".

სრულიად ბელორუსიის ფეიქართა ყრილობა აცხადებს, რომ ინგლისის ნოტა არ შეიცავს არც ერთს კონკრეტულ ბრალდებას. ყრილობა მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ იერიშებს.

ვიტებსკის წითელარმიელთა ფართო კონფერენცია სთხოვს საბჭოთა მთავრობას უყოველგვარი ზომები მიიღოს საბჭოთა კავშირზე წარმოებულ იერიშების და დაცინვის შესაწყვეტად.

გომელის რკინისგზელები და წყლის მუშაკები აცხადებენ, რომ ისინი ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და მუდამ მზად იქნებიან საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ბობრუის თავდაცვის ხელშემწყობი საზოგადოება აცხადებს, რომ კერზონმა თავისი ნოტის პასუხად მიიღო საჰაერო ესკადრილია „ულტიმატუმი", ხოლო ჩემბერლენის საპასუხო მოქმედება კი იქნება კიდევ უფრო მეტად სამხედრო სამზადისი".

სტალინო, 2 მარტი., საბჭოთა რაიონულ ყრილობების დღის წესრიგში სოფლელებს შეაქვთ საკითხი ინგლისის ნოტის შესახებ.

ყველგან გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები (ადს).

ბალტა, 2 მარტი. ქალაქის საბჭოს არჩევნებზე ყველგან გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები ინგლისის ნოტის წინააღმდეგ.

რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ ინგლისელი კონსერვატორები ვერავითარი მუქარით ვერ შესძლებენ სოლიდარობის გრძნობის ჩაქრობას საბჭოთა კავშირის მშრომელთა, ჩინეთის მშრომელთა და ინგლისის მუშათა კლასს შორის (ადს).

„ჩვენ ვერ შეგვაშინებს იმპერიალისტების მუქარა"

2 მარტს თბილისის საყუდის და სარონოდოვარების მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებაზე ამხ. ხარიბეკოვმა გააკეთა მოხსენება ჩემპერლენის ნოტის შესახებ საბჭოთა მთავრობის მიმართ.

კრებამ მოხსენების შემდეგ ასეთი რეზოლიუცია გამოიტანა: „ინგლისის იმპერიალიზმი თავისი მუქარით ვერ შეგვაშინებს, საბჭოთა კავშირი მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებს. ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ თუ ვინმემ გაბედა საბჭოთა რესპუბლიკებზე გამოლაშქრება ჩვენ მზათა ვართ გავსცეთ მათ შესაფერი პასუხი.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს.
ძირს იმპერიალისტური მტაცებლები!
ძირს საერთაშორისო ფაშისტები!

მუშკორი ძია ლევან.

საქ. მედმუშაკთა ყრილობის პროტესტი

მედმუშაკთა სრულიად საქართველოს ყრილობამ [illegible] სხდომაზე, მოისმინა რა ამხ. ალექსანდრე ჯიჯეიძის ცნობა იმ ნოტის შესახებ, რომელიც ჩააბარა ინგლისის მთავრობამ მისი საგარეო მინისტრის ჩემბერლენის სახით ჩვენს რწმუნებულს ლონდონში, გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია:

„ყრილობა ერთხმად აღიარებს, რომ ნოტაში არ მოიპოვება ინგლისის მთავრობის მიერ წამოყენებულ ბრალდებათა დასამტკიცებელი არავითარი საბუთები. ყრილობას მიაჩნია, რომ ინგლისის მთავრობამ ამ გზით უნდა გასწყვიტოს საბჭოთა მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებანი. სრულიად საქართველოს მედმუშაკთა ყრილობა გამოსთქვამს თავის ღრმა გულის წყრომას ასეთი განზრახვების წინააღმდეგ იგი აღუთქვამს მუშა და გლეხთა ხელისუფლებას, რომ თუ საჭირო იქნება, როგორც ერთი კაცი ყველანი ფეხზე დადგება და გვერდში ამოუდგება პროლეტარიატის მოწინავე რაზმებს ბურჟუაზიული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.
გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას და მის მთავარ შტაბს კომუნისტურ ინტერნაციონალს.
ძირს ყოველგვარი იმპერიალისტური სისხლიანი ხელები, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული.

მიტინგი რკინის გზის მთავარ სახელოსნოში

2 მარტს რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეებმა მუშაობის გათავების შემდეგ, რიცხვით 2000 კაცზე მეტმა, თავი მოიყარა ამავე სახელოსნოს ამწყობთა საამქროში, სადაც გაიმართა მიტინგი.

მოვიდა ამხ. მ. კახიანი, რომელმაც მოკლედ გააცნო მიტინგს ინგლისის მიერ გამოგზავნილი ნოტის შინაარსი და საბჭოთა ხელისუფლების პასუხი ამ ნოტაზე. კრებამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია, რომელშიც მუშები პროტესტს აცხადებენ ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ და შემდეგ დაპირებას აძლევენ ხელისუფლებას: „ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ, თუ ვინმემ გაბედა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოლაშქრება".

მუშკორი ირა.

„ვერ შეგვაშინეს კერზონებმა, ვერც ჩემბერლენ-ხიკსები შეგვაშინებს"

1 მარტს ნაშუადღევის 3 საათზე ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბში შესდგა ტყავ-ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ამხ. ე. ახრიბეკოვმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი შეეხო საერთაშორისო საკითხებს, კერძოდ კი ინგლისის მთავრობის თავხედურ ნოტას.

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია. კრებამ შემდეგი ფიცი დასდო: „მუდამ მზად ვართ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენს მონაპოვარს. ვერ შეგვაშინეს კერზონებმა, ვერც შეგვაშინებენ, ჩემბერლენ-ხიკსებიც".

მუშკორი: ნაპერწკალი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საფოსტო ამანათების ტარიფის გადიდება

მოსკოვი, 2 მარტი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ შესაძლოდ სცნო, რომ რკინის გზის ტარიფის მომატებასთან ერთად, 1 მარტიდან 10 პროცენტით გადიდდეს ფოსტის ამანათების ტარიფიც (ადს).

სამხედრო საზღვაო აკადემიის 5 წლის თავი

მოსკოვი, 2 მარტი. 5 მარტს სრულდება სამხედრო საზღვაო აკადემიის რეორგანიზაციის 5 წლის თავი. აკადემია გადაკეთებულ იქნა იმ საფუძვლებზე, რომელნიც შეეფერებიან რესპუბლიკის საზღვაო ძალების საჭიროებას. ამასთან დაკავშირებით ამხ. ვოროშილოვმა აკადემიას მიმართა მისალმებით და უსურვა მას შემდგომი წარმატება სამხედრო-საზღვაო სპეციალისტების მომზადების საქმეში. (ადს).

ბელორუსიის კომპარტიის ცეკას პლენუმი

მინსკი, 2 მარტი. გაიხსნა ბელორუსიის კომპარტიის ცეკას პლენუმი. სხვა საკითხებს შორის, დღის წესრიგში შეტანილია აგრეთვე ფასების დაკლების საკითხი (ადს).

1926 წ. მომგებიანი სესხის ტირაჟი

ხარკოვი, 2 მარტი. 1-ლ მარტს დასრულდა 1926 წლის მომგებიანი სესხის ტირაჟი.

ოცდახუთი ათასიანი მოგება ხვდა: სერია 3435-ის ობლიგაციას № 16, სერია 0637-ის ობლიგაცია № 09-ს, სერია 2346-ის ობლიგაციის № 28-ს.

ორმოცდაათი ათასიანი მოგება ხვდა: სერია 2250-ის ობლიგაცია № 41, სერია 5768 ობლიგაცია № 12-ს.

ასი ათასიანი მოგება ხვდა: სერია 4544 ობლიგაცია № 29-ს (ადს).

გარბიან ტერორის ქვეყნიდან

მინსკი, 2 მარტი. მთელ რიგ სასაზღვრო რაიონებიდან იუწყებიან, რომ დასავლეთ ბელორუსიაში (პოლონეთში) თეთრი ტერორის გაძლიერების გამო გახშირდა გლეხობის არალეგალური გადასვლა ბელორუსიის ს. ს. რ. ტერიტორიაზე (ადს).

ფასების დაკლება

მოსკოვი, 2 მარტი. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელ თანამშრომლებს, რომლებიც ამ დღეებში მიემგზავრებიან ადგილებზე, დაევალათ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, 10 პროცენტით დაუკლონ ფასები ყველა საქონელს 1927 წლის 1-ლ იანვრის არსებულ ფასებთან შედარებით. გარდა ამისა რწმუნებულებმა უნდა დაუკლონ ფასები ისეთ საქონელს, რომლებიც არ შედიან გეგმით ვათვალისწინებულ საქონლის რიცხვში, და რომლებზედაც პირველად იქნა დაკლებული ფასები. რწმუნებულებმა უნდა მოახდინონ სავაჭრო ორგანიზაციების გამოკვლევა იმ მიზნით, რომ რამდენად ასრულებენ ისინი დაწესებულ ზედნადებ ფასების ნორმას. მუშაობაში ფასების დასაკლებად ჩაბმულ უნდა იქნან მშრომელთა ფართო მასები (ადს).

ბაქოს ბაზრობა

ბაქო, 2 მარტი. დღეს ბაზრობაზე მოვიდა 272 ტონა ახალი ტვირთი, სპარსეთიდან მოვიდა ორი გემი რომელმაც მოზიდა 40 ათასი ფუთი ბრინჯი, 3000 ფუთი ბამბა და სხვა საქონელი. საბაზრო კომიტეტში სპარსულ ვაჭრებისაგან შემოვიდა განცხადება დამატებითი ლიცენზიების აღების შესახებ. ბაზრობაზე მოსულ სპარსელი ვაჭრები აცხადებენ, რომ სპარსეთის საქონელზე ფასების აწევას, რომელიც ბაზრობას გახსნის წინ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ეხლა ადგილი არა აქვს და ფასები სტაბილურია. დღეს აღრიცხულია ბაზრობის შემდეგი მონაწილენი: სპარსელი ვაჭრები—52, სახელმწიფო ორგანოები—38, კოოპერაცია—9, სააქციო საზოგადოება—3; განსაკუთრებით იზრდება სპარსელ ვაჭრების მონაწილეობა ბაზრობაში. მოელიან მთელს ჯგუფს სპარსელი ვაჭრებისას.

შჩეგოლიუტინის პროცესი

ბაქო, 2 მარტი. აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოს დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა შჩეგოლიუტინის დაკითხვა.

შჩეგოლიუტინი გადაჭრით ამტკიცებს, რომ მე-207 ვერსზე ბაქოს კომისრების დახვრეტის დროს მან დაინახა კასპიის იქითა მხარის მთავრობის ზოგიერთი წევრები და სამხედრო დრუჟინის წევრები, როგორც: გერმაში, სედიხი, ანისიმოვი, ხუდოლოჟკინი და პიოტროვიჩი.

დღევანდელ ჩვენებებში შჩეგოლიუტინი ხშირად ეწინააღმდეგება წინანდელ ჩვენებებს, რომელიც მისცა მან მოწმის სახით ფუნტიკოვის პროცესზე. მრავალი მოვლენა მას „არ ახსოვს", „ყურადღება არ მიუქცევია", ან და „არ იცნობს". ამას ის ხსნის იმით, რომ იმ ამბების შემდეგ განვლო 9 წელმა. მაგრამ ზოგიერთ კითხვებზე უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა, ვიდრე ფუნტიკოვის პროცესზე. როდესაც სასამართლომ მიუთითა შჩეგოლიუტინს ამ გარემოებაზე, მან განაცხადა: „როდესაც მარტო ხარ ჩამწყვდეული, ძალაუნებურად ყველაფერი მოგაგონდება". ფუნტიკოვის პროცესზე შჩეგოლიუტინი აცხადებდა, რომ არ ახსოვს იყო თუ არა სვლის გზ. ბარათში აღნიშნული გაჩერება მე-207 ვერსზე, ახლა ამტკიცებს, რომ იყო აღნიშნული მაგრამ ამასთან შჩეგოლიუტინი დასძენს, რომ კრასნოვოდსკში მას მისცეს ნება ტექნიკური საჭიროების მიხედვით შეეჩერებინა მატარებელი იქ, სადაც მოისურვებდა.

როდესაც შჩეგოლიუტინს მიეცა კითხვა ფრონტიდან მისი გამოძახებისა და ორთქლმავალ №0-49-ზე დანიშვნის შესახებ, აქ შჩეგოლიუტინი იბნევა. ფუნტიკოვის პროცესზე მან აჩვენა, რომ ფრონტიდან ის სპეციალური დეპეშით იქნა გამოძახებული, ხოლო სპეციალური მატარებლის ორთქლმავალზე ის შემთხვევით მოხვდა. ეხლა კი აცხადებს რომ ფრონტიდან ის გაცილებით გვიან იყო გამოძახებული და დანიშნული აშხაბადის ჯარების მოძრაობის უფროსის თანაშემწედ.

პროკურორის შეკითხვაზე, ხელსაყრელი იყო თუ არა მისთვის ახალი ადგილი, შჩეგოლიუტინი უარყოფითად უპასუხებს.

მაშ, მაშინ რატომღა დათანხმდით?

მუშას უნდა ხელფასი და მეტი არაფერი.

შემდეგ შჩეგოლიუტინი უარყოფს, თითქოს ის რომელიმე პარტიას ეკუთვნოდა.

მაგრამ, ფუნტიკოვთან აღმოჩენილ სიაში თქვენ ირიცხებოდით ესერად და თითქოს კი მიილეთ შენიშნავს პროკურორი.

ამ შენიშვნაზე დამცველი სთხოვს სასამართლოს ყურადღება მიაქციონ მოწმე აკიმოვის და კოვალევის წერილობით განცხადებას, რომელშიც ისინი ახასიათებენ შჩეგოლიუტინს, როგორც პასიურ და პოლიტიკის გარეშე მდგომ ადამიანს.

შესვენების შემდეგ სასამართლო გადადის მოწმეთა პერვიშევის, ჩემენევის და ზამულეცის დაკითხვაზე. მათი დაკითხვით თავდება დილის სხდომა. დაკითხვა სწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს ეხება შჩეგოლიუტინის წარსულს, სპეციალური მატარებლის გაგზავნასთან დაკავშირებულ მომენტებს, შჩეგოლიუტინის დანიშვნის ორთქლმავალ №0-49-ზე და მატარებლის მოძრაობის წესრიგის დარღვევას.

„მოწმე, ეკითხება სასამართლოს თავმჯდომარე, შჩეგოლიუტინმა თავის ჩვენებებში სთქვა, რომ ორთქლმავალი №0-49-ზე იგი დანიშნეთ თქვენ. მართალია ეს თუ არა?

პერვიშევი უარყოფით უპასუხებს; სასწრაფო მატარების შედგენაზე მან საზოგადოთ არაფერი არ იცის.

მათმა პირისპირ დაყენებამ მნიშვნელოვანი შედეგები ვერ გამოიღო, ვინაიდან შჩეგოლიუტინი კვლავ აცხადებს, რომ ორთქლმავალ №0-49-ზე იგი დანიშნა პერვიშევმა, ეს უკანასკნელი კი უარყოფს ამას და ამტკიცებს, რომ „მას ყოველივე ეს პირველად ესმის".

ჩემენევი, მემანქანის თანაშემწე შჩეგოლიუტინს იცნობს 1909 წლიდან, ვინაიდან ერთ დეპოში მუშაობდენ. საქმის ვითარებიდან ახსოვს მხოლოდ, რომ შჩეგოლიუტინი, ხმების მიხედვით, სექტემბერში, რომელიღაც სპეციალური მატარებლით წავიდა კრასნოვოდსკში. 26 კომისარის დახვრეტის ამბავი მოწმემ გაიგო შემდეგ და ისიც ხმებით.

2 მარტის საღამოს სხდომაზე დაკითხულ იქნენ მოწმენი ნადოლსკი, კუზნეცოვი და მაზური.

ნადოლსკი შჩეგოლიუტოვის თანამოსამსახურეა, სწორედ ის მემანქანე, რომელიც რიგის მიხედვით უნდა გაჰყოლოდა იმ მატარებელს, რომლითაც შემდეგ წაიყვანეს 26 კომისარი. ღამით დანიშნული იყო იგი,ამზადებდა ორთქლმავალს, მაგრამ ორთქლმავალი მატარებელს მოუბა შჩეგოლიუტინმა. მატარებლის პოლტორაცკში გაგზავნის წინ კონდუქტორების კუპეში, სადაც იხვენებდა ნადოლსკი შევიდა მიასიშჩევი და წინადადება მისცა მას დარჩენილიყო პოლტორაცკში, ვინაიდან იგი არ უნდა წასულიყო. ნადოლსკის მოაგონდა, რომ იმ მომენტში, როცა იგი მიდიოდა სახლში, ის არ გაუშვეს ბაქანზე და ირგვლივ შემოატარეს. შჩეგოლიუტინი წინედ მიცემულ ჩვენებებში ამბობდა, რომ ნადოლსკის სთხოვა მან, რომ მის მაგივრად წასულიყო. ამ შემთხვევას ნადოლსკი კატეგორიულად უარყოფს. ნადოლსკი უარჰყოფს შჩეგოლიუტინის მიერ წამოყენებულ მეორე ვერსიასაც იმის შესახებ, რომ ვითომც ნადოლსკიმ ამის გამო სთხოვა სადგურის და დეპოს მორიგეს.

„არაფერი, აცხადებს ნადოლსკი, მე არ მითქვამს და არც არაფრის შესახებ მითხოვნია არც მიასიშჩევის და არც პერვიშევისათვის".

შჩეგოლიუტინთან და ნადოლსკისთან პირისპირ დაყენების დროს პერვიშევი ადასტურებს ნადოლსკის ჩვენებას.

პროკურორის შეკითხვაზე, უამბო თუ არა მას შჩეგოლიუტინმა იმის შესახებ, რომ იგი შჩეგოლიუტინი, 26 კომისარის დახვრეტის მოწმე იყო, ნადოლსკი უარყოფითად უპასუხებს (ადს).

პარტიული ცხოვრება

მუშაობა ს.-სამ. და სატყეო დარგების მუშებს შორის

მოსკოვი, 2 მარტი. პარტიის ცეკამ მიიღო დადგენილება სასოფლო - სამეურნეო და სატყეო დარგის მუშათა შორის მუშაობის შესახებ.

სასოფლო - სამეურნეო და სატყეო დარგის მუშათა შორის მუშაობა, ნათქვამია დადგენილებაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს კულაკურ კაპიტალისტურ ელემენტების ზრდასთან დაკავშირებით, რომელთა წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა კლასს, სოფლად ექნება მტკიცე დასაყრდენი — მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული კავშირი საშუალო გლეხობის ფენებთან. საჭიროა გაძლიერებულ იქნეს მოჯამაგირეების ჩაბმა სოფლის ღარიბი მოსახლეობის ორგანიზაციის საქმეებში.

მუშათა კლასის და გლეხობის ძირითადი მასის კავშირის განსახორციელებლად და პროლეტარული ხელმძღვანელობის გასატარებლად, აუცილებელია პარტიულ, კომკავშირის და საბჭოთა ორგანოების სწორი ხაზი და პრაქტიკა —სასოფლო - სამეურნეო და სატყეო დარგის მუშათა შორის მუშაობაში.

მომავალში საჭიროა განვაგრძოთ სასოფლო - სამეურნეო და სატყეო დარგის მუშების დარაზმვა პროფკავშირებში. კავშირში მიღებულ უნდა იქნან სოფლის მხოლოდ პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ის ელემენტები, რომელთათვის დაქირავებული შრომა წარმოადგენს არსებობის ერთად ერთ ან უმთავრეს წყაროს. წარმოებულ უნდა იქნეს სისტემატიური მუშაობა პროფკავშირულ დემოკრატიის გასატარებლად. პროფკავშირთა პრაქტიკიდან უნდა განიდევნოს ზევიდან დანიშვნის მეთოდები, და მიღებულ უნდა იქნეს ზომები სასოფლო - სამეურნეო და სატყეო დარგის მუშების წამოსაყენებლად საპასუხისმგებლო პრაქტიკულ სამუშაოზე კავშირის ყველა ორგანოებში. საჭიროა რათა გაძლიერებულ იქნეს პირველ საფეხურის პროფორგანიზაციების მუშაობის ხელმძღვანელობა და რეგულიარულად ტარდებოდეს პროფკავშირთა აქტივის კრებები სათემო და სარაიონო ცენტრებში პროფმუშაობის მიმდინარე საკითხების და ინსტრუქციების დასამუშავებლად. პროფკავშირების ერთ - ერთ ძირითად ამოცანათ უნდა ჩაითვალოს კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობა.

გლეხური ახალგაზრდობის სკოლების, პროფტექნიკურ და სასოფლო - სამეურნეო კურსების, განსაკუთრებით კი სატრაქტორო კურსების, და აგრეთვე საბჭოთა და პარტიულ სკოლების ორგანიზაციის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ კურსებზე და სკოლებში მისაღებად, რაც შეიძლება მეტი მოჯამაგირეების და სასოფლო - სამეურნეო მუშათა სხვა ჯგუფების წამოყენება.

ეკონომიურ მუშაობის სფეროში საჭიროა მიღებულ იქნეს ყველა ზომები სასოფლო - სამეურნეო მუშების ინტერესების დასაცავად. დამუშავებულ უნდა იქნეს საკითხი პრაქტიკულ ღონისძიებების შესახებ, სასოფლო - სამეურნეო მუშებისათვის უმუშევრობის პერიოდში სათანადო დახმარების გასაწევად. ასეთი დახმარება უნდა მიეცეს იმ სასოფლო - სამეურნეო მუშებს, რომელთათვის დაქირავებული შრომა არსებობის ერთად - ერთ წყაროს შეადგენს. საჭიროა დაჩქარებულ იქნეს მოჯამაგირეების და დაქირავებულ მწყემსების სოციალურ დაზღვევის საკითხის პრაქტიკულად გატარება. გაძლიერებულ უნდა იქნეს პარტიული მუშაობა სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დარგის მუშებს შორის.

სასოფლო - სამეურნეო და სატყეო მუშებს შორის კომკავშირის მუშაობის მხრივ საჭიროა გატარებულ იქნეს უფრო ენერგიული ზომები კომკავშირელ მოჯამაგირეების და მოჯამაგირე ქალების ჩასაბმელად პროფკავშირებში და გაძლიერებულ იქნეს კომკავშირის საორგანიზაციო მუშაობა ახალგაზრდა სასოფლო - სამეურნეო და სატყეო დარგის მუშებს შორის.

სასოფლო - სამეურნეო და სატყეო დარგის მუშების კავშირის ფრაქციების და აგრეთვე ადგილობრივ პარტორგანოების ყურადღება უნდა მიექცეს პროფმუშაობის სუსტად განვითარებას მოჯამაგირეებს შორის აღმოსავლეთის ნაციონალურ ოლქებში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებულად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მოჯამაგირეობის ჩაბმას საბჭოების და კოოპერაციის მუშაობაში, როგორც არჩევნების დროს, ისე ამ ორგანოების ყოველდღიურ საქმიანობაში. ცეკა ხაზს უსვამს ამ ამოცანების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ მის განხორციელებისაგან არის დამოკიდებული პროლეტარული დიქტატურის შემდგომი განმტკიცება. საბჭოებში და კოოპერაციაში თავისი მუშაობის გაძლიერებასთან ერთად ორგანიზაციულად დარაზმული მოჯამაგირეობა იმავე დროს უნდა აწარმოებდეს მუშაობას გლეხობის შესაკავშირებლად მშრომელი მოსახლეობის და მასთან დაახლოვებულ ფენების ინტერესების დასაცავად. შეკავშირებული მოჯამაგირეობა უნდა წარმოადგენდეს პარტიის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს პროლეტარული ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის სოფლად და მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხობის ფართო ფენების შესაკავშირებლად საშუალო გლეხობის ელემენტებთან კულაკობის წინააღმდეგ. (ადს).

უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებში

უჯრედი ნაყოფიერად მუშაობს

(„26" სახელობის კომუნივერსიტეტში)

„26" სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის კომპ. კურსების უჯრედი (№ 64) ჩამოყალიბდა 1926 წლის ოქტომბრიდან, ამავე კურსებზე მეცადინეობის დაწყების შემდეგ.

წევრთა მცირე რიცხოვანობის გამო თავიდან ბიურო არ ყოფილა არჩეული, არჩეულ იქნა მხოლოდ უჯრედის პ.-მ. მდივანი, რომელმაც კავშირი გააბა კურსების ადმინისტრაციასთან და უნივერსიტეტში არსებულ ყველა ორგანიზაციებთან (უნივერსიტეტის პარტ-კომკავშირის უჯრედი, სტუდ. კომი, კურსების პროფკომი და სხვა). აქედან დაიწყო უჯრედის მუშაობა და ხელმძღვანელობა კურსებთან არსებული ორგანიზაციებისადმი.

დღემდე უჯრედში გარჩეულია საკითხები. შინაპარტიული მდგომარეობა, მე-15 პარტკონფერენციის შედეგები, პარტ-აღწერის მნიშვნელობა, საბჭოთა არჩევნები და პარტიის ამოცანები; ამას გარდა მოსმენილ იქნა მოხსენებები: კურსების პროფკომის და კომკავშირის უჯრედის მდივნის. მათ მიეცათ მითითებანი და დ[illegible] უკანასკნელად მოსმენილ იქნა საერთო კრებაზე კურსების გამგის მოხსენება. მიღებულ იქნა პარტიის კანდიდატად ორი კომკავშირელი, [illegible] იქნა წევრად ერთი პარტკანდიდატი.

კურსებთან არსებული კომკავშირის უჯრედი დამაკმაყოფილებლად მუშაობს. უჯრედში 30 კომკავშირელია (სულ კურსებზე 60 კაცია: 30 კომკ., 20 პარტ. წევრკანდ. და 10 უპარტიო), გამოყოფილია ერთი პარტ-ამხანაგი კომკავშირელთა შორის მომუშავედ, კომკ. უჯრედის მდივანი ესწრება პარტიის უჯრედის გაერთიანებულ კრებებს (კომკ. მდივანი — პარტკანდიდატია).

პარტუჯრედის დამოკიდებულება კურსების ადმინისტრაციასთან ნორმალურია. შეთანხმებულად მუშაობს პარტიის, კომკავშირის უჯრედი და კურსების პროფკომი; პროფკომის საშუალებით სწარმოებს კულტგანმანათლებელი მუშაობა.

პარტ-აღწერა კურსების უჯრედში სრულიად დამაკმაყოფილებლად ჩატარდა; აღწერას წინ უძღოდა ახსნა-განმარტება და მოხსენება აღწერის მნიშვნელობაზე, თვით აღწერა ჩატარდა 20 იანვარს, აღწერაში გატარდენ ყველა წევრკანდიდატები უკლებლივ.

უკანასკნელად წევრთა რიცხვის გადიდების გამო, უჯრედის საერთო კრებამ დაადგინა: მორიგ კრებაზე მოისმინოს უჯრედის მდივნის ანგარიში ჩატარებულ მუშაობაზე და აირჩიოს ბიურო, რათა უჯრედის მდივანს შეუმსუბუქოს მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი კავშირი რაიკომთან სუსტია, ახალმა ბიურომ ამასაც უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება.

მ. ბარამია.

ჩვენი საქმიანობა

(სახელ. უნივერსიტეტის ა. ლ. კომკავშირის უჯრედები)

სახ. უნივერსიტეტთან არსებულ საქ. ა. ლ. კომკავშირის ორგანიზაცია თავის ირგვლივ აერთიანებს 600 კომკავშირელს. ფაკულტეტებთან ჩამოყალიბებულია ხუთი უჯრედი, რომელიც თავის [illegible] კოლექტივში. თუმცა უნივერსიტეტის ფარგლებში დიდი ხანია არსებობენ კომკავშირის უჯრედები, მაგრამ მათი მუშაობა წელს განსაკუთრებულ დონეზე, სდგას. სისტემატიურათ ხდება კრებები, სადაც ყოველთვის საქმიანი და სტუდენტობისათვის საინტერესო კითხვები წყდება. წევრებიც დიდ აქტივობას იჩენენ. პარტუჯრედის მეთაურობით ჩამოყალიბებულია სამი სხვადასხვა წრე. კომკავშირელი სტუდენტობა აკადემიურ მუშაობასაც ძლიერ ეცნობა და ამ მხრივ მას მიღწევებიც საგრძნობი აქვს. ამის გამო გაიზარდა მათი ავტორიტეტი უპარტიოთა შორის, რამაც გამოიწვია სტუდენტობის ჯანსაღი ნაწილის ლტოლვა ჩვენს კავშირისაკენ.

უნივერსიტეტის უჯრედში ყოველთვის სუსტი იყო ქალთა შორის მუშაობა. მცირე იყო კომკავშირელ ქალთა რიცხვი, ამ გარემოების გამოსასწორებლად მიღებულ იქნა სათანადო ზომები. გამოყოფილი იქნენ ცალ-ცალკე უჯრედებიდან უპარტ. ქალთა შორის მომუშავეები. ეს ამხანაგები უკვე აწარმოებენ მუშაობას, მაგრამ ჩვენის აზრით ეს არ არის საკმარისი,—საჭიროა რაიკომის ქალთა განყოფილებამ გაუწიოს ხელმძღვანელობა ამ მუშაობას, საბჭოთა არჩევნების კამპანიას კომკავშირი მომზადებული შეხვდა და გამოცდაც დაიჭირა. პარტიის ხაზი სავსებით სწორათ იქნა გატარებული. შედეგათ მივიღეთ ის, რომ კომკავშირელ დეპუტატთა რიცხვი საბჭოში წარსულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა.

კ. ჩიხლაძე.

პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენცია

გუშინ საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენციის მე-2-ე პლენარული სხდომა. სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია სექციების მუშაობის შესახებ. სექციებს მოუსმენიათ პოლიტსკოლების მსმენელთა მოხსენებები, რომლებიდანაც გამორკვეულა ადგილებზე მეცადინეობისათვის ხელის შემშლელი სხვადასხვა მიზეზები. ამ მიზეზთაგან უმთავრესი, რაც აღუნიშნავთ სექციებს—ეს სკოლებისათვის შესაფერი ბინების და ლიტერატურის უქონლობაა ქართულ და სომხურ ენებზე, აგრეთვე ხელის შემშლელ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მეცადინეობა არ სწარმოებს ერთნაირი მეთოდით ყველა სკოლებში.

ინფორმაციულ მოხსენებების შემდეგ მიღებულ იქნა ვრცელი რეზოლიუცია გარჩეულ საკითხების გარშემო, რის შემდეგაც კონფერენცია დაიხურა.

კ. სურმუშელი.

ახალი სახელმწიფო მომგებიანი სესხი

ანკეტა ახალი სესხის შესახებ

ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა მთელ რიგ პასუხისმგებელ მუშაკებთან, რომლებმაც ახალ 100-მილიონიან სახელმწიფო სესხის მნიშვნელობის შესახებ განაცხადეს შემდეგი:

ამხ. ფილიპე მახარაძე

(საქ. ცაკის თავმჯდომარე).

მე ეჭვი არ მეპარება, რომ ახალი 100-მილიონიანი სახელმწიფო სესხი დიდ გამოძახილს ჰპოვებს როგორც საქართველოს, ისე მთელ საბჭოთა კავშ. ფართო მშრომელ მასებში. ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში სახელმწ. სესხის სახით თანხების წვრილმა დაგროვებამ უნდა ითამაშოს თვალსაჩინო როლი. ამ მხრივ ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვება ითვლება საგრძნობ მიღწევად. სახელმწიფო სესხებიდან მიღებული შემოსავალი და დიდი შანსები მოგებისა, თავის-თავად ამტკიცებენ, თუ რამდენად ხელსაყრელია სესხის ობლიგაციების შეძენა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მოსახლეობის შეგნება დიდათ გაიზარდა და მას კარგად ესმის, რომ სახელმწიფოსათვის სესხად მოცემული საშუალებები მას უკანვე უბრუნდება დიდის მოგებით.

საქართველოს მოსახლეობა და მისი სამეურნეო ორგანიზაციები ფრიად დაინტერესებული არიან ახალი სესხის ობლიგაციების წარმატებით გასაღებაში.

სესხები, რომელთაც უშვებს საბჭოთა მთავრობა, საგრძნობლად გაადვილებენ და დააჩქარებენ ჩვენი სამშენებლო გეგმების რეალურად განხორციელებას; ამ გეგმების განხორციელება კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის კულტურის და მთელი ჩვენი ცხოვრების ბედთან.

სწორედ ამისათვის ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ეს ინტერესები და ვისაც არ სურს დარჩეს გვერდზე ჩვენი ქვეყნის ინტენსიური ზრდის პროცესიდან,—ყოველ მხრივ უნდა შეუწყოს ხელი ახალი სახელმწიფო სესხის რეალიზაციას.

ამხ. ჰუსეინოვი

(ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარი).

— 1925 წლიდან საბჭოთა სახელმწიფო სესხები ვრცელდება განსაკუთრებით ნებაყოფლობითი წესით და ამ მომენტიდან სახელმწიფო კრედიტი იწყებს მთელი კავშირის ფართო მოსახლეობის ნდობის მოპოვებას.

ჩვენ მთელ კავშირში დავიპყარით საკმაოდ ფართო ბაზარი სესხებისათვის. ამას ამტკიცებს ის უდიდესი ინტერესი, რომელიც მოსახლეობამ გამოააშკარავა უკვე გამოშვებულ 1926 წლის მომგებიან სესხისა და 1922 წ. პირველ საშინაო სესხის ობლიგაციებისადმი.

ახალი სესხი სახელმწიფოს უჯდება 14 პროცენტამდე; ამგვარად ჩვენ გვაქვს სახელმწიფო კრედიტის გაიაფება, მე-2-ე სახელმწ. და სხვა სესხებთან შედარებით 8 და მეტი პროცენტით.

ამასთანავე ობლიგაციის შეღავათიანი კურსი და მთელი რიგი სხვა შეღავათები, რომლებიც დაწესებულია კოლექტიურ ხელისმომწერელთათვის, ობლიგაციის მქონეთ აძლევს პირველი ორი წლის განმავლობაში მოგებას—17 პროცენტის რაოდენობით.

ამ შემოსავლის დიდ ნაწილს შეადგენს წლიური პროცენტი (10 პროცენტი წელიწადში), რომელიც მტკიცედ ენიჭება ობლიგაციების მეპატრონეთ.

მეორეს მხრით, ახალი სესხი ყოველწლიურად გათამაშებული იქნება ოთხჯერ და თითოეულ გათამაშების დროს იგებს ობლიგაციების დიდი რაოდენობა.

ეს ხელსაყრელი პირობები უზრუნველყოფენ სესხის რეალიზაციას მშრომელთა ფართო მასებში,

ამხ. ს. ჯუღელი

(საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე).

— უდიდესი ნაწილი ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეებისა თანხების უქონლობის გამო დაუმუშავებელი და გამოუყენებელი რჩება.

1927 წ. 100-მილიონიანი სახელმწიფო სესხის გამოშვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთოდ მთელი საბჭოთა კავშირისათვის, ისე კერძოთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებისათვის.

გაბნეულ წვრილ შემონახულ თანხების დაგროვება საშუალებას მოგვცემს გადავსწყვიტოთ ის მტკივნეული საკითხი, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პრობლემის სახით. ახალი სესხი გამოყენებული იქნება ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის.

მე სრულის დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ ახალი სესხის რეალიზაცია დიდ ინტერესს გამოიწვევს ქართველ მშრომელ მასებში.

ამხ. იაკუბოვი

(ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე)

— პროფორგანიზაციები უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ ახალ სახელმწიფო მომგებიან სესხს. მით უმეტეს, რომ სხვებთან ერთად პროფორგანიზაციები უაღრესად არიან დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხით, რის გადაწყვეტასაც მოხმარდება სესხიდან შემოსული თანხები.

ჩვენის მხრივ უკვე მიღებულია ზომები სესხის იდეის პოპულიარიზაციისათვის პროფკავშირთა წევრების ფართო არმიაში. ჩვენ დაუგზავნეთ სადირექტივო ცირკულიარი ამიერკავკასიის ყველა პროფორგანიზაციებს. ამასთანავე გადაწყვეტილი გვაქვს სადელეგატო კრებებზე და კონფერენციებზე სესხის შესახებ მოხსენებების ჩატარება. სადაც ეს კრებები და მოხსენებები არ იქნება, იქ მოვიწვევთ სპეციალურ კრებებს და დავსვამთ მოხსენებებს სესხის შესახებ.

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ძირითად პროფორგანიზაციებს გამოჰყონ ამხანაგები სესხის კამპანიის ჩასატარებლად. ეს უკანასკნელნი იმუშავებენ ფინორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

ამხ. კ. ჩხენკელი

(ა.-კ. სასოფლო-სამ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე).

ახლად გამოშვებული 10-პროცენტიანი სახელმწიფო სესხი აძლიერებს არა მარტო სახელმწიფოს საშუალებებს, რომელიც მოხმარდება სახალხო მეურნეობას, არამედ აძლევს დიდ შეღავათებს და მოგებას თვით სესხში მონაწილეთ.

სესხის ობლიგაციების შეძენა ხელმისაწვდომია თითოეული მუშისა და გლეხისათვის. საკუთარ შემონახულ საშუალებათა მოთავსება სახელმწიფო სესხში, 5 მანეთის ფარგლებშიაც კი ითვლება ხელსაყრელად და ხელმისაწვდომად ობლიგაციის თითოეულ პატრონისათვის.

ფართო შეღავათებმა კოლექტიურ ხელისმოწერის დროს უფრო უნდა მიიპყროს ფართო მასების ყურადღება სესხისადმი.

ახალი სახელმწიფო სესხის პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა უაღრესად დიდია, რადგან შემოსული თანხა ასი მილიონის რაოდენობით მოხმარდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

სესხის რეალიზაციის საუკეთესო ფორმად უნდა ჩაითვალოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური ხელისმოწერა, რადგან მათ საშუალება ეძლევათ ხაფასურის გადახდისა ექვსი თვის განმავლობაში.

აღნიშნული სესხი იძლევა საკმაოდ დიდ პროცენტს (10 პროცენტი) და ითვალისწინებს აგრეთვე მსხვილ მოგებებს, რომელთაც ერთბაშად შეუძლიათ სესხში მონაწილის ბიუჯეტის გამოსწორება.

ყველა აქ ჩამოთვლილი პირობებმა უნდა უკარნახონ მოქალაქეებს ფართო მონაწილეობა მიიღონ სესხში.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემა თავის მხრივ მიიღებს ყოველგვარ ზომებს სესხის ფართედ რეალიზაციისათვის.

პროფორგანიზაციების მონაწილეობა

ახალი სესხის რეალიზაციის საქმეში

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მიმართვა

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. იაკუბოვის და კულტგანყოფილების გამგის ამხ. პოდოლსკის ხელმოწერით, ამიერკავკასიის ყველა პროფორგანიზაციებს 1927 წ. ახალი სახელმწიფო 100-მილიონიან სესხის შესახებ დაეგზავნათ შემდეგი შინაარსის მოწოდება..

„საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, გამოშვებულია 1927 წ. 10-პროცენტიანი შინაური მომგებიანი სესხი.

1927 წ. სესხი მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის და პირველ რიგში მშრომელი მოსახლეობის მიერ შემონახულ თანხების გამოყენებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოციალისტური მეურნეობის აღმშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად.

საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა და, განსაკუთრებით, პროფკავშირებში გაერთიანებულმა მუშათა კლასმა, როგორც ყველაზე უფრო დაინტერესებულმა საბჭოთა სახელმწიფოს ბაზის სოციალისტური განვითარებაში, აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი საბჭოთა კავშირის მთავრობას 1927 წ. სესხის სრულ რეალიზაციაში.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო მიმართავს ა.-კ. ფედერაციის ყველა პროფორგანიზაციებს მოწოდებით—დაუყოვნებლივ შეუდგენ მუშაობას ახალი სესხის პოპულიარიზაციისათვის და ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი ფინსახკომის ორგანოებს პროფკავშირების წევრთა ფართო მასებში სესხის ობლიგაციების ნებაყოფლობით გასაღების საქმეში.

ამ მიზნის განსახორციელებლად პროფორგანიზაციებმა:

1) ფართოდ უნდა გამოიყენონ პროფკავშირის და პარტიულ-საბჭოთა პრესა, მოათავსონ მათში პოპულიარული წერილები, 1927 წ. სესხის მიზნების და მნიშვნელობის შესახებ, სესხზე ხელისმოწერის წესი და სხვ.

2) პროფკავშირთა ყრილობებზე და კონფერენციებზე, კლუბებში და აგრეთვე საერთო კრებებზე წარმოებებში და დაწესებულებებში აუცილებელია 1927 წ. სესხზე ხელისმოწერის ჩატარების შესახებ საინფორმაციო მოხსენებების დასმა.

3) იმ წარმოებებში და დაწესებულებებში, სადაც უახლოეს 20 დღის განმავლობაში არ არის მოსალოდნელი საერთო კრებების მოწვევა, პროფორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ დასვენებები სადილობის დროს, ან მოაწყონ ხანმოკლე კრებები მუშაობის დამთავრების შემდეგ და ამ კრებებზე პოპულიარულად უხსნან და გააშუქონ 1927 წ. სესხის მიზნები და ამოცანები.

4) პროფორგანიზაციებმა ამასთანავე უნდა აღმოუჩინონ დახმარება ადგილობრივ ფინორგანოებს სესხზე კოლექტიური ხელისმოწერის მოწყობის საქმეში; საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების მხრივ სასურველია განსაკუთრებული პირის გამოყოფა ფინორგანოებთან კავშირის დასაჭერად, კოლექტიური ხელისმოწერის ჩატარების ტექნიკურ საკითხების დასამუშავებლად და სხვა".

პატარა ფელეტონი

მიქელ-გაბრიელი

ჟამობის დროს დასავლეთ გურიის სოფელ ჭონჭყოთში სცხოვრობდენ მღვდელი მიქელი და მისი დიაკონი გაბრიელი.

სცხოვრობდენ ისე, როგორც ყველა ხუცეს - დიაკვნები: წირვა - ლოცვაში და სმა-ჭამაში.

სწორეთ ამ კარგი სმა-ჭამით გადურჩენ ჟამობას, რომელმაც ციებასთან ერთათ მუსრი გაავლო ხალხს.

ღრმად მოხუცებული დაიხოცენ და დაიმარხენ, როგორც ჩვეულებრივი მომაკვდავნი. მორჩა და გათავდა,—ამითი მიეცემოდა დავიწყებას მათი ხსოვნა.

მაგრამ სხვანაირად ფიქრობდა ეგვიტი კეჭაყმაძის ქალი, რომელსაც მრავალი სიტკბოება ახსოვდა თავის ახალგაზრდობაში როგორც მღვდელი მიქელიდან, ისე მისი დიაკონი გაბრიელიდან.

სამარის კარზე მიმდგარ დედაბერს ენანებოდა ტკბილი წარსულის მოგონების სიკვდილის შემდეგ დავიწყებისთვის მიცემა და ხშირათ ფიქრობდა ამაზე.

ალბათ ამიტომ იყო, რომ ერთხელ ძილში დაესიზმა მას გარდაცვალებული მიქელი და გაბრიელი იმ სახით, რომლის გამჟღავნება საზოგადოებაში სირცხვილი იყო. მაგრამ ეგვიტიმ სულ სხვა ფერ გადასცა მეზობლებს სიზმარში მისი პაემანი გარდაცვალებულ ძველ მეგობრებთან.

ეგვიტის სიტყვით, მიქელი და გაბრიელი, საწირავ სამოსელში გამოწყობილი, ხელაპყრობით ევედრებოდენ ღმერთს თავიანთ ყოფილ მრევლისთვის ცოდვების შენდობას.

ეგვიტი კეჭეყმაძის ქალის უკულმა გადაცემულმა სიზმარმა ერთბაშათ შესცვალა საიქიოს გამგზავრებულ ხუცესის და დიაკონის ბედი საქაოს.

ისინი წმინდანათ იქნენ აღიარებული და მათი სახელის სადიდებლათ სოფელ ჭონჭყოთს ეწოდა მიქელ - გაბრიელი.

ამის შემდეგ ხშირათ ხედავდენ მათ სიზმარში არა მარტო ეგვიტი კეჭეყმაძის ქალი, არამედ ბევრი სხვა დედაბრებიც, რომელთაც ახალგაზრდობაში ტკბილი მოგონება აკავშირებდათ მსუნაგ მღვდელთან და დიაკონთან.

ეგვიტისა და სხვა დედაბრების გარდაცვლასთან ერთად წაიშალა ხუცეს—დიაკონი მიქელ - გაბრიელის ხსოვნაც. დარჩა მხოლოთ მათი სახელის სოფელი მიქელ - გაბრიელი.

გავიდა ხანი. ხუცეს - დიაკვნები შესცვალეს მენშევიკურმა მარჩიელ - მქადაგებლებმა, რომლებიც სიმსუნაგით მათ არ ჩამორჩებოდენ.

მიქელ - გაბრიელსავით სახელის მოხვეჭის სურვილი ბევრს ჰქონდა აღძრული, — მათ შორის პეტრე კეჭაყმაძეს და პავლე ცრუპენტელაძეს.

წირვა - ლოცვის მაგიერ ისინი ეწეოდენ მარჩიელ - ქადაგებას, თუ როდის გაქრებოდა საბჭოთა ხელისუფლება და მენშევიკებს დარჩებოდათ ბურთი და მოედანი.

მაგრამ ეს მარჩიელობა მუდამ გაუმართლებელი რჩებოდა, რის გამო სახელის მოხვეჭის მაგიერ პეტრე და პავლე ყოველივე ნდობას ჰკარგავდენ ხალხის თვალში.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა პეტრემ და პავლემ უკანასკნელათ კიდევ სცადეს თავიანთი მარჩიელობა ამა წლის თებერვლის ოცდა სამს, მიქელ-გაბრიელის თემის საბჭოს საარჩევნო კრებაზე.

ამის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ყლაპავდენ ნერწყვს და იფხანდენ აქავებულ კისერს როგორც პეტრე და პავლე, ისე მათი მარჩიელობის მორწმუნენი.

მაგრამ კიდევ უმტყუნათ ბედმა და ისეთი შედეგი მიიღეს, რასაც არ მოელოდენ.

სოფელ ჭონჭყოთმა კიდევ გამოიცვალა სახელწოდება, მარა მისთვის არ დაურქმევიათ პეტრე - პავლეთი, არამედ საბჭოეთი.

ამნაირათ აღიფხვრა პირისაგან მიწისა როგორც ხუცეს - დიაკონი მიქელ-გაბრიელის ხსენება, ისე მენშევიკ - მქადაგებელი პეტრე კეჭაყმაძის და პავლე ცრუპენტელაძის ხსოვნა.

ს. თ—ია

საბჭოთა საქართველო

წერილები

სოფლის შრომის გმირები

მალე შესრულდება ორი წელი (7 აპ. 1927 წ.), რაც თბილისში დაარსდა გლეხის ცენტრალური სახლი. გლეხის სახლი აწყობს მრავალგვარ ლექციებს, მოხსენებებს, აქვს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი და სხვა, რაც ძლიერ უწყობს ხელს გლეხობის გათვითცნობიერებას და მათ მიერ მიწის დამუშავების ახალი წესების შეთვისებას.

მაგრამ მარტო ლექციები და მუზეუმი არ კმარა. ჩვენის აზრით საჭიროა მივბაძოთ მოსკოვის სასახლის შესანიშნავ მაგალითს და შემოვიღოთ ჩვენი სახლის პრაქტიკაში კარგი მეურნის დაჯილდოება „შრომის გმირის“ ხარისხით, რაც ძლიერ წაახალისებს მეურნეებს.

ამ მიზნით საჭიროა გლეხის სახლთან დაარსდეს ცალკე განყოფილება, რომელიც იქონიებს მიწერ-მოწერას თემებთან და გამოარკვევს თუ რომელი გლეხი არის ღირსი ამ ჯილდოსი. „შრომის გმირის“ ნიშანი მიეცემა იმ გლეხმეურნეს, ვინც თავისი მიწა სამაგალითოდ დაამუშავა და დიდი მოსავალი მოიყვანა. მაგ. ამ და ამ თემში მიწა ჩვეულებრივად იძლევა, ვსთქვათ, ქცევაზე 40 ფუთს—თუ გლეხმა მოახერხა კარგი დამუშავებით და სხვა მრავალგვარი ზომებით მიწის მოსავლიანობის 80 ფუთამდე აყვანა, მას ეძლევა „შრომის გმირის“ ხარისხი. ამნაირი გმირი სახელმწიფოს მიერ იქნება დაჯილდოებული სხვადასხვა შეღავათებით. იმავე ჯილდოს ღირსი იქნება მევენახე, მებაღე, საქონლის მომშენებელი, მეფუტკრე და ყველა ისინი, ვინც მიწის შემოსავლიანობის არსებულ ნორმებს გაიორკეცებს.

ამ ზომის შემოღებით ჩვენ დიდ დახმარებას გაუწევთ სასოფლო-მეურნეობას.

ერისხლან არღიშვილი.

დაგვიდგით ტელეფონი

(ვეზათ-გულუხეთის თემი, სენაკის მაზრა)

ვეზათ-გულუხეთის თემი აერთიანებს 3 სოფელს, სადაც არსებობს შემდეგი დაწესებულებანი: 7 წლედი, 4 წლედი, კოოპერატივი, ორი „გლეხკომის სავაჭრო“. სამკითხველოები, რომელთათვის მოიპოვება ერთი საკუთარი შენობა და მეორესათვის კი დაწყებულია შენობის აგება. შევრთვილია აგრეთვე თანხა გლეხური ახალგაზრდობის სკოლის დასაარსებლად. ამ სკოლის ასაგებად მიღებულია ზომები.

თემში დაწყებულია ორი ბორანის აგება, რომელიც დამთავრდება არა უგვიანეს 15 თებერვლისა. აგრეთვე ყურადღება მიექცა შარა-გზების და ხიდე-ბოგირების შეკეთებას და ახალის აგებას. აღმასკომის მუშაობას ძლიერ უშლიდა ხელს ტელეფონის უქონლობა, რადგან რაიონი დაშორებულია 8 ვერსის მანძილზე. ამაზეც აღმასკომის მიერ აღძრულ იქნა შუამდგომლობა. სამაზრო აღმასკომმა გასცა სათანადო განკარგულება 1926 წ. ნოემბრის თვეში, მაგრამ ახალ აბაშის ფ.-ტელ. განყოფილება ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევს ამას.

ბელი.

ჩვენი კოოპერატივის ნაკლი

(ნოქალაქევის თ., სენაკის მაზრა).

1921 წლიდან აქ არსებობს კოოპერატივი, რომელიც ვერ მუშაობს კარგად. გლეხები დღე და ღამე ამას უსაყვედურებენ გამგეობას, რომ მან მოიტანოს საქონელი. ჩამოტანილ საქონელსაც გლეხობა ვერ ღებულობს. როგორც კი მოიტანებენ საქონელს, ახლო-მახლო მცხოვრები კულაკები ჩაიგდებენ მას ხელში. შორეული სოფლები კი პირლია რჩება. მაგალითად ბეთლემი, ლებაღათური, ძიგიდერი და სხვა. საწევრო წიგნაკები აქვთ ადგილობრივ ჩარჩსპეკულიანტებს და კულაკებს. რომლებსაც უზომოთ მიაქვთ საქონელი კოოპერატივიდან. არიან კიდევ ისეთი წევრები, რომლებსაც სხვებისათვის გამოაქვთ საქონელი, რაც ძირს უთხრის კოოპერატივის ნორმალურ მუშაობას.

საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს გამგეობამ.

ა. ბ—ლი.

ნურც სოფელს დავივიწყებთ

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

ქალაქად კინოს დიდი აუდიტორია ჰყავს, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ეტანება მას. სკოლას დიდ დახმარებას უწევს კინო, სადაც მოცემულია: მხარეთ-მცოდნეობა, ლიტერატურა, ბუნების მეტყველება და სხვა. მაგრამ არ კმარა კინო მარტო ქალაქებში, საჭიროა მისი სოფლადაც გადატანა. სოფლად კინოს საშუალებით შესაძლოა ყოველგვარი ცრუმორწმუნეობის გაფანტვა. კინოსვე საშუალებით ჩვენ შეგვიძლიან გლეხური მასების პოლიტიკური აღზრდა, იგი საუკეთესო აგიტატორი და ცოდნის გამავრცელებელი იარაღია. გლეხს მოხსენებებით და თუნდაც პატარ-პატარა ბროშურებით ისე ვერ გადაუშლი ცხოვრების სინამდვილეს, როგორც კინოს საშუალებით. ერთი სიტყვით კინო უდიდესი იარაღია აგიტაცია-პროპაგანდის საწარმოებლად მასებში.

ამ საკითხის პრაქტიკულად მოგვარებისათვის საჭიროა მაზრებს დაეთმოს განსაზღვრული რიცხვი კინო-აპარატებისა და თუ ყველა სოფლებში არა, ცენტრალურ თემებში მაინც უნდა იმართებოდეს კინო-სურათები.

გ. ძა—ლი.

სკოლას ვაშენებთ

(ხ. კოტიანეთი, სენ. მაზ.)

სოფელ კოტიანეთში ბეჯითი მშრომელი გლეხობის თაოსნობით შენდება შვიდ-წლიანი შრომის სკოლა. სოფ. კოტიანეთის მშრომელი გლეხობა, იმდენად შეგნებულია, რომ ყველა დაუღალავ ენერგიას ხარჯავს და დაინტერესებულია, რომ აშენდეს სკოლა, რათა გამოზარდონ მომავალი ახალგაზრდობა. სააღმშენებლო კომისიის წევრები დიდ ენერგიას ხარჯავენ ამ საქმეზე. ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი და სამაზრო ხელისუფლება ყოველ მხრივ შეუწყობს ხელს კოტიანეთის მოწინავე გლეხების მიერ დაწყებულ საქმეს.

კირ .გოგია.

ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის

პირველ ეკონომიურ ტეხნიკუმში

23 თებერვალს საღამოს ექვს საათზე ყოფილ მარქსისტთა შორის მომუშავე მეორე რაიონის ბიუროს მიერ მოწვეული იქნა პირველ ეკონომიური კურსების მსმენელთა—ყოფილ ახ. მარქსისტებისა და მის თანამგრძნობთა კრება. ბიუროს სახელით მოხსენება გააკეთა ამხანაგმა შოთა გოგუამ. მომხსენებელმა მიიღო შეკითხვები, რაზედაც ამომწურავი პასუხი გასცა. თანამომხსენებელ ანანია კვიტაიშვილის სიტყვის შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: შ. ბერეჟიანმა, გ. დავითაიამ და პ. შენგელიამ.

კამათის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

საღამოს 1-ლ საერთო განათლების კურსების ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა და თანამგრძნობთა გაერთიანებულ კრებამ, მოისმინა რა მან ამხანაგ შ. გოგუას მოხსენება აღიარებს, რომ ეგრედ წოდებულ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მიერ აღებული გზა, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სავსებით ეწინააღმდეგება მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

იმ დროს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით გამართულია გიგანტიური ჭიდილი შრომისა და კაპიტალს შორის, როდესაც ორი მოწინააღმდეგე ბანაკად დარაზმული კლასობრიობა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს, ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს კაპიტალისტურ ხროვის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად. მსოფლიო მენშევიზმის პოლიტიკა დიდი ხანია, რაც ბურჟუაზიის ბატონობის მტკიცე საფუძვლების განმტკიცებისაკენაა მიმართული, კერძოთ ქართველი მენშევიკების პოლიტიკა, რომელსაც ისინი ეხლა აწარმოებენ ემიგრაციაში დაღუპვამდე მიიყვანს მშრომელ ხალხს. ამიტომ, ჩვენ, ყოფილი ახ. მარქსისტები და თანამგრძნობნი ამხანაგები პირველი საერთო განათლების კურსებისა ერთხმად და სამუდამოთ ვგმობთ მენშევიკური პარტიის მოღალატეობას და მოუწოდებთ ჩვენს ამხანაგებს მტკიცეთ დაირაზმონ საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, რომელიც მტკიცეთ იცავს მუშათა კლასის ინტერესებს!

გაუმარჯოს ახალ გზას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!“

დასასრულ არჩეულ იქნა სამეულში ამხ. გ. დავითაია, შ. ბერეჟიანი და აკაკი კუკულაძე კანდიდატათ ამხ. შ. სურგულაძე.

ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში

1927 წ. 17 თებერვალს შესდგა ქ. თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის ყოფ. ახ. მარქ. და უპარტიო მოწაფეთა გაერთიანებული კრება, სადაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. ამხ. ოქროპირიძე და გოგუა. მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ულენტმა, მეცხვარიაშვილმა, შენგელიამ, კილაძემ, ბერეჟიანმა, ვარაზაშვილმა, თევზაძემ, ახობაძემ, შავგულიძემ და პაისსმა. მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ამხ. ოქროპირიძისა და გოგუასი წარსული და მომავალი მუშაობის შესახებ, ჩვენ, ინდუსტრიალური ტეხნიკუმის მოწაფეობა ვაღიარებთ, რომ მტკიცედ ვდგევართ ჩვენი ქვეყნის და ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე. ჩვენ ახალგაზრდული ენერგიით შევებრძოლებით ყველა იმათ, ვინც ინდომებს ჩვენი მშრომელი ხალხის ზურგზე თამაშებას 24 წ. აგვისტოს ავანტიურის მსგავსად და არავითარ შემთხვევაში არ გავყვებით იმათ, ვინც მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებს.

ძირს გაკოტრებული მოჩხირკედელავე მენშევიკური პარტია! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს საქ. მშრომელ მუშებს და გლეხებს!“.

დასასრულ სამეულში არჩეულ იქნენ ამხ. თევზაძე, შენგელია და ულენტი.

საბჭოთა არჩევნები

დეპუტატ ქალების აქტივობის შესახებ

უკანასკნელი ცნობების მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში ქალთა რიცხვი, რომლებიც არჩეულნი არიან საბჭოების წევრებათ, უდრის 1486. წარსულ 1926 წლის არჩევნებში კი ეს რიცხვი უდრიდა 1160. ამრიგად ცხადია, რომ ქალთა რიცხვი თემსაბჭოებში მიმდინარე არჩევნების დროს საგრძნობლათ გაიზარდა. ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს იმ ფაქტს, რომ მშრომელ ქალთა აქტივობა დანარჩენ მშრომელ მასასთან ერთად ყოველ წლივ წინ მიდის.

საჭიროა ამ აქტივობის გამაგრება და მისი შემდეგი განვითარებაზე ზრუნვა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირველყოვლისა საბჭოებში არჩეულ ქალებს. სრულიადაც საკმარისი არაა. რომ საბჭოებში არჩეული ქალები მხოლოდ დეპუტატთა სიებში ირიცხებოდენ. ფორმალურ დეპუტატობასთან უნდა სდევდეს საქმეც. წარსული გამოცდილებით ვიცით, რომ ქალი დეპუტატები ბევრგან არ იყვნენ სათანადოთ ჩაბმული საბჭოს აღმშენებლობითი მუშაობაში. საქმე მათთვის ყოველთვის გამოჩნდება, საჭიროა მხოლოდ სურვილი.

ეს სურვილი უნდა იქნას გამოჩენილი. ახალი საბჭოების მიერ. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს დეპუტატ ქალების მუშაობაში ჩაბმის საკითხს საბჭოების სამუშაო აპარატის ჩამოყალიბების დროს. თუ საბჭოს წევრი ქალები არ იქნენ არჩეულნი სექციების შემადგენლობაში, მათ აქტიურ დეპუტატობაზე ლაპარაკი უბრალო დროის დაკარგვა იქნება. საბჭოთა მიმდინარე არჩევნებმა ცხადჰყო ის აქტივობა, რომელსაც მშრომელი ქალები იჩენენ ამ არჩევნების დროს. საბჭოების მომავალი მუშაობამ ეს აქტივობა უნდა გაამართლოს და ამით ქალთა პოლიტიკურ და კულტურულ დაწინაურებას მტკიცე საძირკველი უნდა ჩაუყაროს.

ბეგო.

თემსაბჭოების საპატიო წევრები

— **ბაღდადის თემსაბჭოს საზეიმო სხდომაზე** საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ამხ. ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ს. ჯუღელი, ა. ნაზარეტიანი და ა. ურუშაძე.

— **ლიუქსემბურგის** მშრომელთა საარჩევნო კრებაზე ლიუქსემბურგის თემსაბჭოს საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ამხ. ფილიპე მახარაძე.

— **ბორჯომის ქალაქის საბჭოს საპატიო წევრები.** ბორჯომის ქალაქის საარჩევნო კრებამ ქალაქის საბჭოს საპატიო წევრებად აირჩია: ამხ. ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, კოწია ხომერიკი, სიმონ ჯუღელი, მიხა კახიანი და ლავრენტი ქართველიშვილი.

— ამხ. ალ. გეგეჭკორი ერთხმად არჩეულ იქნა ბანძის თემის საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ.

— ამხ. დ. კანდელაკი არჩეულია სურამის საბჭოს საპატიო წევრად.

კულაკების სია გავაძავეთ

(ხაშმი, თბილ. მ.)

პარტუჯრედმა კომკავშირთან, ღარიბ და საშუალო გლეხობასთან წინასწარ შეიმუშავა სია საბჭოს დეპუტატებისა. დაიწყო არჩევნებიც. სადაც დაესწრო ამომრჩეველთა რიცხვის 43 პროცენტი. თავმჯდომარე წინასწარ აცნობს კრებას არჩევნების წესს. შემდეგ გამოდის კომუჯრედის მდივანი და აქვეყნებს სიას. აცხადებს ვისი სახელითაც გამოაქვს სია. კულაკების მიერ შესყიდულ ზოგიერთ გლეხებს სურდათ კრება ჩაეშალათ. იყვირეს და აურ-ზაური დაიწყეს.

ეს გლეხები თავმჯდომარეს უდგენენ კულაკებისაგან შემდგარ საკანდიდატო სიას.

თავმჯდომარე უკითხავს გლეხებს ახლად წარმოდგენილ სიას, რის წაკითხვის შემდეგ, გლეხებმა სიცილი დაიწყეს, რადგან ამ სიაში არ იყო არც ერთი პარტიული, კომკავშირელი და ღარიბი გლეხი. იყვნენ კულაკები, ეკლესიის მგალობლები და ხმა ჩამორთმეული ბობოლა გლეხები.

გლეხებმა ამის გამო იყვირეს და მოითხოვეს, გვაჩვენეთ, ვინ შეადგინა ეს სიაო. მაშინ ამ საქმის მოთავე პირები ზოგი გაიპარა და ზოგი სკამებში იმალებოდა დამარცხებული.

უჯრედისაგან გამოტანილ სიას კრებამ დაუმატა ხუთი ახალი კანდიდატი, რის შემდეგაც დაიწყო პერსონალურათ კენჭის ყრა. არჩეული იქნა 24 წევრი და 8 კანდიდატი. მათში პარტიული 4, კომკავშირელი 5 და უპარტიო გლეხი 20. ამათში ვაჟი 26, ქალი 6, უღარიბესი გლეხი 22, საშუალო 10 და ასე.

ამორჩეულ დეპუტატების სიას გლეხობა მხურვალე ტაშის კვრით ეგებება.

დამსწრე გლეხი.

ადგილებზე

არჩევნების დასრულება.

ქუთაისი, 2 მარტი. ქუთაისის მაზრის 47 თემიდან საბჭოების არჩევნები დასრულდა 40 თემში. წელს ყველგან უღარიბესი გლეხობა და ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ არჩევნებში.

უნაყოფო აღმოჩნდა კულაკების ცდა გაეყვანათ თავისი კანდიდატები (ადს).

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა ყრილობა.

ცხინვალი, 2 მარტი. სამხრეთ-ოსეთის საბჭოების საოლქო ყრილობა დანიშნულია 12 მარტისათვის. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) საქართველოს ცაკის ანგარიში, 2) სამხრეთ-ოსეთის ცაკის ანგარიში, 3) ტერიტორიალური მშენებლობა, 4) სამხრეთ-ოსეთის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ანგარიში, 5) სამხრეთ-ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატის ანგარიში, 6) ბიუჯეტი, 7) ცაკის არჩევნები, 8) დელეგატების არჩევა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობაზე (ადს).

ცხინვალი, 2 მარტი. სამხრეთ-ოსეთში ამომრჩეველთა ყველაზე მეტი პროცენტი გამოცხადდა ოქონის რაიონში.

ამ რაიონის ზოგიერთ საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა დასწრება 99 პროცენტამდე ადის (ადს).

მუშათა ცხოვრება

მუშა გამომგონი

ზესტ-საპნის ტრესტის სამექანიკო განყოფილებაში მომუშავე ზეინკალმა ასლან სტეფანოვმა გამოიგონა შტამპი ჯაჭვის საკეთებელი, რომელსაც ხმარობენ კბილანების ასამოძრავებლად ბამბის ქარხნებში, ე. წ. „კრემბელების“ ასამუშავებლად და სხვადასხვა მანქანებისათვის, რომელნიც მოძრაობენ სწრაფად და კბილანების საშუალებით. ეს ჯაჭვი ასრულებს ღვედის მოვალეობას. ეს შტამპი იმითია შესანიშნავი, რომ მეტად სწრაფად კეთდება იმითი ჯაჭვი. ხელით როცა ამზადებენ, დღეში მხოლოდ ერთ მეტრის მეტს ვერ აკეთებენ, ამ შტამპით კი კეთდება დღეში 16 მეტრი.



ამხ. ასლან სტეფანოვი

შტამპი სრულიად უბრალოა. ის შესდგება სამი რკინის ბერკეტისაგან, რომელთაც აქვს ხის სახელურები; ეს სამივე ყულფებით მიმაგრებული არიან ყალიბის გარშემო, ზომაზე დაჭრილს მავთულს ჩასდებენ ყალიბში, პირველი ორით მოხრიან, წვერს წვერთან მოიტანენ სასურველ დონემდე, მესამეთი გადახრიან, ყულფებს გაუკეთებენ და ჯაჭვიც მზად არის.

საბედნიეროდ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბოლო ხანებში მუშებში დიდ ინტერესს იწვევს თვითმოქმედების სურვილი და უნარიანობის გამოჩენა.

ვუსურვებთ წარმატებას ყველა ასეთებს.

შაქრო ნავთლუღელი.

მუშებს ხელფასი მოემატათ

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალ“-ის მუშებთან დადებულ ძველ კოლექტიურ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა გასული წლის პირველ ოქტომბერს.

მბეჭდავთა კავშირმა კოლექტიური ხელშეკრულების განახლებას გვიან მოჰკიდა ხელი. ჩვენმა კავშირმა (მბეჭდავების) შემუშავებულ და მუშებთან შეთანხმებული ახალი კოლხელშეკრულება ქარხნის ადმინისტრაციის წარუდგინა იანვრის დასაწყისში.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში ბევრი რამ იყო შეტანილი და შეცვლილი (ძველთან შედარებით) მუშების სასარგებლოდ, მაგრამ ზოგიერთ მუხლებში ადმინისტრაცია კავშირს არ დაეთანხმა; ამიტომ კავშირმა გადაიტანა სადაო საკითხები სასამართლოში. სასამართლომ თავისი დადგენილება გამოიტანა, რის შემდეგ ხელშეკრულება ადმინისტრაციის და კავშირის მიერ დამტკიცებულ იქნა.

უნდა ითქვას, რომ ახალ კოლხელშეკრულებამ თუმცა დაიგვიანა, მაგრამ მუშების სასარგებლოთ დამთავრდა. ახალი კოლხელშეკრულება ძალაში შევიდა გასული წლ. პირველ ოქტომბრიდან. რა მოუტანა მუშებს ახალმა კოლექტიურ ხელშეკრულებამ? დღიურად მომუშავე მუშებს მოემატათ ხელფასი 5½ პროცენტით, ე. ი. პირველ ხარისხს ჰქონდა თვეში 18 მან., ეხლა კი 19 მან. 50 კაპ., ნარდად მომუშავეებს ზოგიერთების გამოკლებით, მოემატათ მეტი ე. ი. 18-21 პროცენტამდე.

ხელფასის მომატების გარდა მუშებს მიეცათ სხვა შეღავათებიც. მხოლოდ კანტორის მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობენ 8 საათს მიეცათ ორი კვირის შვებულება. ძველი ხელშეკრულების ძალით კი ჰქონდათ ერთი თვე მე ვფიქრობ და სწორი არის—მათ უნდა მიეცეთ შვებულება მუშებთან ერთად ე. ი. ერთი თვე.

საერთოთ კი უნდა აღინიშნოს, რომ მუშების ხელფასის მომატებამ დადებითად იმოქმედა შრომის ნაყოფიერებაზე.

მუშკორი ვანო.

სასიამოვნო მოვლენა

ჩვენ თუთუნის ქარხანა „პროლეტარ“-ში დღითი-დღე იზრდება მუშათა თანაგრძნობა მუშკოოპის მიმართ. 1926 წლის დასაწყისში ჩვენს ქარხანაში ირიცხებოდა 350 მუშა, ამათგან 162 მუშა მუშკოოპის წევრად ითვლებოდა, მაგრამ მათ გადახდილი ჰქონდათ საწევრო მხოლოდ 1 მან. 50 კაპ., რის გამო მუშკოოპი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მომხმარებლებს.

1927 წლის დასაწყისიდან ჩვენ ვიჩნევთ, რომ მუშების სიმპატია მუშკოოპისაკენ იზრდება დღეს მუშკოოპში ჩვენი წარმოებიდან სრულუფლებიან წევრათ ითვლება 255 მუშა, რომელთაც გადახდილი აქვთ 5 მანეთი საწევრო. ამიტომ მუშკოოპიც სრული თანაგრძნობით ეკიდება ჩვენს მუშებს და ხშირად უთმობს საჭირო საქონელს ნისიათ. მაგრამ ისეთ საქონელს კი არა, რომელიც ყოველდღიურად საჭიროა მუშების ოჯახისათვის.

გარდა მანუფაქტურისა, მე მგონია საჭიროა კრედიტით დაუთმოთ საბაკალეინო საქონელიც. ასეთი კი არის შაქარი, ჩაი, ბრინჯი, ერბო, ზეთი, საპონი, მარილი და სხვ., რაც ყოველდღიურ მოთხოვნილებას შეადგენს მუშებისათვის. მუშების დახმარებას როგორც მუშკოოპის, აგრეთვე თვით მუშების ინტერესებიც მოითხოვს. პირველი ამით შეიძენს მეტ წევრებს და მეორე კი გადარჩება კერძო ვაჭრების ექსპლოატაციას.

მაშ მეტი ყურადღება მუშებს, სამაგიეროდ მუშკოოპს მეტი წევრები შეეძინება და მისი ავტორიტეტიც ერთი ასად გაიზრდება.

ალექსანდრე ბაჯიაშვილი.

კრება

23 თებერვალს შესდგა თბილისის საყუდის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. საწევრო 2 პროც. გადასახადის შესახებ, 2. ურთიერთ დამხმარე სალარო, 3. დელეგატების არჩევნები, 4. კავშირში წევრების მიღება.

ამხ. ზაკომოლდინმა გააცნო კრებას, რომ მიუხედავათ მრავალი გაფრთხილებისა, ზოგიერთ წევრებს არ შემოაქვთ საწევრო ფული რამოდენიმე თვეობით. ის მოუწოდებს ამხანაგებს დაფარონ თავიანთი დავალება, უკიდურეს შემთხვევაში მათზე გავრცელებული იქნება კავშირის წესდების მუხლი მექანიკურად გამოსვლის შესახებ.

ურთიერთ დამხმარე სალაროს მნიშვნელობის და ორგანიზაციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სალაროს ბიუროს წევრი ამხ. ახობაძე.

მოხსენების ირგვლივ კრებამ სათანადო რეზოლიუცია გამოიტანა.

შემდეგ კრება შეუდგა დელეგატების არჩევას. ათ კაცზე ერთი დელეგატი აირჩიეს, რაც შეადგენს ყველა მუშა-მოსამსახურეებზე 155 კაცს. აქედან 7 კანტორის მოხელეა, დანარჩენი 148 კაცი ფიზიკური მომუშავე.

რკინის გზის კავშირის წევრად იქნა მიღებული 12 ამხანაგი.

მუშკორი ძია—ლევან.

მუშათა ქრონიკა

— **საჩვენებელი სამედიატორო სასამართლო.** კვირას, 6 მარტს, დღის 2 საათზე კონდუქტორთა აუდიტორიაში დანიშნულია მუშკორ „მაყურებლის“ და პირზატიანცის შესახებ საჩვენებელი-სამედიატორო გასამართლება კედლის გაზეთ „ნიშანსვეტი“-ს მე-14 ნომერში მოთავსებულ შენიშვნების გამო.

სად. თბ. ყველა მუშა-მოსამსახურეებს შეუძლიათ დაესწრონ ხსენებულ გასამართლებას.

— **ლექცია.** აბრეშუმის სართავ ქარხნის მუშებში ამ დღეებში წაკითხულ [illegible] ლექცია ავიო-ლატარიის შესახებ.

— **სალაროს წევრთა რიცხვი.** სადგ. გურჯაანის ურთიერთ დამხმარე სალაროს წევრებად ითვლება 215 კაცი.

— **პლენუმი.** 5 მარტს შესდგება ბათომის საუბნო კომიტეტის პლენუმი.

— **თათბირი.** დღეს, შესდგება სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის სარაიონო თათბირი.

— **ფასის გადიდება.** პლეხანოვის სახ. კლუბის გამგეობამ დაადგინა შესავალ ბილეთების ფასი გაადიდოს 100 პროცენტით.

— **ტრამვაის** მუშათა კლუბის ქართული დრამწრე ამზადებს პიესა „სპარტაკ“-ს, რომელიც ამ დღეებში დაიდგმება.

— **რონოდები.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო კომისიამ დაადგინა გაანთავისუფლოს სადგ. ლიანდაგები ზედმეტი რონოდებიდან.

— **ხელმძღვანელის მოწვევა.** პლეხანოვის სახ. კლუბის გამგეობამ—„ცოცხალი გაზეთი“-ს წრის ხელმძღვანელად მოიწვია ციციშვილი.

ყრილობები და თათბირები

განათლების მუშაკთა ყრილობა

გუშინ საღამოს განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა განათლების მუშაკთა მე[illegible] ყრილობა.

ყრილობა გახსნა კავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **შ. გეგენავამ.**

ყრილობის პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობამ აირჩია ამხანაგები: **სტალინი, ტომსკი, ლუნაჩარსკი, კრუპსკაია, კარასტელოვი, ს. ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ლ. ქართველიშვილი, შ. ელიავა, მ. კახიანი.**

საქმიან პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **დ. კანდელაკი, მარია ორახელაშვილი, გ. ყურულაშვილი, ვიგალოვი** (საკავშირო განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას წარმომადგენელი), **ქაცარავა, შ. გეგენავა, პოლოსოვი, ახრიბეკოვი, გალუსტიანი, დელავარი, ივანოვი, ლორთქიფანიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, კობახიძე, ზახაშვილი, უგულავა, კაჭარავა, ფარუხი, კოჩიევი.**

სამდივნოს და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი.

დღის წესრიგი

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, საკავშირო განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება, საქარ. განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის ანგარიში, დელეგატების არჩევა განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობისათვის, და ცენტრ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობა შეუდგა საქმიან მუშაობას.

ამხ. ვიგალოვის მოხსენება

სრ. საკავშირო განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენებას კითხულობს ცაკის წარმომადგენელი ამხ. ვიგალოვი, რომელიც განათლების მუშაკთა კავშირის საკავშირო ცენტ. კომიტეტის და აგრეთვე სომხეთის განათლების მუშაკთა უკანასკნელ ყრილობის (რომელსაც წარმომადგენლად დასწრებია) სახელით მხურვალე სალამს უძღვნის განათლების მუშაკებს.

ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის აღორძინების და განმტკიცების გამო,—ამბობს ამხ. ვიგალოვი, მთელი კავშირის მასშტაბით გაუმჯობესდა, როგორც განათლების მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობა, ისე მათი მუშაობის საერთო პირობები. განათლების მუშაკთა ხელფასის ზრდის ტემპი უსწრებდა ყველა სხვა დარგის მუშაკთა (ე. ი. მოსამსახურეთა) ხელფასს. 1924—25 წლიდან ვიდრე 1927 წლამდე განათლების მუშაკთა ხელფასი საშუალოდ გაიზარდა 95 პროცენტით, განათლების მუშაკთა ხელფასზე უფრო მეტად იზრდებოდა საერთოდ განათლების საჭიროებაზე გაღებულ თანხების რაოდენობა. თუ 1924—25 წელს მთელს საბჭოთა კავშირის ბიუჯეტიდან განათლებისათვის გადაიდო 352 მილიონი მანეთი, წელს—615.900.000 მანეთი, ამ პროპორციით გადიდდა განათლების ხარჯები ცალკე რესპუბლიკებში, სადაც უკვე შეიქმნა ნორმალური პირობები საგანმანათლებლო მუშაობისათვის. მასწავლებელთა მასსა განთავისუფლდა ლუკმაპურისათვის ყოველდღიური მზრუნველობისაგან, მას მიეცა მეტი დრო და საშუალება თავის პირდაპირი დანიშნულების პირნათლად შესრულებისათვის.

აიწია მათმა კვალიფიკაციამ, პოლიტიკურ და პროფესიონალური მომზადების დონემ. ჯერ კიდევ სავსებით მიღწეული არ არის სახალხო განათლების ნორმალური განვითარების პირობები,—ჯერ კიდევ მრავალ დაბრკოლებათა და გაჭირვებათა დაძლევა მოუხდებათ საბჭოთა განათლების მუშაკებს, რომელნიც ქვეყნის საერთო კეთილდღეობისათვის მოვალენი არიან ჩაებან ქვეყნის საინდუსტრიალიზაციო წარმოებულ მუშაობაში და როგორც არა ერთხელ გაულიათ, ეხლაც გაიღონ თავის წვლილი ინდუსტრიალიზაციის გზით—სახალხო მეურნეობის ასამაღლებლად.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ეხება განათლების მუშაკთა პროფმუშაობის პრაქტიკულ საკითხებს.

მედსანშრომის მუშაკთა ყრილობა

მეორე სხდომა

ყრილობის მეორე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ჯიჯაძე მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ც. გამგეობა თავის მუშაობაში უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მიმდინ. მუშაობის ორ ძირითად მომენტს—ადგილებთან ცოცხალ კავშირს და კავშირის წევრთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მხრივ გამგეობის გადაუდგამს მთელი რიგი ნაბიჯები და აქვს მიღწევებიც.

კავშირი ამჟამად აერთიანებს 10.157 წევრს. აქედან მარტო თბილისზე მოდის 5.324 კაცი.

ცენტრალურ გამგეობასთან არსებობდა ორი სექცია: ვეტმუშაკების და საექიმო.

შემდეგ მომხსენებელი გადადის სამუშაო ხელფასის მდგომარეობის დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ დაბალ მედპერსონალს უკვე გაუდიდდა ხელფასი 10 პროცენტით, საშუალოს და მაღალ მედპერსონალის ზოგიერთ ჯგუფებს კი 5—9 პროცენტამდე.

მოხსენების გარშემო შემოსულ შეკითხვების შემდეგ სხდომა გადაიდო საღამოსათვის.

მესამე სხდომა

2 მარტის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ჯიჯაძის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. ანდღულაძემ, ურუშაძემ, ეპელბაუმმა, კარკარიანმა და სხ.

ორატორები აღნიშნავდენ მთელ რიგ დეფექტებს, რომელთაც ადგილი აქვთ ადგილობრივ ორგანიზაციებში.

ყრილობის ამ სხდომაზე მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია ინგლისის მთავრობის თავხედური ნოტის წინააღმდეგ.

სხდომის შემდეგ დელეგატებისათვის გაიმართა „ლურჯი ხალათის“ წარმოდგენა.

ქიმიკოსთა ყრილობა

მესამე სხდომა

ყრილობის მუშაობის მეორე დღის დილის სხდომაზე, კავშირის ცეკას წარმომადგენელმა ამხ. **სმოლიანსკიმ** გასცა პასუხი შემოტანილ შეკითხვებზე ქიმიკოსთა ცეკას მუშაობის შესახებ. შეკითხვების დასრულების შემდეგ დაიწყო კამათი რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ხვანდაროვმა, გრიგოლაშვილმა** და სხვებმა.

თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. სმოლიანსკიმ აღნიშნა, რომ ოპონენტების საყვედური ცენტრალური კომიტეტისადმი არაა ყოველთვის საფუძვლიანი. შემდეგ ორატორი უფრო ვრცელ განმარტებას იძლევა მოხსენებაში აღნიშნულ ზოგიერთ საკითხებზე.

შემდეგ ქიმიკოსთა კავშირის ცენტრალური გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. **ს. არაქელოვი.** ორატორი აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს პროფგანათლების, წ. კ. უცოდინარობასთან ბრძოლის, საწარმოო თათბირების მუშაობის, მასიური პროფმუშაობის და სხ. დარგებში.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე დაიწყო კამათი, ცენტ. გამგეობის მუშაობის გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა მაზრებისა და საწარმოო რაიონების წარმომადგენლებმა.

კამათის დასრულების შემდეგ სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **გლუხოვსკოიმ.**

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა

ყრილობის გახსნა

2 მარტს საღამოს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა სრ. საქართველოს მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ყრილობა. ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ აგრეთვე მოჯამაგირეთა და მწყემსების წარმომადგენლებიც.

ყრილობა გახსნა კავშირის ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ფირალოვმა, რომლის წინადადებითაც ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. კრასინის და ყრილობის დელეგატის—მოჯამაგირე ამხ. ჯიქიას ხსოვნას, რომელიც გარდაიცვალა ყრილობაზე გამომგზავრებისას.

მიწათმოქმედების სახ. კომისარის ამხ. ა. გეგეჭკორის წინადადებით ყრილობამ გარდაცვლილ ჯიქიას ოჯახის სასარგებლოთ გადასდო 50 მან. ამდენივე გადასდო მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა.

ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. **ა. გეგეჭკორი, ფირალოვი, რამკოვა, ხაჯიბურიძე, კოზირია** და სხ.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს—ამხ. **სტალინი, ორჯონიკიძე, ტომსკი, ანცელევიჩი, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, მ. კახიანი, გ. ყურულაშვილი და ლ. ქართველიშვილი.**

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მოისმინა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. **რაბკოვის** მოხსენება ცენტ. კომიტ. მუშაობის შესახებ.

თბ. მაზ. თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

(თბილისის მაზრა)

პირველი დღე. დილის სხდომა.

გუშინ აღმასკომის დარბაზში გაიხსნა თბილისის მაზრის თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი.

საბჭოთა ახლად დასრულებულ არჩევნების შესახებ თათბირს დაწვრილებითი ცნობები წარუდგინეს შვიდი ტიპიური სათემო აღმასკომის თავმჯდომარეებმა, რომელთაც აღნიშნეს ჩატარებულ არჩევნების დამახასიათებელი მხარეები — ღარიბი გლეხობის უფრო აქტიური მონაწილეობა არჩევნებში, კულაკური ნაწილის ამაო ცდა გაეყვანათ საბჭოებში თავისი წარმომადგენელი, ქალების აქტიობა (განსაკუთრებით წალკის თემში, სადაც მუსულმან ქალთა მონაწილეობა 44 პროც. უდრიდა).

ცალკე მოხსენებით არჩევნების შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. **ვართაპეტოვი**, რომელიც შეეხო რა დამთავრებულ საარჩევნო კამპანიის ნაკლოვანებებს. დაწვრილებით შეჩერდა საბჭოების გამოცოცხლების საკითხზე. მომხსენებელს აუცილებლად მიაჩნია, რომ აღმასკომებმა შეადგინონ თავიანთი მუშაობის საკალენდარო გეგმა, რომელშიდაც უნდა შეტანილ იქნეს მხოლოდ ის საშუალებები, რომელთა შესრულების საშუალებას აღმასკომს აძლევს მისი ფინანსიური და ნივთიერი სახსარი. აღმასკომმა უნდა უხელმძღვანელოს, მაგრამ არაფრის გზით არ უნდა ჩაერიოს გლეხკომების და კოოპერატიული ორგანიზაციების შინაურ საქმეებში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სოფლად სამმართველო ადმინისტრატიულ აპარატის ბიუროკრატიზმთან ბრძოლას. ძველი ტიპის სოფლის მწერლები—მდივნები ჩამოშორებული უნდა იქნეს თემაღმასკომის საქმის წარმოებიდან. აპარატის გაჯანსაღება უნდა მოხდეს უმთავრესად გლეხური ახალგაზრდობის წამოყენების საშუალებით, რომელიც წინასწარ უნდა გაიწრთვნენ და შეეჩვიონ საქმის წარმოებას და გაძღოლას.

საღამოს სხდომა

კამათი

საღამოს სხდომაზე დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა მომავალი მუშაობის შესახებ. ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ხშირად თემაღმასკომის მუშები ვერ ერკვევიან თავიანთ ფუნქციებში, ერევიან გლეხკომების და კოოპერატიულ-საკრედიტო და კომუჯრედის მუშაობაში. ორატორების დასკვნით ბევრ თემის აღმასკომის მდივნები არ შეეფერებიან თანამდებობას,—რადგან მრავალი მათგანი არა თუ პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებულია, წერა-კითხვის ნაკლები მცოდნეა, დაავადებულია ბიუროკრატიული სენით და სხვა. ამხანაგები საჭიროდ სცნობენ, რომ აღმასკომები მტკიცედ ატარებდენ მომჭირნეობის რეჟიმს.

ამხ. კიდაიში საჭიროდ სცნობს, ქალების მიერ მიმდინარე არჩევნებში გამოჩენილ აქტივობას ხელი მიემართოს იმ მხრივ, რომ თემაღმასკომების და საბჭოებში არჩეული ქალები ჩაიბან საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში.

სახალხო მამულების გამგეთა თათბირი

28 თებერვალს მიწად-მოქმედების კომისარიატში ამხ. ალ. **გეგეჭკორის** თავმჯდომარეობით გაიხსნა სახალხო მამულების გამგეთა თათბირი. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ალ. გეგეჭკორი, რომელმაც თათბირს განუმარტა ის მოთხოვნილებები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება აყენებს საბჭოთა მეურნეობის ფრონტზე. მომხსენებელის აზრით, ამ მეურნეობებს უნდა მიენიჭოს მეტი დამოუკიდებელი მოქმედების უფლება. ამასთან დაკავშირებით უნდა იქნას შეცვლილი თვით სახალხო მამულების ტრესტის კონსტრუქციაც. პირველი სხდომა დამთავრდა ამხ. გეგეჭკორის მოხსენებით.

საღამოს სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა სახალხო მამულების ტრესტის თავმჯდომარე ამხ. **ფარსადანოვი,** რომელმაც თავის მოხსენებაში დაახასიათა სახალხო მამულების მდგომარეობა. ამხ. ფარსადანოვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ამხ. გეგეჭკორმა თათბირის ყურადღება მიაქცია აღნიშნულ მოხსენების ძირითად დებულებებზე და აღნიშნა სახალხო მამულების ტრესტის და საერთოდ საბჭოთა მეურნეობის ის მტკივნეული მხარეები, რომელთა გასაჯანსაღებლად უნდა იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები. კამათის დასრულების შემდეგ თათბირმა აირჩია 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიენდო სახალხო მამულებისათვის ახალი კონსტრუქციის გამომუშავება.

ბრძოლა

მომჭირნეობისათვის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

მიწათმოქმედების კომისარიატში

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარის ამხ. ალ. გეგეჭკორის თაოსნობით მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან დაარსდა სამი კომისია, რომელთაც დაევალა შეამოწმონ, თუ როგორ ტარდება მომჭირნეობის რეჟიმი, შეკრიბონ შესაფერი მასალები და გამოიმუშაონ ღონისძიებები ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად, როგორც კომისარიატში, აგრეთვე მის ქვემდებარე დაწესებულებებში. პირველ კომისიას დავალებული აქვს სახალხო მამულების ტრესტის და ცალკე მამულების მუშაობის შესწავლა; მეორე კომისია შეისწავლის ცენტრალურ დაწესებულებებს, სასოფლო-სამეურნეო და მის განყოფილებების საქმიანობას; ხოლო მესამე კომისია, ამხ. ალ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით გაეცნობა და შეაჯამებს შეკრებილ მასალას და გამოიმუშავებს შესაფერ ღონისძიებებს შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

ქალთა

საერთაშორისო დღისათვის

2 მარტს, შესდგა ცაკთან არსებულ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა ქალთა კომუნებისა და სასწავლო ორგანიზაციებისათვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენის საკითხი. კომისიამ დაადგინა: სიღნაღში არსებულ ქრა-კერვის სკოლას დახმარების სახით მიეცეს 240 მანეთი, დუშეთში არსებულ ამგვარივე სკოლას 300 მან., ლეჩხუმის ქრა-კერვის სკოლას 300 მანეთი, გომბორში არსებულ ფშავ-ხევსურ ქალების სკოლას 300 მან. ახალქალაქის ქალთა სკოლას 400 მან., სენაკის 250 მანეთი.

კომისიამ აგრეთვე ექვსასი მანეთი გადასცა აჭარისტანს ქობულეთში, აჭარის წყალში, ქედაში და ხულოში ქალთა კუთხეებთან ქრაკერვის სკოლა-ჯგუფების მოსაწყობათ. კომისიის დადგენილებით, 8 მარტს თბილისში უმუშევარ ქალთათვის გაიხსნება სამკერვალო. სამკერვალოს მოსაწყობათ დაარსებული იქნა ცალკე კომისია.

დამსახურებული პედაგოგის

40 წლის იუბილე

40 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ამხ სერგო დავითის ძე მამალაძე გამოვიდა პედაგოგიურ და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე.

სერგო დაიბადა 1862 წელში, გურიაში აგარაკ ბახმაროს მთების ჩრდილო კალთებზე მდებარე სოფ. ხევში, უღარიბეს გლეხის ოჯახში.

17 წლის იყო ამხ. სერგო, როდესაც სოფლის მეურნეობას თავი გაანება და შევიდა სასწავლებელში.

სწავლის დიდი სურვილით გატაცებულმა სერგომ 1887 წელს ჩინებულად დაამთავრა სკოლა და საშუალო ცოდნით აღჭურვილი შეუდგა მასწავლებლობის მძიმე ტვირთის ზიდვას.

40 წლის განმავლობაში მას ვხედავთ ყველა კულტურულ და განმანათლებელ სამუშაოზე, როგორც გულწრფელ, ენერგიით აღსავსე და იშვიათად დარბაისელ და პატიოსან ადამიანს.

40 წელი მას ხელთ ეპყრა სწავლა-აღზრდის საქმე და შეძლებისდაგვარად ხწევდა ამ მძიმე ჭაპანს.

მან აღზარდა რამოდენიმე ათასი ახალგაზრდა, რომელთაგან დღეს ბევრი აქტიური მოღვაწე და მოჭირნახულეა მშრომელ ხალხის ინტერესებისა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ამხ. სერგო მამალაძე სოფ. ყვარლის შვიდწლედის გამგე იყო. 1922 წ. 30 დეკემბერს ის არჩეულ იქნა განათლების მუშაკთა კავშირის თელავის სამაზრო განყოფილების პასუხისმგებელ მდივნათ, სადაც დაჰყო 1924 წლამდე.



იუბილიარი სერგო მამალაძე

მას შემდეგ დღევანდლამდე მსახურობს თელავის მეორე შრომის სკოლის გამგეთ. იგი არჩეულია აგრეთვე თელავის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს წევრად. განათლების კავშირის თელავის სამაზრო განყოფილებამ მიიღო რა მხედველობაში ამხ. სერგო მამალაძის 40 წლის მოღვაწეობა, როგორც პედაგოგიურ და საერთოთ, საზოგადო ასპარეზზე, ერთხმად დაადგინა: გაუმართოს მას იუბილე 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ივ. დავითიანი.

ქრონიკა

ფუნქციების გადაცემა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან გაუქმებული კომუნალური განყოფილების მთელი ფუნქციები გარდა წყალსადენების გაყვანისა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაყვანის ხელმძღვანელობისა და ქალაქებში მიწათმოწყობის ჩატარებისა — გადაეცა ს. შ. უ. ს. შინა - მრეწველობის განყოფილებას.

შინა - მრეწველობის განყოფილება ამჟამად აწარმოებს მუშაობას ამ საქმეების მისაღებათ, რაც დასრულდება ამ დღეებში.

მუშაობის დაწყება ტყვარჩელში

ს. შ. უ. ს. ახალშენებათა განყოფილებამ მოიწვია პროფესორი შევიაკოვი, რომელსაც დაევალება ტყვარჩელის ქვანახშირიან რაიონში მუშაობის დაწყებისათვის საჭირო წინასწარი სამუშაოების ჩატარება.

პროფ. შევიაკოვი შეუდგება მუშაობას აპრილის დამლევს და დაამზადებს ქვანახშირის მადაროების ექსპლოატაციის პროექტს, შეადგენს რკინისგზების გაყვან გეგმას (ფართო და ვიწრო ლიანდაგიანი, დაკიდებული გზა და სხვ.) და სხვ.

პროფ. შევიაკოვთან ერთად სამუშაოთა ჩასატარებლათ გაემგზავრებიან აგრეთვე ს. შ. უ. ს. წარმომადგენლები.

საიჯარო ქირა

ა. კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ სასურველად სცნო მოწესრიგებული იქნეს საჯარო შენობების საიჯარო ქირა. გადაწყვეტილია შემოღებულ იქნეს საცდელად განსაზღვრული ნორმები ა. კ. მსხვილ ქალაქებში.

ნორმები შემუშავებული და გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში რესპუბლიკანური სახკომსაბჭოების მიერ.

თბილისის აღმასკომში

ახალი გზების გასაყვანათ მაზრაში, გადაიდო 56.176 მანეთი.

◆ **მიწათმოწყობა.** დღემდე მიწათ-მოწყობა დამთავრდა მაზრის 50 სოფელში. ამჟამად მუშაობა სწარმოებს 12 სოფელში.

◆ **სასოფლო-სამეურნეო** ცოდნის გასავრცელებლად აღბულაღის და დუშეთის საბავშვო ახალშენებთან დაარსდა სპეციალური სკოლები.

◆ **ადონისის ჯიშის სიმინდი.** ყარაიის საცდელ სადგურმა მაზრისათვის დაამზადა ადონისის ჯიშის სათესლე სიმინდი, რომელიც საუკეთესო მოსავალს იძლევა.

◆ **საუწყებო მილიციის სადარაჯოები** გადავიდა ქალაქის სარაიონო მილიციის განკარგულებაში.

◆ **აგური.** აღმასკომის აგურის ქარხნები წელს დაამზადებენ 20 მილიონამდე ცალ აგურს.

◆ **საბინაო-საიჯარო ამხანაგობებს** დღემდე გადაეცა 212 სახლი.

განათლების კომისარიატში

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის** წარჩინებით კურსდამთავრებული განათლების კომისარიატის ხარჯით გაიგზავნებიან საზღვარგარეთ და რუსეთში.

◆ **სკოლის ასაკამდე აღზრდის** დაწესებულებებში ამჟამად მთელ საქართველოში ირიცხება 8000 ბავშვი, რომლებიც იზრდებიან კომისარიატის ხარჯზე.

◆ **სოფლის ახალგაზრდობის სკოლები.** დღემდე მთელ რესპუბლიკაში სოფლის ახალგაზრდობის სკოლად გადაკეთებული იქნა 60 შვიდწლედი.

◆ **სტიპენდია.** უმაღლეს სასწავლებლების ღარიბ სტუდენტებისათვის სტიპენდიების დასანიშნავად კომისარიატმა გადადო 50.000 მან.

მიწ.-მოქმ. სახალხო კომისარიატში

◆ **ვენახების აღდგენა.** კახეთში უკვე დაიწყო მუშაობა დაზარალებულ ვენახების აღსადგენად, გადასახალისებლად.

◆ **ვაზის მყნობის შესასწავლი კურსები** გაიხსნა შორაპნის მაზრის 5 თემში. აღნიშნულ კურსებზე მეცადინეობს 150 გლეხი.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის მაღაზიებში შემდეგი ახალი წიგნი: ა. მ. საყვარელიძე „კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში“ (რემედისის შესახებ) 60 გვერდი. ფასი 25 კაპ. ჟურნალი „პიონერი„ № 2 და ჟურნალი „ნაკადული“ № 2.

კრებები და მოხსენებები

◆ **პარასკევს, მარტის 4,** სად. 7 ს. საქ. მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში შესდგება საქართველოს გეოგრაფ. საზ. პედაგოგიურ განყოფილების წევრთა საერთო წლიური კრება. დასწრება ყველას შეუძლია.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა** საზოგადოებაში დღეს 3 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში დოცენტი შ. მიქელაძე, ექიმები რატიშვილი, ანთაძე და ტყავაძე წაიკითხავენ მოხსენებებს.

ჩაუბარებელი დეპეშები

ერევნიდან—გარიბოვისას, მოსკოვიდან—ათოიანცს, მოსკოვიდან—მეხროპოვს, ბეშტაშინიდან—უსეინ ასან-ოღლის, ბაქოდან—შვეროვისას, ბაშკირეტიდან—იანკევუშევისას.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ თბილისის აღმასკომის პირველი პლენუმის ანგარიშს შეცთომით სათაურად აქვს—**„თბილისის საბჭოს პლენუმი“,** უნდა იყოს: **„თბილისის აღმასკომის პლენუმი“.**

შემთხვევები

◆ **შეპყრობა.** 1 მარტს ქურდობისათვის დააპატიმრეს მცირეწლოვანი ოსერო ოსეპიანცი.

◆ **მუშფაკის** საერთო საცხოვრებელ სახლში მატერიალის ქ. № 9 გაქურდეს ანდრო თათოშვილის და გრიგოლ ბაკურაძის ბინა. ქურდი მიხეილ ვოლკოვსკი დაპატიმრებულია.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით ლენინის ქ. № 3, გაქურდეს კონსტანტინე ვაშაძის ბინა. წაიღეს 145 მ. ნივთები.

◆ **ოქრომჭედლის** ქ. მარიამ შეველაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს ფული. ჯიბგირი მარტუხა ბერიძე დააპატიმრეს.

◆ **ბოქლომის** აგლეჯის საშუალებით 1 მარტს შტაბის ქუჩა № 2 გაქურდეს ლუისა მათიაშვილის ბინა.

თავის მოკვლის განზრახვა

გუშინ, საღამოს, თვითმკვლელობის მიზნით სასტუმრო „ისაში“ რევოლვერით თავი დაიჭრა ქალაქის კომენდანტის საადმინისტრაციო სამეურნეო განყოფილების გამგემ **ნიკოლოზ ლეჟავამ.**

ლეჟავა დაჭრილია მსუბუქად და მოთავსებულია საავადმყოფოში.

თვითმკვლელობის მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

მკვდარი ბავშვი

1 მარტს მე-7 სამილიციო რაიონში დოლაბაურის ხევის მახლობლად აღმოჩენილი იქნა ახლად დაბადებული ბავშვის გვამი. კვლევაძიება სწარმოებს.

მატარებლის ქვეშ

ზაჰესის ახლოს 1 მარტს გამვლელ მუშებმა იპოვეს რკინისგზის ლიანდაგზე უგრძნობლად დაგდებული უცნობი მოქალაქე, რომლისათვისაც მატარებელს გადაეჭრა ფეხები. დაზარალებული სასწრაფოდ გადაიგზავნა რესპ. მთავარ საავადმყოფოში. ის აღმოჩნდა ყრუ-მუნჯი.

ოქროს ყურსაკიდის პოვნა

ს. ს. მილიციის მიერ ნაპოვნია ნაქურდალი ოქროს ყურსაკიდი. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7.

სასამართლო

განაჩენი ზამბახიძის საქმეზე

სასამართლომ თბილისის სადგურის ყოფილი მწონავი **აკაკი ზამბახიძე** დამნაშავედ სცნო ქურდობაში, რისთვისაც მიუსაჯა მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

1925 წ. 8 მარტის ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით.

თვითმკვლელობა თუ მკვლელობა

(შ. ციციშვილის საქმე).

პირველი დღე —— —

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით და სახალხო მსაჯულების: **გაღდავაძის** და **გოგოლიძის,** პროკურორ **ქელიძის** და მდივან **სხუას** მონაწილეობით დაიწყო **შალვა ციციშვილის** საქმის გარჩევა.

საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით, 1925 წ. საგარეჯოს თემმილიციის უფროსი თანამშრომელი ციციშვილი გაეცნო საგარეჯოს სათემო აღმასკომის თანამშრომელ ქალს **ქსენია დეისაძეს.**

ციციშვილი სცდილობდა დეისაძის თანაგრძნობის მოპოვებას. „ტკბილი სიტყვებით“ რომ ვერაფერს გახდა, ციციშვილი სიკვდილით დაემუქრა დეისაძის ქალს.

ამის შემდეგ დეისაძის ქალმა შესწყვიტა ნაცნობობა ციციშვილთან. უკანასკნელმა გადასწყვიტა მოეკლა დეისაძის ქალი.

1926 წ. 17 ივნისს, საგარეჯოს თეატრში წარმოდგენა იყო გამართული. ციციშვილმა ძალით გამოიყვანა დეისაძე თეატრიდან, წაიყვანა ბნელ ადგილზე და გააჩერა კაკლის ხის ქვეშ.

დეისაძეს თეატრიდან გამოყვა ძმა, რომელიც შორიდან უცქეროდა ამ ამბავს.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ციციშვილმა ესროლა დეისაძეს. უკანასკნელი მძიმედ დაჭრილი დაეცა მიწაზე. მეორეჯერ უნდა ესროლა, მაგრამ რევოლვერზე ხელი სტაცა დეისაძის ძმამ და ქალს ასცდა მეორე ტყვია.

შემდეგ ციციშვილმა რევოლვერით დაიჭრა თავი. ორივე დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს. ციციშვილი განიკურნა, ხოლო დეისაძის ქალმა სულემის ხსნარით მოიწამლა თავი.

ციციშვილი პასუხისგებაში მისცეს.

პირველად დაკითხვის დროს ციციშვილმა განაცხადა, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს.

შემდეგ მან განაცხადა, რომ მკვლელობა ჩაიდინა შურისძიების ნიადაგზე.

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებული ციციშვილი, რომელიც გადაჭრით აცხადებს, რომ მან მკვლელობა ჩაიდინა არა წინასწარი განზრახვით, არამედ უცაბედათ.

ბრალდებულის დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

პირველად დაკითხულ იქნა დეისაძის ძმა.

მოწმის სიტყვით, ბრალდებულმა მკვლელობა ჩაიდინა წინასწარი განზრახვით.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

გასამართლებას დიდძალი საზოგადოება ესწრება.

საქმის გარჩევა გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე.

ხელოვნება

კანტატა „ზაჰესი“

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 6 წლის თავზე სახელმწიფო ოპერის სცენაზე პირველად დაიდგა ბალანჩივაძის კანტატა, მიძღვნილი საბჭოთა ხელისუფლების ერთ ერთ ყველაზე უდიდეს მიღწევისადმი — „ზაჰესისადმი“.

კომპოზიტორმა გაითვალისწინა „ზაჰესის“ ეს უდიდესი მნიშვნელობა და ნათელ მუსიკალურ ფერებში დიად პოლიფონიურ აკორდებში ჩამოაყალიბა ქვეყნის ელექტროფიკაციის დიადი იდეა.

მუსიკალური სურათი ადგილობრივ ჰანგებში გადმოცემული და მასში წითელი ზოლით არის გავლებული შრომის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. მეგრულ კილოზე დაწერილი შესავალი, რომელიც მოუწოდებს შრომისაკენ, შემდეგ გადადის ხევსურულ ჰანგებში, რომელშიაც ხოტბას ასხავს შრომას, თვით შრომა გადმოცემულია გუნდის შეძახილებით, შემდეგ საბარიტონო სოლო ესალმება მეცნიერებას და ბოლოს თავდება ქალების გუნდით, რომელიც გამოხატავს დასვენებას შრომის შემდეგ.

მუსიკალური იდეა მოცემულია კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის მიერ, ხოლო ჰარმონიული დამუშავება ეკუთვნის ახალგაზრდა კომპოზიტორის ანდრო ბალანჩივაძის კალამს.

პ. ვ.

მადლობის გამოცხადება

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი კომიტეტი მუშა-მოსამსახურეთა სახელით მადლობას უცხადებს სახელმწიფო ოპერის მსახიობთ: ტ. ვ. ბოკოვას, დ. ტ. სპრიშევსკაიას, ი. მ. კორსუნსკაიას, ა. ბარათაშვილს, ანდღულაძეს, დოლიძეს, შარაშიძეს, ცირეკიძეს, ჭაბუკიანს, ჩიკვაიძეს, ალბერტს, გულუვოს, დმიტრიევს და აიუმოვას, რომლებმაც უსასყიდლოთ მიიღეს მონაწილეობა საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავის და წითელი არმიის 9 წლის თავის აღსანიშნავად ა.-წ. 24 თებერვალს დაწესებულებაში გამართულ საღამოში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„რაც გინახავს, ველარ ნახავ“.** 5 მარტს სახალხო სახლში მუშათა თეატრის ქართული დრამა მიხეილ ქიაურელის რეჟისორობით სდგამს ავქსენტი ცაგარლის კომედიას „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. ტექსტში ჩართულია კუპლეტები და სცენები თანამედროვე ცხოვრებიდან.

დეკორაციები დახატულია ლადო გუდიაშვილის ესკიზების მიხედვით. ლიტტექსტი დამუშავებულია ნიკ. ჩაჩავას მიერ. მუსიკა ეკუთვნის ანდრო ბალანჩივაძეს.

მთავარ როლებს ასრულებენ: სახ. მსახიობი ელ. ჩერქეზიშვილისა ალ. იმედაშვილი, ფირუმიანი და მიხ. გელოვანი.

◆ **„საშე მარცხნივ“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „საშე მარცხნივ“.

◆ **სტეპანოვას მონაწილეობით** დღეს უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება „ტრავიატა“.

◆ **მუშათა თეატრში** დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „როსკაპი“, ფასები დაკლებულია.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 17

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სარევიზიო კომისიების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოთ შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და 1927 წლ. იანვრის 1-დან სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სარევიზიო კომისიების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წლ. თებერვლის 18.
თბილისი—სასახლე.

დებულება

სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სარევიზიო კომისიების შესახებ.

რათა განხორციელებულ იქნას მშრომელთა ფართო მასების ზედამხედველობა სათემო ბიუჯეტ. აღსრულებისა და ადგილობრივ სახსართა მიზანშეწონილად, წესიერად და ეკონომიურად გამოყენების სფეროში,—სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსდებიან სარევიზიო კომისიები შემდეგ საფუძველზე:

1. სარევიზიო კომისია არჩეულ უნდა იქნეს სათემო საბ. საარჩევნო კრ-ზე (ხოლო იმ რაიონში, სადაც სასოფლო საბჭოები მოქმედობენ, სასოფლო საბჭოების სათემო ყრილობაზე) 3 პირისა და ორი მათი კანდიდატის შედგენილობით, ვიდრე საბჭოთა შემდეგ მორიგ არჩევნებამდე. სარევიზიო კომისიის წევრად და კანდიდატად შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა მოქალაქე, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს.

შენიშვნა. უკეთუ სათემო საბჭოს არჩევნები რამდენსამე საარჩევნო უბანში მოხდება, სარევიზიო კომისიის წევრად დასახელებული პირის კანდიდატურა განცხადებულ უნდა იქნეს ყველა საარჩევნო უბანში, ამასთანავე არჩეულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც ხმათა უმეტესობას მიიღებს, ხოლო არა ნაკლებ ყველა საარჩევნო უბანში მონაწილე მოქალაქეების მიერ მიცემულ ხმათა რიცხვის ნახევარისა.

2. სათემო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და მისი კანდიდატი აგრეთვე ის პირი, რომელსაც სათემო აღმასრულებელ კომიტეტში პასუხსაგები თანამდებობა ეჭირა, შეიძლება არჩეულ იქნეს სარევიზიო კომისიის წევრად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გასულია არა ნაკლებ ერთი წლისა, რაც იგი სათემო აღმასკომის შედგენილობიდან გამოვიდა ან ამ აღმასკომში მან პასუხსაგები თანამდებობა დასტოვა.

3. სარევიზიო კომისია თავმჯდომარეს თავის შედგენილობიდან აირჩევს; სარევიზიო კომისიის განსაკუთრებული სამუშაო აპარატი არა ჰყავს და საჭირო შემთხვევაში სათემო აღმასკომის აპარატს გამოიყენებს.

4. სარევიზიო კომისია დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად გამოარკვევს რამდენი სისწორით იყო გამოყენებული ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარი და იყო თუ არა იგი შეთანხმებული დამტკიცებულ ბიუჯეტთან და სათემო საბჭოს (საბჭოების სათემო ყრილობის) მიერ სათემო აღმასრულებელი კომიტეტისათვის მიცემულ დირექტივებთან; იგი განიხილავს, თუ რამდენად მიზანშეწონილი ან სასარგებლოა ესა თუ ის წარმოებული სამეურნეო ოპერაცია და შეამოწმებს, რამდენად დაცულია სათემო ალმ. კომიტეტის განკარგულებაში ქონებული ფულადი და მატერიალური სახსარი.

5. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს: ა) შეამოწმოს სათემო აღმასკომის გამგებლობაში ქონებული თანხები, მასალები და ქონება და აგრეთვე მის მიერ წარმოებული საალმშენებლო, დამზადებითი და სხვა სამეურნეო ოპერაციები; ბ) წარავლინოს კომისიის წევრები სათემო ალმ. კომიტეტის გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა დასათვალიერებლად და მდგომარეობის გამოსარკვევად და აგრეთვე ამ დაწესებულებათა და საწარმოთა დავთრებიდან და დოკუმენტებიდან საჭირო ცნობების გამოსარკვევად; გ) დაათვალიეროს სათემო ალმ. კომიტეტისა და მის ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა დავთრები, ანგარიშები, დოკუმენტები და საქმეები, რაც-კი ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებას ეხება და დ) უკეთუ საჭიროება მოითხოვს, მიიწვიოს ანგარიშების შემადგენელი პირები და სხვა ანგარიშვალდებული პირები რევიზიის წარმოების დროს აღძრული საკითხების ახსნა-განმარტებისათვის.

6. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა მისცეს სარევიზიო კომისიას სრული შესაძლებლობა, რათა მან გამოარკვიოს ადგილობრივი სახსრის სისწორით და მიზანშეწონილობით გამოყენება, როგორც ალმ. კომიტეტის გამგებლობაში მყოფი დაწესებულებებისა და მასალებისა და ქონების პირადი დათვალიერებით, ისე სათემო ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულების ანგარიშწარმოებისა და ანგარიშების შემოწმებით.

7. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს, სამაზრო საფინანსო განყოფილების თანხმობით, თავისი მოქმედების რაიონის ფარგლებში გამოიკვლიონ სამაზრო ბიუჯეტზე მყოფი ყველა დაწესებულების მდგომარეობა და აგრეთვე ამ ბიუჯეტის ხარჯით წარმოებული ყველა საალმშენებლო, დამზადებითი და სხვა სამეურნეო ოპერაციები. თავის მოსაზრებებს ამა თუ იმ ხარჯის მიზანშეუწონლობისა ან ზარალიანობის შესახებ სარევიზიო კომისია აცნობებს სათანადო სამაზრო ალმ. კომიტეტს და სამაზრო საფინანსო განყოფილებას საფინანსო კონტროლის ხაზით.

8. სარევიზიო კომისია წარუდგენს სათემო ალმ. კომიტეტს, ხოლო ისე, რომ მის განკარგულებაში არ ჩაერევა თავისი სარევიზიო მუშაობისა და გამოკვლევის შედეგების მიხედვით, თავის შენიშვნებს ამა თუ იმ ოპერაციისა ან გაწეული ხარჯის მიზანშეუწონლობისა ან და ზარალიანობის შესახებ; ხოლო უკეთუ სათემო ალმ. კომიტეტი სარევიზიო კომისიის შენიშვნებს არ დაეთანხმება,—სარევიზიო კომისია სათემო აღმასკომის მოქმედებას აცნობებს სათანადო სამაზრო ალმ. კომიტეტს და სამაზრო საფინანსო განყოფილებას საფინანსო კონტროლის ხაზით.

9. სათემო ბიუჯეტის არა სისწორით, მიზანშეუწონლად და ზარალით შესრულების შესახებ სარევიზიო კომისია მოახსენებს სათემო აღმასკომის გაფართოებულ სხდომას. უკეთუ სარევიზიო კომისია არ დაეთანხმება მის მოხსენების გამო სათემო ალმ. კომიტეტის გაფართოებული სხდომის მიერ გამოტანილ დადგენილებას, ეს დადგენილება მას შეუძლიან განასაჩივროს აღმასრულებელ კომიტეტში.

ასლი სათემო ალმ. კომიტეტის ყველა სხდომის ოქმისა, რაც-კი სარევიზიო კომისიის მოხსენებებისა და წინადადების უარყოფას ეხება,—წარდგენილ უნდა იქნეს სამაზ. საფინანსო განყოფილებაში.

10. სარევიზიო კომისიის წევრი ან მისი კანდიდატი, უკეთუ ეს უკანასკნელი კომისიის წევრის მაგიერობას ეწევა, მიიღებს მის მიერ შესრულებულ სამუშაოსათვის დღიურ გასამრჯელოს ნამუშევარი დღეების რიცხვის მიხედვით და იმ განაკვეთით, რაც დაწესებულია ადგილობრივი სათემო ალმ. კომიტეტის წევრისათვის, ხოლო თვითეულ თვეში არა უმეტეს 3 დღის გასამრჯელოს. უკეთუ საჭიროა ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა სარევიზიოდ გამგზავრება, იგი სამისოდ გამოიყენებს სათემო ალმ. კომიტეტის განკარგულებაში ქონებულ მიმოსვლის საშუალებას. სარევიზიო კომისიის წევრთა შრომის სასყიდლისათვის საჭირო ხარჯი შეიკუთვნება სათემო ბიუჯეტს და გაწეულ უნდა იქნას ამ ბიუჯეტის სათანადო ასიგნობის ფარგლებში.

11. ხელისუფლების ყველა ორგანომ და დაწესებულებამ უნდა გაუწიოს სარევიზიო კომისიას სრული დახმარება დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისათვის. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარევიზიო კომისიების დასახმარებლად სამაზრო ალმ. კომიტეტი წარავლინებს მცოდნე პირებს სამაზრო საფინანსო განყოფილების თანამშრომელთაგან. სამაზრო საფინანსო განყოფილებას დაეკისრება აგრეთვე გაუწიოს სარევიზიო კომისიებს უშუალო მეთვალყურეობა და ინსტრუქტიობა საფინანსო კონტროლის ხაზით.

12. სათემო ალმ. კომიტეტის ქონების ფაქტიურ რევიზიაში და მისი მეურნეობის მდგომარეობისა, ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების გამოკვლევაში, რაც საფინანსო კონტროლის ორგანოთა ინიციატივით მოხდება, მონაწილეობა უნდა მიიღოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სარევიზიო კომისიის ერთმა წევრმა ან კანდიდატმა მაინც.

13. სარევიზიო კომისია მოვალეა დაამთავროს მთელი საბიუჯეტო წლის რევიზია არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის მომდევნო მე-3 თვის პირველი რიცხვისა.

14. ადგილობრივ ბიუჯეტის შესრულებასა და მეურნეობის გაძღოლის საქმეში შენიშნულ ნაკლულოვანებათ სარევიზიო კომისია მოახსენებს სათემო საბჭოს (ან საბჭოთა სათემო ყრილობას), რომელსაც წარუდგენს აგრეთვე თავის მოსაზრებას იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც შემჩნეულ შეცდომებსა და ნაკლულოვანებას გამოასწორებს, სარევიზიო კომისია მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ წარუდგენს აგრეთვე გლეხთა ფართო კონფერენციებს.

15. სათემო სარევიზიო კომისია პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის სათემო საბჭოს (საბჭოთა სათემო ყრილობის) წინაშე.

16. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სამაზრო და რესპუბლიკანური ორგანოს განკარგულებით თემის ფარგლებში მყოფი სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს რევიზიის მოსახდენად მივლინებული სამისოდ უფლებამოსილი პირი, თემში მისვლისთანავე, ვალდებულია აცნობოს სათემო სარევიზ. კომისიას მისთვის დაკისრებული მოვალეობა და კომისიას უფლება ეძლევა თავისი შედგენილობიდან დანიშნოს წევრები მივლინებული თანამშრომლის მიერ წარმოებულ რევიზიაში მონაწილეობის მისაღებად.

17. სარევიზიო კომისიის მოქმედებისა წესი და ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებისათვის თვალყურის დევნების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებითა და განკარგულებით

დადგენილება № 22

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

მთავარი სატერმინოლოგიო კომისიისა და ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის დაარსების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მეცნიერებისა და ტეხნიკის ყოველი დარგის ტერმინოლოგიის განსახილველად და მისაღებად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსებულ იქნეს მთავარი სატერმინოლოგიო კომისია.

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მთავარი სატერმინოლოგიო კომისია მოწყობილ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით და შემდეგ პირთა შედგენილობით: მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, სილვა თოდრია, მალაქია ტოროშელიძე, დავით კანდელაკი, მარიამ ორახელაშვილი, თედო ღლონტი, ბესარიონ ჭიჭინაძე, არჩილ მიქაძე, პავლე საყვარელიძე, ვუკოლ ბერიძე და ევგენი გამრეკელი.

3. მეცნიერებისა და ტეხნიკის ყოველი დარგის ტერმინოლოგიის შესამუშავებლად და განსახილველად განათლების სახალხო კომისარიატთან დარსებულ იქნეს ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომლის მოწყობაც დაევალოს სახალხო განათლების კომისარს.

4. ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ შემუშავებული და მიღებული ტერმინოლოგია საბოლოო დადასტურების და განხორციელებისათვის წარედგინება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მთავარ სატერმინოლოგიო კომისიას.

5. არავითარი სხვა ტერმინოლოგია, რაც კი ზემოხსენებულ წესის გარეშე იქნება შემუშავებული, არ შეიძლება მიღებულ იქნეს სავალდებულო სახმარებლად.

6. დაევალოს ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტს ხელახლა გადაათვალიეროს მეცნიერებისა და ტეხნიკის ყოველ დარგში სახმარებლად უკვე მიღებული ტერმინოლოგია და სათანადო მოხსენება წარუდგინოს მთავარ სატერმინოლოგიო კომისიას.

7. დამტკიცებულ და სამოქმედოთ მიღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. თებერვლის 26. თბილისი,—სასახლე.

დებულება

არსებული ცენტრალური სამეცნიერო სახალხო განათლების კომისარიატთან სატერმინოლოგიო კომიტეტის შესახებ

1. მეცნიერებისა და ტეხნიკის ყოველი დარგის სათანადო ტერმინოლოგიის შესამუშავებლად სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტიდან გამოიყოფა სექციები და ქვესექციები მეცნიერებისა და ტეხნიკის ძირითად დარგთა მიხედვით:

1. **საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექცია შემდეგი ქვესექციებით:**
   - ა) ეკონომიური დარგები (ეკონომიკა, ფინანსები, სტატისტიკა).
   - ბ) ისტორიულ-სოციალური დარგები (ისტორია, არქეოლოგია, სოციოლოგია, შრომის ისტორია, მუშათა მოძრაობის ისტორია, კომპარტიის ისტორია).
   - გ) იურიდიული დარგები (ყველა იურიდიული დისციპლინა, პოლიტგანბანი, საბჭოთა აღმშენებლობა, კანონმდებლობა).
2. **საენათმეცნიერო სალიტერატურო სექცია.**
3. **ფიზიკურ-მათემატიკური სექცია შემდეგი ქვესექციებით:**
   - ა) მათემატიკა და თეორიული მექანიკა,
   - ბ) ფიზიკა,
   - გ) ქიმია.
4. **ტეხნიკური სექცია შემდეგი ქვესექციებით:**
   - ა) მექანიკა,
   - ბ) აღმშენებლობა,
   - გ) ქიმიური ტეხნოლოგია,
   - დ) სამთამადნო,
   - ე) რკინის გზის საექსპლოატაციო,
   - ვ) სამეურნეო-აგრონომიულ-ეკონომიური
5. **ბიოლოგიურ დარგთა სექცია შემდეგი ქვესექციებით:**
   - ა) ბიოლოგიურ-აგრონომიული (ბოტანიკა, ზოოლოგია, მინერალოგია, ქიმია),
   - ბ) გეოლოგიური,
   - გ) გეოგრაფიული.
6. **პედაგოგიური** (პედაგოგიკა, პედოლოგია, ფსიქოლოგია, პედაგოგიურ მოძღვრებათა ისტორია).
7. **ხელოვნების სექცია შემდეგი ქვესექციებით:**
   - ა) სამუსიკო,
   - ბ) სათეატრო (ოპერა, დრამა, კინო),
   - გ) სამხატვრო (მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, ფოტოგრაფია).

2. თვითეულ სექციას შეადგენენ სათანადო დარგის სპეციალისტები, კომიტეტის ერთ-ერთი წევრის თავმჯდომარეობით.

3. სექციებში შემუშავებული ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგია განსახილველად და მისაღებად ცენტრალურ სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტს წარედგინება

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა ჩემი რძლის მოთხოვნა

კითხვა

მე მყავდა ძმა (ებიფანე ხახუბძე დანელია), რომელიც (14 წელია მას შემდეგ) ჩასიძებული იყო სოფ. ვედითკარში (სენაკის მაზრა). 1921 წ. ჩემი ძმა გარდაიცვალა. მას დარჩა ქვრივი და ერთი ვაჟიშვილი, რომელიც ეხლა 13—14 წლისაა. მე და ჩემ ძმას გვქონდა „მამა პაპური“ მიწა ზომით 7 ქცევა, რასაც მე ვამუშავებდი და ჩემი ძმის ქვრივს და ობოლს ვაძლევდი, შემოსავლის ნაწილს მიუხედავად იმისა, რომ მათ აქეთ პირველი ხარისხის მიწა სოფ. ვედითკარში 8 ქცევაზე მეტი. ეხლა ჩემი რძალი მიპირებს მიწების ჩამორთმევას. შეუძლია თუ არა მას ჩამომართვას იგი, ან ჩემი ნამუშევრის რა ნაწილი ერგება მას. მე ამ [illegible] სხვა მიწა არა მაქვს და სარჩენი მყავს ჩემს გარდა ხუთი სული.

სოფ. ნაჯახოვოს (სენაკის მაზრა) მცხ. თეიმურაზ დანელია.

პასუხი

თქვენი რძლის მოთხოვნა არ არის კანონიერი. თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ის შენიშვნისა, თქვენი ძმისწული და რძალი მიწასა და ქონებას მიიღებენ იქ, იმ კომლში, სადაც ჩასიძებული იყო თქვენი ძმა. ამიტომ იმათ (ე. ი. თქვენს ძმის წულს და რძალს) თქვენი კომლის მიწა-წყალზე და ქონებიდან წილი არ მიეცემათ.

ანაპოლისტი ივ. ლორთქიფანიძეს
(წიგ. № 4348)

პასუხი

როგორც პროფკავშირის უმუშევარი წევრი, თანახმად ახალი საბინაო ტარიფის მუხ. 8-ისა, თითეულ კვად. მეტრზე გადაიხდით ოთხ კაპიკს, მხოლოდ სახლის პატრონს თქვენ უნდა მიუტანოთ თქვენი კავშირიდან ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენ ნამდვილად ითვლებით უმუშევრად და რა დროიდან. თუ კი ამის შემდეგაც სახლის პატრონი არ მიიღებს თქვენგან ბინის კანონიერ ქირას, მაშინ შეიტანეთ იგი ხაზინაში იუსტიციის სახკომის დეპოზიტში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ პარტიული დღის ჩასატარებლად პარასკევს, 4 მარტს, მობილიზაციით გამოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ლისოვსკი, რუბენი, მაშკევიჩი, ასრიბეკოვი, ხაცკევიჩი, რახმანი, შავეოდოვი, შაურდოვა, ცომაია, ერისთავი, აბაშიძე, ნარჩიმაშვილი, მეშმარიაშვილი, ბოგდანოვი, პევცოვი, პოლოსოვი, პრომბრაჟენსკი, ორლოვი, ნიკოლაევსკი, არუსტამოვი,, ტაშჩიევი, ბენზმანი, ბელი, სარქისიანი, ტთროშელიძე, პიჩიკიანი, კამლოვა, ფრანგულიანი, ავაქოვი, ბეჟანოვი, ნასარიძე, ნასყიდაშვილი, მიქაძე, ზაბაჯჯანოვი, ფანცხავა, მიქოიანი კურაჩკინი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ყველა უჯრედებისათვის სავალდებულოდ სთვლის მორიგ პარტიულ დღეს, პარასკევს, 4 მარტს, შემდეგ დღის წესრიგს:

1. თბილისის მე-7-ე სამაზრო პარტკონფერენციის შედეგების დამუშავება.

თბილისის აღმასკომის მე-2-ე სტამბის უჯრედი—მომხსენებელი ამხ. ვალიკი, პოლიგრაფტრესტის მე-3-ე სტამბა—იაგნეტინსკი, პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა—ბუდილევი, პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა—პისეცკი, „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა—ლუჩანსკაია, ლენინის სახელობის ფაბრიკა—ხემჩიანი, „კრასნი ვოინ“-ის სტამბა—აზარსკი, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა —დარახველიძე, პოლიგრაფტრესტის მე-4 სტამბა—ოლინი, ქარხანა „თემქა“—მირზაბეკიანი, ლიტოგრაფია—რახმანი, თბილისის აღმასკომის 1 სტამბა—ზერაძე, ცეცხლის მქრობელთა რაზმი—ასრიბეკოვი, „ბოეც ქ. ქ. ა.“—აგიკიანი, კავშირგაბმულობის ოლქის სამმართველო—ყამარაული, ცენტრალური პარტსკოლა—ხაჭაპურიძე, რუს. მუშფაკი—კუტუბიძე, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი—კუდრიავცევი, სახელმწიფო უნივერსიტეტი—ბარამიძე, ამიერ-კავკ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო—ბერია, ა.-კ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მე-8 პოლკი—მაჭრიკოვიანი, სახელმწიფო ბანკი—ფესიუკი, განათლების სახალხო კომისარიატი—მარიამ ორახელაშვილი, მილიცია—მათიკაშვილი, საქ. ფინსახკომი—მგალობლიშვილი, ა.-კ. ფინსახკომი—გენკინი, რუსთაველის თეატრი—ბუხნიკაშვილი, იუსტიციის სახალხო კომისარიატი—ტალახაძე, ქალაქის აღმასკომი—კუხიაიშვილი, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო—ეროვი, მშენებლები — ნამერზელი, საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო—მდივანი, ა.-კ. ცენტრ. სტატ. სამმართველო—ჩიხლაძე, ქართ. მუშფაკი—ფანცხავა, საბჭოთა-პარტიული სკოლა—მთვარელიძე, სახელმწიფო კონსერვატორია—სააკოვი, ცეკავშირის სტამბა — ზეიდელი, ტელეგრაფი — ვაგანოვი, შინამოსამსახურეები — პოლოსოვი, სახალხო ქვების კავშირი—ფოცხიშვილი, სახელმწიფო ოპერა—ფაშტი, სახალხო კომისართა საბჭო—გვანცელაძე, საფაბრიკო - საქარხნო შეგირდობის სკოლა—ეირანოვი, ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო—სუხარუკოვა, აგურის ქარხნები — ტინტიკოვი, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი—ჩინკვაძე.

უჯრედების მდივნებს ევალებათ შეუთანხმდენ მომხსენებლებს უჯრედის კრების ადგილის და დროის შესახებ.

— დღეს 4 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიუროს სხდომა. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე ევალებათ გამოცხადდენ სხდომაზე შემდეგ ამხანაგებს: კანდელაკი შურა, ცქვიტინიძე ბაგრატ, ოყროშიძე გიორგი, ლადანიძე შალვა და ლეჟავა დავით (სხდომა შესდგება პოლიტეხნ. ფაკ. პროფკ. ოთახში).

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები მიმაგრებულია რაიონებზე მოხსენებების ჩასატარებლად „მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის შესახებ“.

პირველ რაიონზე: შ. ლეჟავა, მარიამ ორახელაშვილი, ს. შავერდოვა, გ. ქავთარაძე, ლ. ენუქიძე, კეკელია, იმედაძე, ს. თალაკვაძე, ცილიკი.

მეორე რაიონზე: ლისოვსკი, ვ. ჯაფარიძე, ნინო მახარაძე, ვირაპი, გრიშენკო (უმაღლესი პარტსკოლა), ლუსკინა, მთვარელიძე, გევორქიანი, ტალახაძე, მიხაილოვა, კიდაიში.

მესამე რაიონზე: ვარძიელი, შეფტელი, ხოჩიდ რუხაძე, არჩ. მიქაძე, გოზერია, მამულია, მ. ალავჯალოვა, დაუშევა, ვანეციანი, პუზული, ზურაბიანი, ს. სოსიანი, ა. ესაიანი, ს. შალომაიანი.

მეოთხე რაიონზე: ხანოიანი, ვ. სტურუა, ს. თოდრია, ფესიუკი, ათაბეკოვი, ნიკ. ოკუჯავა, პისეცკი, ხაცკევიჩი, ვასილიევა (ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი), რახმანი, ვართაპეტოვი, სნეგირევი, პოლოსოვი, მგელაძე, დელიბაში, სანტალოვა, თენეიშვილი, ჩერქეზიშვილი.

მომხსენებლები უნდა შეუთანხმდენ სათანადო რაიკომებს მოხსენების დროისა და ადგილის შესახებ.

თბილისის კომიტეტის მდივ. **ასრიბეკოვი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 3 მარტს, საღამოს 6 საათზე, მე-5-ე შრომის სკოლის შენობაში (ჟუკოვის ქ., № 9), შესდგება კოოპერატიულ (ქართულ), იურიდიულ (ქართულ და რუსულ) სექციების მორიგი მეცადინეობა, ხოლო რუსული კოოპერატიული სექციის მეცადინეობა შესდგება მომარაგების კლუბის შენობაში (ბარიატინსკის ქ.).

ღრმად დამწუხრებული პეტრე დავითის ძე შვილებით: ანა, თამარი, მარიამი, ვერა, ნიკოლოზ და ვლადიმერით; შვილიშვილებით ნინო, ბარბარე, ნადია მარო და შურა; დები: ოლღა და ნინო; რძალი [illegible]; სიძეები: გიორგი კვიჟინაძე, პორფირე წირქვაძე და რომან ზულისშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ პირველ მარტს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორეთა დედა, მესამეთა და დანარჩენთა დიდი-დედა და სიდედრი

ანასტასია დავითის ასული ნარიმანიშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 3 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი საღამოს 6 ს. ჩერქეზიშვილის ქ. № 119. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: იაგორ, პლატონ, მართა და მარო, რძლები: ლიზა, ელისაბედ და ნინა გიორგაძეები; სიძეები: ნოე მდივანი და პავლე ქოქიკაშვილი, შვილიშვილები: ანეტა, მარო, ლილოსი, ბაბოსი, ეფანე, გიორგი, გრიშა და შუტუა აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ პირველთა ძვირფასი დედის, მეორეთა საყვარელი სიდედრის და მესამეთა დაუვიწყარი ბებიას

ეგვიტო ნიკოლოზის ასულის გიორგაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფელ იანოულში, შაბათს, 5 მარტს, დილის 12 საათზე.

თავზარდაცემული მშობლები: ეკატერინე ნიკოლოზის ასული და ალექსანდრე (მოსოსტრი) დადეშქელიანები შვილებით: ეკატერინე, მარიამ, ნიკოლოზ და ალექსანდრეთი, ბიძა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე და ელენე ნიკოლოზის ასული ორლოვსკები, ბიძა სერგო ნიკოლოზის-ძე და მარიამ ორლოვსკები, დეიდა თამარი ცქიტიშვილი შვილებით და მამიდა მადი ბიქირბეის ასული და დავით პოლიევქტის-ძე კარბელაშვილები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ საყვარელ და ძვირფას

გელა დადეშქელიანის

უეცარი და უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, 5 მარტს, დღის 3 საათზე, პლეხანოვის გამზირი № 91—კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე სალ. 6 საათზე. 1906

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მანანა შვილებითურთ: ერვანდი, მარგო, თამრიკო და ბორის აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და მეგობართ, რომ შაბათს 5 მარტს ნაშუადღევის 12 საათზე ქ. სიღნაღში ადგილობრივ სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი

სტეფანე ზაქარიასძე სარქისოვის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო. 1907

ღრმად დამწუხრებულნი: ქალიშვილი მარია ივანეს ასული, სიძე ზაქარია გიორგის-ძე, შვილიშვილები ელადიმერი, ირაკლი, ალექსანდრე, ნინო, შალვა და ივანე მაღალაშვილები, შვილიშვილი ვასილი, დავითი და რძალი სოფიო ქაბულაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1 მარტს, დაიძრა ყველასათვის კეთილი და საყვარელი

ეკატერინე ანდრიას ასული ქობულაშვილისა

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება ხუთშაბათს, 3 მარტს, 4 საათზე ბინიდან, ტორისის ქ. № 45 (ყოფ. კირკის) კუკიის სასაფლაოზე. 1898

„სეკარის სითხე“

დამზადებული პროფესორ დოქტორ ბიუხნერის წესის მიხედვით, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ნებართვით № 8362 კოოპერატივ „გალენ მოსკვა“-ს ლაბორატორიის ორგანიულ ტერაპევტიულ განყოფილების მიერ გამოშვებულია

ნ. 724 10—1

„სეკარის სითხე“

მზადდება ცხოველების სათესლე ჯირკვლებისაგან სპეციალისტ ქიმიკოსების, ფარმაცევტების და ექიმების ხელმძღვანელობით. სეკარის სითხე იყიდება საბჭოთა კავშირის ყველა აფთიაქებში და სანიტარიის და ჰიგიენის მაღაზიებში.

ექიმებს საცდელათ მოთხოვნილებისამებრ ეგზავნებათ gratis.

მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის

კოოპერატივი „გალენ მოსკვა“-ს ორგანიულ კოოპერატიული განყოფილება მოსკოვი ჰერცენის ქ. № 5 განყ. 66.

მთავარ საწყობიდან ფოსტით იგზავნება არა ნაკლებ 4 ფლაკონისა 25 პროც. რაოდენობით ბეს გადახდის შემდეგ. შეხვევა და გადაგზავნა ჩვენს ხარჯზე.

ფლაკონი ღირს 2 მან.

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 3 მარტს — ბილ-ბელოცერკოვსკის

საჭე მარცხნივ!

პიესა 4 მოქ. 15 სურათი — მუსიკა: პ. იპოლიტოვის.
დადგმა: ალ. ახმეტელისა. კონსტრუქ. და კოსტ. ირ. გამრეკელის
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
3—1 ნ. 748

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 3 მარტს ე. ა. სტეპანოვას გასტ. უკანასკნელად **ტრავიატა**
მონაწილეობენ: სტეპანოვა, კანსბურგი, ვენაძე
დირიჟორი სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი
პარასკევს, 4 მარტს, მე-3 აბონემენტის მე-8-ე წარმოდგენა **სამსონ და დალილა**
დარჩენილი ბილეთები იყიდება
შაბათს, 5 მარტს, პრემიერა **ტრილბი**
ნ. 759

ცირკი ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!
1—1 ნ. 750

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
დღეს, 3 მარტს 1927 წ.
სასპორტო სანახაობა საუკეთესო ნომრები 3 განყოფ. ახლად ჩამოსულ მოჭიდავეთა ალღუმი მე-34 ე დღე ჭიდაობისა ი. ვ. ლებედევის ხელმძღვანელობით.
ჭიდაობს 4 წყვილი
გადამწყვეტი ვ. შულცი—ჟულეშნიაკ, მეორე: კრილოვი—ნიღაბი
ფენომენ: ძალა ძალის წინააღმდეგ, მესამე: ალი ბურხან—სუტიაგინ
მეოთხე: ლეში—სიდიუკ — დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.
ადმ. ხელმძ. მ. ი. ტადე.

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. 17—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—3 ნ. 753

ბერნარდ გეტცკე მხატვრულ შედევრში „ბერლინის გერები“
მონოპოლიურათ ჩვენთან: პირველად თბილისში დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
ФАВОРИТКА МАГАРАДЖИ
10 ნაწილად
მერი პიკფორდ სეზონის საუკეთესო სურათში „როცა გადნება თოვლი“
5 და 6 სერია „ტყავის ხელთათმანები“
ანონსი: შაბათიდან „ეშმაკის ბორბალი“
ორშაბათიდან 7 მარტ. კინო-თეატრებში აპოლო, არფასტო, სოლეი „თავადის ასული მერი“

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ავტო-გარაჟის

სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს აღნიშნულ გარაჟის კრედიტორების საყურადღებოდ, რომ ისინი ვალდებული არიან წარუდგინონ პრეტენზიები სალიკვიდაციო კომისიას ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა, რომლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება

3—1 ნ. 743 — სალიკვიდაციო კომისია

ა. ვ. მიქაბერიძე.

პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“

ასაჯი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ქნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ორშაბათს, 7 მარტიდან
კინო აპოლოში, არფასტოს და სოლეიში
წავა

თავადის ასული მერი

ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ ციკლიდან

დადგმა—ვ.ვ. ბარსკის
ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი

მთავარ როლებში:
თ. გოლქვაძე,
ბ. ბელეცკაია,
ნ. პროზოროვსკი.
ბ. დავითაშვილი,
ა. თაყაიშვილი.

ნ. 762

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ ა. წ. 7 მარტს, 1 საათზე, პრაჩენში შესახვევში № 11, გაიყიდება 2 სართულიანი სახლის და 2 სართულიანი ფლიგელის ნახევარი ნაწილი, რომელიც ეკუთვნის პავლე ბალიაშვილს, მეორე ნახევარი ნაწილი ამ შენობებისა ეკუთვნის კონსტანტინე კოსტანოვს. მთელ სახლში და ფლიგელში მოთავსებულია 9 ოთახი და 4 სამზარეულო. აღნიშნულ სახლის ნახევარი შეფასებულია 500 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია სიმონ ხითაროვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ ჯამით 2020 მ. და 20 კ.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები; გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც., ე. ი. 50 მანეთი. 1738

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ

ქიაურში მოაწყო. ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ქიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზრ.აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.

1502 15—10

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 5 მარტს, დღის 2 საათზე, მადათოვის კუნძულზე სახლი № 3, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ივანე გაგუას და დიმიტრი ჯაბელიას მოძრავ ქონებას. დინამო-ვარგისი 25 ამპერი 220 ვოლტის № 63996 სისტემა 1900 წ. რეოსტატი, ელ. ენერგიის აღმრიცხველი, ორი გობი, ერთი დიდი გობი ხორცის ასაზელი, დანები, ხორცის დასანაყი ექვს პირიანი, ჩანგალი ხორცის ამოსაღები, დანები, ვედრა, ყველაფერი ეს შეფასებულია 200 მანეთად. გაიყიდება ლეონ ჯალალოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართლოს 1926 წ. 23 დეკემბრის თარიღით 8653 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია მეორეთ. 1893

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 10 მარტს 1927 წელსა დილის 12 საათზე ადგილობრივ, ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება სპირიდონ ლუარსაბის-ძე თორთლაძის ქვიტკირის სახლი სამზარეულოთი № 2 აგებული საეზოვე მიწაზე ზომით მიწა 120 კვად. საჟენი, დაფასებული 500 მან., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს ტრესტების სავაჭრო ქუთაისის კანტორის და მიხეილ ნიჟარაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სახლის საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 760

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 10 მარტს დილის 11 საათზე. ადგილობრივ, ქ. ქუთაისში ჭავჭავაძის ქუჩის მე-10 შესახვევში დანიშნულია მე-2 **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება ლუარსაბ სამსონ-ძე შალამბერიძის ხის სახლი № 11, აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით 60 კვად. საჟენი შეფასებული 150 მან. აბესალომ ჩაკვეტაძის და საქ. ს მ.უ. საბჭოს ვალის დასაკმაყოფილებლად. ყველა იმ პირებმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სახლის საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც., საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული ან შეძლეული ფასიდან. ნ. 760

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ხნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

მედიცინის დოქტორი გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების, ფლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბომონდი“).

გარდა სახქიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

სათვალეების მორგება უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ქუთაისში
ექ. დ. ა. ჩიქვლაშვილი

იღებს შინაგან ავადმყოფებს, სპეციალურათ ექიმობს ფილტვების ავადმყოფობას

მიღება დილის 8—12 საათამდე ჭავჭავაძის ქუჩა სახ. № 9. 13—1 ქვ. 1764

ექ. ი. ე. ბაბიჩვაძე

პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.

დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან უხმო-უკვლოდ დაიკარგა: გიორგი ნიკოლოზისძე გოდერძიშვილი 18 წლის მის შესახებ მისმა მშობლებმა არაფერი იციან. ამისათვის ვთხოვთ, თუ ვინმემ იცის რამე გვაცნობოს 1-ლი სამილიციო უბნის შენობაში ბარამიძეს 2—1 1900

დაკარგა თბილისის ლომბარდის ქვითარი № 54051, ჩ. გ.

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 16656 ვლადიმერ გიორგაძის სახელზე. 1902

დაკარგა ელექტრო ტექნიკუმიდან გაცემული მოწმობა სახედამხედველო კურსის დამთავრების მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 1890

დაკარგა სამხედრო წიგნაკი—სოლომონ კიქიანის სახელზე, ჩ. გ. 1892

დაკარგულია ქ. ზესტაფონიდან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „გლეხობა“-ს მიერ, ქ. თბილისში „სოფლის კავშირი“-ს სარეალიზაციო ქარხანა „გამა“-ს სახელზე (საბჭოთა ქ. № 65) გადმოგზავნილ ჰჟის არყის საქციზო გად. სატანი მოწმობა № 6860, ჩ. გ. 1897

დაკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 6436 მიხეილ ამირანაძე ქელიძის სახელზე, ჩ. გ. 1896

დაკარგა აღმზრდელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 2161 ივანე ვასილისძე ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. 1895

დაკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი ვალერიან იორდანისძე რაზმველიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1891

დაკარგა უვადო პასპორტი ბაგრატ დავითისძე პაპაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1894

დაკარგა ლომბარდის ქვითარი № 7660 ზუბერიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1887

დაკარგა კერძო მოვაჭრე ლეგრენტი შავიძის მიერ ხელმოწერილი თამასუქები ნოე პაგლესძე ნიჟაკაძის სახელზე, ჩ. გ. 1903

დაკარგა მოწმობა გადასახადის აღნიშნით გაცემული სოფელ ვაქირის (სიღნაღის მაზრა) თემალმასკომიდან ქუჩა ილიასძე ნანობაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1905

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 1646 მარია შუბერიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1908

დაკარგა საალრიცხვო ბარათი ირაკლი ჯგუბაძის სახელზე, ჩ. გ. 1896

დაკარგა თერჯოლის 7 წლიდის მასწავლებლის გიორგი რობაქიძის სახელზე მიცემული ცენტრალურ დამზღვევ სალაროდან საპენსიო წიგნაკი № 219 ჩ. გ. 1904

დაკარგა შტატის შემოკლების მოწმობა № 403763 მოცემული თინა ქოჩაკიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 760

დაკარგა პირადი წიგნაკი ფ. № 4 მიღებული ხარაგაულის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგესაგან ვანო ინასარიძეს სახელზე, ჩ. გ. 1903

დაკარგა საალრიცხვო ბარათი მიღებული მე-10 უბნის რაიმილიციის სამხედრო განყოფილებიდან და პროფკავშირის წიგნაკი № 4725 დიომიდ სიკოსძე დევდარიანის სახელზე, ჩ. გ. 1901

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.